ინიციატივა ცვლილებისათვის

თეძის თვითორგანიზებისა

და თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოში საბჭოთა ოკუპაციამდე

წიგნი მეორე

ინიციატივა ცვლილებისათვის

(
თემის თვითორგანიზებისა
და თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოში
საბჭოთა ოკუპაციამდე
)

წიგნი მეორე

სარჩევი

გვ. 7 თემის განვითარების გამოცდილება საქართველოში — ისტორიული რაკურსი და თანამედროვე გამოწვევები — ანა მარგველაშვილი

თავი პირველი ↳
სოფლის თვითმმართველობა და თვითორგანიზების გამოცდილება

გვ. 21 ნესტორ წერეთელი - კუხისა და გუბის „დიქტატორი“ — ირაკლი ხვადაგიანი

თავი მეორე ↳
კულტურულ-საგანმანათლებლო ინიციატივები და ორგანიზაციები

გვ. 41 ნოტიო (ნატო) ლოლუას ქალთა სკოლა ფოთში — დიანა კაკაშვილი

გვ. 50 ევგენი დვალი და „რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის დამხმარე კულტურული საზოგადოება“ — დავით ხვადაგიანი

გვ. 66 სამტრედიის საჯარო ბიბლიოთეკა — ირაკლი ხვადაგიანი

თავი მესამე ↳
სამეურნეო ამხანაგობები და კოოპერაცია

გვ. 83 ისაია ფურცელაძე — საზოგადოებრივი და კერძო ინიციატივა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის — ანა მარგველაშვილი

გვ. 106 ერმილე ნაკაშიძე — გურიის მებაღეთა საკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა — ირაკლი ხვადაგიანი
გვ. 118 ოძისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი — პაატა ალავერდაშვილი
გვ. 130 ძმები არჯევანიძეების მეურნეობა სოფელ ნორიოში — ირაკლი ხვადაგიანი
გვ. 138 წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა — ირაკლი ხვადაგიანი

თავი მეოთხე ↳

შრომითი გაერთიანებების ფორმები საქართველოში

გვ. 157 მოდგამი — დავით ჯაფარიძე

თემის განვითარების გამოცდილება საქართველოში - ისტორიული რაკურსი და თანამედროვე გამოწვევები

[ანა მარგველაშვილი]

კვლევით-საგანმანათლებლო პროექტი „ინიციატივა ცვლილებისათვის“ განხორციელდა[1] 2015-2016 წლებში. პროექტი მიზნად ისახავდა, შეესწავლა საქართველოში თემის თვითორგანიზების კულტურა და გამოცდილება[2] 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციამდე. ასევე, წინ წამოეწია წარმატებული გამოცდილება; გაეანალიზებინა იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი პრობლემები, შეედარებინა მაშინდელი ვითარება დღევანდელთან; წამოეწყო აღნიშნულ საკითხებზე საზოგადოებრივი დისკუსია.

2015 წელს პროექტის ფარგლებში გამოიცა წიგნი „ინიციატივა ცვლილებისათვის“, რომელმაც საზოგადოების დიდი დაინტერესება გამოიწვია. პუბლიკაციაში აღწერილია 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციამდე საქართველოში თემის თვითორგანიზების ათი მაგალითი.

სწორედ მკითხველის (ხელოვანების, სამოქალაქო განათლების პედაგოგების, სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კოოპერატივების საკითხებზე მომუშავე პირების) დაინტერესების შედეგად გადაწყდა, 2016 წლისათვის დამა-

1 სათემო განვითარების ცენტრისა და თანამედროვე ხელოვნების ცენტრი თბილისის ერთობლივი პროექტი, განხორციელდა ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ მხარდაჭერით. პროექტის პარტნიორები: საქართველოს სამოქალაქო პედაგოგთა ფორუმი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, კულტურული მემკვიდრეობის არასამთავრობო მონიტორინგი.
2 კვლევა ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა ბიბლიოთეკასა და არქივში; ასევე, მიზნობრივ სოფლებში შეგროვდა ზეპირი ისტორიები;

ტებით ათი მაგალითის დამუშავება და წიგნის მეორე ნაწილის გამოცემა.

წინამდებარე პუბლიკაცია „ინიციატივა ცვლილებისათვის“, წიგნი მეორე, აღწერს იმავე პერიოდის საქართველოში კერძო ინიციატივებისა თუ ჯგუფური ძალისხმევის შედეგად თემის მობილიზებისა და განვითარების მაგალითებს: დაბრკოლებებს, წარუმატებლობას, წარმატებას; ეს მაგალითები ნათლად აჩვენებს, როგორ ცდილობენ ადამიანები შეცვალონ პირადი და საზოგადო მდგომარეობა, როგორ თავდაუზოგავად შრომობენ ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის, როგორ ავლენენ შემოქმედებით უნარს. გარდა თემატური მაგალითებისა, გამოცემაში შესულია საქართველოში შრომითი გაერთიანებებისა და ურთიერთდახმარების ისტორიული ანალიზი.

საქართველოში თემის თვითორგანიზების გამოცდილება – 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციამდე

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან 1921 წლამდე საქართველოს პერიოდული გამოცემებისა და საარქივო დოკუმენტების შესწავლისას გამოიკვეთა იმდროინდელი საზოგადოებისათვის მრავალი აქტუალური პრობლემა, რომელთა შესახებაც ხდებოდა საჯარო მსჯელობა, მოსახლეობის ინფორმირება, ყალიბდებოდა საზოგადოებრივი აზრი; რიგი პრობლემებისა უკავშირდებოდა ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების სხვადასხვა ფორმას, კერძო და ჯგუფური ინიციატივების მნიშვნელობას, სოფლის განვითარების საკითხებს. კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა, თემის თვითორგანიზების პროცესებში იმ მთავარი აქცენტების წინ წამოწევა, რომლებიც საქართველოში საუკუნის წინ იყო აქტუალური და დღესაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ეს საკითხებია:

სოფლის თვითმმართველობა და თვითორგანიზების გამოცდილება

მე-19 საუკუნის ბოლოს, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, რუსეთის იმპერიაში ადგილი ჰქონდა თვითმმართველობის სასტარტო მოდელის დანერგვის მცდელობას, თუმცა იგი, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ განხორციელდა. 1865 წელს რუსეთის იმპერიაში გატარებული საგლეხო რეფორმის (გლეხების გათავისუფლება მებატონეებისაგან და მათი უფლებების განსაზღვრა) და სათანადო დებულების საფუძველზე ჩამოყალიბდა მხოლოდ სოფლის საზოგადოებრივი მმართველობები ე.წ. სოფლის ყრილობები.[3]

მიუხედავად იმისა, რომ ერობის სრულფასოვანი რეფორმის განხორციელება ნაკლებად შესაძლებელი ჩანდა, საქართველოში ინტენსიურად მსჯელობდნენ დეცენტრალიზაციის მნიშვნელობასა და საჭიროებაზე. იმდროინდელ პრესაში აქტიურად განიხილებოდა თვითმმართველობის შესაძლო ფორმები, ევროპული გამოცდილება. აღნიშნულ საკითხებს ეძღვნება მთელი რიგი სპეციალური, დარგობრივი გამოცემები;

ზემოთ აღნიშნული ამბების კვლევისას გამოიკვეთა სასოფლო თვითმმართველობის ჩანასახები. კერძოდ, სოფლის ყრილობების მუშაობა, სპეციფიკა, მოსახლეობის აქტიური ჩართულობა, ყრილობის გავლენა სოფლის პრობლემების მოგვარებაზე. სოფლის ყრილობებმა თითქმის 1918 წლამდე იმუშავა. 1918 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თვითმმართველობის საკითხებზე მუშაობა განსაკუთრებით აქტიურ ფაზაში შევიდა. 1918 წელს ჩატარდა საერობო რეფორმის პირველი ეტაპი, თანმდევი არჩევნებით (არჩევნები არ მოიცავდა მთელ საქართველოს, არამედ პირველ ეტაპზე მხოლოდ იმ ძირითად მხარეებში ჩატარდა, სადაც საომარი

3 „სოფლობა“, დიანა კაკაშვილი. „ინიციატივა ცვლილებისათვის – თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოში, საბჭოთა ოკუპაციამდე.“ სათემო განვითარების ცენტრისა და თანამედროვე ხელოვნების ცენტრი – თბილისის გამოცემა, 2015, გვ. 13

მოქმედებები[4] არ მიმდინარეობდა და რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარებოდა). არჩეულმა კომუნალურმა მმართველობებმა მუშაობაც კი დაიწყო; სამწუხაროდ, მხოლოდ 1921 წლამდე. 1921 წელს, საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შედეგად, შეწყდა არა მარტო თვითმმართველობის რეფორმის პროცესი, არამედ, ზოგადად, ქვეყნის დემოკრატიული განვითარება და დაიწყო ტოტალიტარული, ცენტრალიზებული რეჟიმის ფორმირება, რომელმაც 70 წელი გასტანა და დღემდე საკმაოდ მძიმე კვალი დატოვა საზოგადოების ცნობიერებაზე.

კულტურულ-საგანმანათლებლო ინიციატივები და მათი გავლენა სოფლის ცხოვრებაზე

კვლევის მეორე კომპონენტი აერთიანებს კულტურისა და განათლების სფეროში ინტერესთა ჯგუფების, ორგანიზაციების მუშაობას სასოფლო თუ ეროვნულ დონეზე. „XIX საუკუნის მეორე ნახევარში განმანათლებლობის კამპანიის ინიციატორები ცდილობდნენ, საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული ცოდნა სოფლის მოსახლეობისათვის გაეცნოთ. მათ მიზანს ახალი ცოდნის უპირატესობის ჩვენება წარმოადგენდა... კამპანიის ინიციატორები თვლიდნენ, რომ მხოლოდ აქტიურ მოქალაქეთა ორგანიზებულ ძალად ჩამოყალიბებული გლეხობა შეძლებდა თვითორგანიზებას ...“[5]

ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელ ქვეყანაში კულტურისა და განათლების ხელმისაწვდომობას, არაფორმალური განათლების დაწესებულებების შექმნას, სამკითხველოების

---

4 კონფლიქტი ოსმალეთთან, დენიკინთან (რუსულ მონარქისტულ არმიასთან), რის გამოც სასაზღვრო რეგიონები, სამხრეთ საქართველოსა და აფხაზეთში ფრონტის ხაზს წარმოადგენდა და ვერ ხერხდებოდა მშვიდობის შენარჩუნება. ასევე ბათუმის ოლქი, რომელიც ოსმალეთისა და შემდგომ ბრიტანეთის არმიის მიერ იყო ოკუპირებული.

5 „გურიის სახალხო ბიბლიოთეკა“, ირაკლი ხვადაგიანი. „ინიციატივა ცვლილებისათვის – თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოში, საბჭოთა ოკუპაციამდე.“ სათემო განვითარების ცენტრისა და თანამედროვე ხელოვნების ცენტრი თბილისის გამოცემა, 2015, გვ. 60

დაარსებას, კულტურულ ცხოვრებაში სოფლის ჩართულობას და სხვა. ამ პერიოდში იქმნება და აქტიურად მუშაობს სხვადასხვა ფორმის საზოგადოებრივი ორგანიზაცია; კერძო თუ სათემო ინიციატივის საფუძველზე სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვის მრავალ მაგალითს ვხედავთ. პროცესებში აქტიურად ერთვება მოსახლეობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სოფლის თემი თავად იწყებს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის (სამკითხველოს, სკოლის დაარსება, თეატრის მშენებლობა, ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ინიციატივის მხარდაჭერა) ფონდების მოძიებას, მართავს კამპანიებს მატერიალურ-ფინანსური რესურსის მობილიზების მიზნით; ამ საქმეში საზოგადოების ფართო ფენები ერთვება. სხვადასხვა სოფელში თუ ქალაქში იმართება ღონისძიებები კონკრეტული საგანმანათლებლო ინიციატივების მხარდასაჭერად.

სოფლები ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მოვლენებისთვისაც ახერხებდნენ მობილიზებას: მაგალითად, 1887 წელს სოფელ ქვემო მაჩხაანის სკოლაში, ამ სოფლის ქალებმა გამართეს სპექტაკლი, რათა ფინანსურად დახმარებოდნენ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.[6] მსგავსი მაგალითი ბევრია და გვიჩვენებს, რომ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში საზოგადოების სამოქალაქო აქტიურობა, მისი თვითორგანიზების უნარი საკმაოდ შთამბეჭდავი იყო.

სამეურნეო გაერთიანებები, კოოპერაცია და ამხანაგობები

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში სასოფლო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო, საწარმოო ამხანაგობები (კოოპერატივები).

6 იქვე: „სოფელი ქვემო მაჩხაანი – ქიზიყის კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი“, თამარ სიხარულიძე, გვ. 49

საზოგადოება იმდენად დაინტერესდა სამეურნეო გაერთიანებებით, რომ 1909 წელს გამოიცა სპეციალური წიგნი „კოოპერაცია. თეორია, ისტორია და პრაქტიკა“[7] და ასევე, გამოდიოდა სპეციალური პერიოდული გამოცემა. ჟურნალ „კოოპერაციის“ მეშვეობით მკითხველი ეცნობოდა ევროპული ქვეყნების გამოცდილებასა და მიღწევებს კოოპერატივების მუშაობის სფეროში.[8]

პროექტის, „ინიციატივა ცვლილებისათვის“, ფარგლებში გამოვიკვლიეთ რამდენიმე ამხანაგობის საქმიანობა, როგორც თანამშრომლობისა და სამეურნეო ინტერესთა გაერთიანების, თვითმოქმედების მაგალითი, როგორც თვითმმართველობის ერთგვარი ფორმა; საქართველოში დღესაც აქტუალურია კოოპერატივებისა და, ზოგადად, შრომითი გაერთიანებების საკითხი. სოფლად მაცხოვრებელ გლეხთა დიდი ნაწილი დღესაც მცირემიწიანია; იგივე პრობლემა იდგა საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც. მცირემიწიანობის გამო სასოფლო-სამეურნეო შრომის შედეგად მიღებული მოგება ოჯახისათვის საკმარისი არ იყო და ამ საკითხის მოგვარების ერთ-ერთი გზა შეიძლება ყოფილიყო სამეურნეო ძალთა გაერთიანება. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, ისტორიული მეხსიერების წინ წამოწევა და გააზრება, რომ მსგავსი სამეურნეო ფორმები საქართველოში საკმაოდ პოპულარული და მიღებული პრაქტიკა იყო;

თვითორგანიზების ტრადიციის წყვეტა

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების შემდეგ, ზემოთ განხილული საკითხები (დეცენტრალიზაცია და თვით-

7 ავტორი კონსტანტინე კანდელაკი, მოსკოვის უმაღლესი კომერციული სასწავლებლის კურსდამთავრებული.

8 „მეცხვარეთა ამხანაგობა – მწყემსი“, დიანა კაკაშვილი. „ინიციატივა ცვლილებისათვის – თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოში, საბჭოთა ოკუპაციამდე.“ სათემო განვითარების ცენტრისა და თანამედროვე ხელოვნების ცენტრი თბილისის გამოცემა, 2015, გვ. 85

მმართველობის რეფორმა, ადგილობრივი დემოკრატია, თემის განვითარება, ინტერესთა ჯგუფების ფორმირება, კოოპერაცია, სამოქალაქო მონაწილეობა) ხელახლა დადგა დღის წესრიგში, როგორც ქვეყნისა და საზოგადოებისათვის სრულიად ახალი და უცხო თემები.

რამ განაპირობა საუკუნის წინანდელი რთული, მაგრამ დინამიკური, დემოკრატიული განვითარების პროცესების, თვითორგანიზების ტრადიციების წყვეტა? ისტორიული მეხსიერების დაკარგვა? რა განაპირობებს დღეს (90-იანი წლებიდან მოყოლებული) სათემო განვითარების სამუშაო პროცესებში წარმოქმნილ პრობლემებს? საზოგადოების დაბალ ინტერესს საერთო საქმისა და სივრცის მიმართ? ადგილობრივი ინიციატივისა და თვითორგანიზების დაბალ მაჩვენებელს?

სოფლის თემის დღევანდელ პასიურობას სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს:

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები ეტაპობრივად შეჩერდა. საბჭოთა რეჟიმი თავიდანვე მტრულად განეწყო აქტიური მოქალაქეების, კერძო ინიციატივის მიმართ. იმ პირთა უმრავლესობა, რომლებიც ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებებისთვის იბრძოდა, საბჭოთა რეპრესიებს ემსხვერპლა. თვითორგანიზებისა და თვითმოქმედების სივრცე გაქრა. გაუქმდა კერძო საკუთრების უფლება, შეძლებულ გლეხებს ქონება ჩამოართვეს; კოლექტივიზაციის პროცესის პირველი ტალღა 1920-იანი წლების ბოლოს დაიწყო, თუმცა გლეხების მასობრივი პროტესტის გამო დროებით შეჩერდა. შემდეგ უკვე 1930-იან წლებში დაწყებული კოლექტივიზაციის მეორე ტალღა მასობრივი ტერორის ფონზე განხორციელდა. კერძო საკუთრების (სასოფლო-სამეურნეო მიწების) გარეშე დარჩენილი სოფლის მაცხოვრებლები კოლექტივებში იძულებით ერთიანდებოდნენ.

საზოგადოებრივი განვითარების პროცესების მიმართ დამახასიათებელი უნდობლობისა და ინტერესის ნაკლებობის მიზეზი შეიძლება იყოს საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის ცნობიერებაში დალექილი ფრაზა – „ინიციატივა ისჯება“.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი „90-იანი წლების პირველი ნახევრის პოლიტიკური ქაოსი და შეიარაღებული კონფლიქტები მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობას გამორიცხავდა“.[9] ქვეყანა მრავალი პრობლემის წინაშე დადგა: მძიმე სოციალურ-ეკონომიკური გარემო, ქვეყანაში გამეფებული უმუშევრობა, სიღარიბე, კორუფცია, არსებული საწარმოო და სხვა ინფრასტრუქტურის მოშლა. ამ ყოველივემ თავისი გავლენა იქონია საზოგადოების ნიჰილისტურ განწყობაზე. საბჭოთა პერიოდშიც და შემდეგ, გარდამავალ ეტაპზეც, სახელმწიფო მართვის სისტემა მაქსიმალურად ცენტრალიზებული იყო, საზოგადოების დიდი ნაწილი გაირიყა პოლიტიკური თუ სოციალური გადაწყვეტილების მიღების პროცესისაგან.[10]

თემის განვითარება დღევანდელი გამოწვევების წინაშე

თემის თვითორგანიზებისა და მობილიზების, ადგილობრივი თვითმმართველობის გამოცდილება საბჭოთა საქართველოს (1921-1991 წწ) ცენტრალიზებული მართვის პირობებში თითქმის არ არსებობდა; მუშაობა ამ საკითხებზე მე-20 საუკუნის 90-იან წლებში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების საფუძველზე დაიწყო.[11] უკვე 25 წელია, ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების საკითხებზე სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია მუშაობს; თემა და სამუშაო მეთოდოლოგია გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნისათვის სიახლეს წარმოადგენდა; საბჭოთა მმართველობის

9 თემთან მუშაობა – გამოწვევები და პერსპექტივები, დავით ლოსაბერიძე. თემთან მუშაობა და თემის განვითარება, დამხმარე სახელმძღვანელო; სათემო განვითარების კოალიციის გამოცემა, 2012 წ. გვ. 70

10 იქვე: გვ. 71

11 იქვე

დროს არ არსებობდა არც დამოუკიდებელი საზოგადოებრივი და სათემო ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება, არც თემთან მუშაობის პრაქტიკა და სამუშაო მეთოდოლოგია. მიუხედავად არაერთი დაბრკოლებისა და პროცესის თანმხლები სირთულეებისა, წლების მანძილზე მუშაობას უშედეგოდ არ ჩაუვლია; გარდა იმისა, რომ დღეისათვის საქართველოში საკმარისი გამოცდილება დაგროვდა, შემუშავდა და დაინერგა თემთან მუშაობის ინსტრუმენტები, ამ პერიოდში გაწეული ძალისხმევის მთავარი შედეგი გახლავთ ადგილებზე (სოფლებში) მოქმედი სათემო ორგანიზაციები, ინტერესთა ჯგუფები და მათი მუშაობა თემის პრობლემების ირგვლივ.[12]

დღის წესრიგში კონკრეტული ორგანიზაციის მიერ დაგროვილი გამოცდილების ურთიერთგაზიარების საკითხიც დადგა,[13] რამაც, თავის მხრივ, თემთან მუშაობის პროცესში არსებული პრობლემების, მიღებული შედეგების, უარყოფითი და დადებითი გამოცდილების კომპლექსურ ანალიზსა და განზოგადებას შეუწყო ხელი. „თანამედროვე ეპოქაში სათემო განვითარების პროცესი უფრო რთული და ყოვლისმომცველი გახდა. დღეისათვის ამ მიმართულებით დამოუკიდებლად მხოლოდ თემი აღარ მუშაობს. პროცესში ერთვება თვითმმართველობები, სახელწიფო სტრუქტურები და კერძო ბიზნესი“, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციები, „რომლებიც დაინტერესებულნი არიან ადგილობრივი პრობლემების ადგილზევე მოგვარებით“.[14]

---

12 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის, თემის განვითარების რესურსცენტრის მონაცემებით – დღეს საქართველოში 100-ზე მეტი სათემო ორგანიზაცია მუშაობს.

13 სათემო განვითარების კოალიცია არაფორმალური გაერთიანებაა და სათემო მობილიზების საკითხებზე მომუშავე ცხრა საზოგადოებრივ ორგანიზაციას აერთიანებს; 2011-2012 წწ. კოალიცია ინტენსიურად მუშაობდა გამოცდილების გაზიარებისა და განზოგადებაზე თემთან მუშაობის მეთოდოლოგიის კუთხით. ამ პროცესში მომზადდა პუბლიკაცია „თემთან მუშაობა და თემის განვითარება“ – დამხმარე სახელმძღვანელო.

14 თემთან მუშაობა – გამოწვევები და პერსპექტივები, დავით ლოსაბერიძე. თემთან მუშაობა და თემის განვითარება, დამხმარე სახელმძღვანელო; სათემო განვითარების კოალიციის გამოცემა, 2012 წ. გვ. 70

შეჯამება

ჩატარებული კვლევის მიზანი იყო თვითორგანიზების პოზიტიური მაგალითებისა და გამოცდილების წინ წამოწევა. თუმცა, ანალიზი შეეხო მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესების დამაბრკოლებელ გარემოებებსაც, რომლებიც იმ-ჟამინდელი პოლიტიკურ-ეკონომიკური წყობის გამო ხელს უშლიდა ცვლილებისკენ მიმართული ინიციატივების განვითარებასა და გაფართოებას.

საქართველოში სათემო განვითარების წინაშე დღეს არსებული გამოწვევების შეფასება და გაანალიზება სრულფასოვანი ვერ იქნება პრობლემის ისტორიულ ჭრილში განხილვის გარეშე. მთავარი, რაც კვლევამ გვაჩვენა, ის არის, რომ თემის განვითარებასთან დაკავშირებულ პროცესებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტული პიროვნებების ინდივიდუალურ თუ გუნდურ ძალისხმევას, ინიციატივას რეალური ცვლილებისათვის;

თემის განსავითარებლად საჭიროა კომპლექსური მიდგომა კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეურნეო თუ სხვა მიმართულებით. ინიციატორები ცდილობდნენ თემზე ორიენტირებული პროგრამები მრავალმხრივი და მრავალდარგობრივი ყოფილიყო; მოეცვა როგორც სოციალური, ისე საგანმანათლებლო თუ ეკონომიკური განვითარების ასპექტები. მსგავსი მიდგომა დღესაც თემთან მუშაობის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. სათემო განვითარების საკითხებზე მსჯელობისას, მთავარი ამოცანა დღეს საზოგადოებაში (განსაკუთრებით სოფლებში) არსებული აპათიისა და ნიჰილიზმის დაძლევის გზების ძიებაა. ვფიქრობთ, წარმატებული ისტორიული გამოცდილების წინ წამოწევა შეიძლება იყოს ამ აპათიის დაძლევის ერთ-ერთი საშუალება. თუკი ჩვენი საზოგადოება წინა საუკუნეში ქვეყნის განვითარების მონაწილე იყო, თუკი სამოქალაქო აქტიობა და თვითორგანიზება ჩვენი კულტურის ნაწილს წარმოადგენდა, მონდომების შემთხვევაში, ახლაც შეიძლება იგივე განმეორდეს.

პროექტის გუნდი ეცდება განაგრძოს აღნიშნული კვლევა, უფრო კონკრეტულად შეისწავლოს და განიხილოს პრობ-ლემები.

შემდგომი კვლევის მიზანია, სიღრმისეულად გაანალიზოს სახალხო უნივერსიტეტები, შრომითი უფლებებისთვის ბრძო-ლის მაგალითები, თბილისში მოქმედი საზოგადოებების, ქალთა კონკრეტული ორგანიზაციებისა და კოოპერატივების საქმიანობა.

>>

1

სოფლის თვითმმართველობა და თვითორგანიზების გამოცდილება

ნესტორ წერეთელი - კუხისა და გუბის „დიქტატორი“

[ირაკლი ხვადაგიანი]

„ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობას დაარსებიდგანვე საძირკვლად ჩაედგა წესიერება და საქმის სამსახური და დღესაც იგი აქვს გადებული გზათ და ხიდათ და იგი ასულდგმულებს“.

მე-20 საუკუნის დასაწყისში, ქუთაისის მაზრის დასავლეთი ნაწილი, ერთგვარი ნახევარკუნძული რიონისა და ცხენისწყლის შესართავში, მჭიდროდ დასახლებული საცხოვრებელი ზონა დაბა ხონსა და სამტრედიას შორის, ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და მაღალი პოტენციალის მქონე სამრეწველო რეგიონი იყო. სოფლის მეურნეობა, გაცხოველებული ვაჭრობა, კულტურული ცხოვრება მხარეს სხვა რეგიონებისთვის სანიმუშოდ აქცევდა და განახლებული ცხოვრების მაგალითი იყო უცხო თვალისათვის.

„...რაც უფრო უახლოვდებით ხონს, მით უფრო გაკვირვებსთ ნაყოფი მათი შრომის, ბეჯითობის და მუყაითობისა. ნაირ-ნაირი სახლები, ფართო ლამაზი ეზოები, ჩინებული ღობეები მოხდენილად ჩამწკრივებულია შარის პირათ და მგზავრს ერთიანათ იტაცებს. ამ საერთო ჰარმონიას არღვევს მხოლოთ აქა-იქ, თუმცა იშვიათათ ჩაჩხირული ისლით დახურული მიწური სახლები, რაიცა გაგახსენებს იმას, რომ „ღმერთმა ერთი რათ აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო“. მარა რაც არ უნდა იყოს, ცხონებულთა რიცხვი აქ ბევრია და ესენი თითქმის სულ

ყველა გუშინდელი ვიგინდარებია. ყველა გამოჩენილ ადგილას გლეხები სახლობენ, ხოლო სადღაც უკან, მიმალულ ადგილებ-შიდაზნაურები. ამ ქვეყნის ბრუნვას აქ გლეხობა წამოუყენებია წინ, მარა არა ისე, როგორც ყოველგან, არამედ სულ სხვანაირათ, ხონურათ. ხონელი გლეხი უკვე ბურჟუათ გამხდარა და თავისი საკუთარი ელფერი აქაურობისათვის დაუჩნევია. არ არის ჩვენში კუთხე, რომელიც ისე ღრმათ იყოს გაჟღენთილი ბურჟუაზიული მიდრეკილებით, როგორათაც ხონი და მისი მიდამოებია და ამასთანავე არ არის ისეთი კუთხე, რომელსაც ისე ღრმათ აჩნდეს ბეჭედი თანამედროვე კულტურის, როგორათაც ეს ხონის სამფლობელოშია. ფულს თან შემოჰყოლია კულტურაც და ძველი ხონი განუახლებია და როცა თქვენ გესმით „ხონელიო“ – ეს უთუოთ ხონში მცხოვრებელს კი არ მოასწავებს, არამედ მის ახლო-მახლო მდებარე სოფლებში მცხოვრებელსაც. შორეულ სოფელთაც კი თავი მოაქვთ თავისი „ხონელობით“[1].

მხარის ეკონომიკურ აღმავლობას, ერთი მხრივ, განაპირობებდა ბუნებრივი მდგომარეობა, სატრანსპორტო მაგისტრალების ხელსაყრელი გადაკვეთა, ქუთაისი-ზუგდიდის გზატკეცილი, ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზი და მდინარე რიონის ნაოსნობა, ასევე დაბა ხონის უძველესი ტრადიციული სავაჭრო ცენტრის ფუნქცია, რომელიც დასავლეთ საქართველოს მთიანეთისა და დაბლობის სამეურნეო პროდუქციას იზიდავდა. მაგრამ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ახალი ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, მხარის ნახტომისებური განვითარება და თავისებური „კულტურული რევოლუცია“ ნაწილობრივ მაინც იმ აქტიური, ენთუზიასტი და იდეური მოქალაქეების დამსახურებაც იყო, რომლებიც მთელ თავიანთ ენერგიას საკუთარი მამულის, სახლისა და დუქნის იქეთ, სოფლის, თემისა და მხარის ეკონომიკურ, სოციალურ წინსვლაში აბანდებდნენ და ხშირად ფინანსებსაც, უკუგების მოლოდინის გარეშე.

ერთ-ერთი მათგანი სოფელ გუბის მკვიდრი ნესტორ წერე-

1 „კვირიდან კვირამდე“, „კვალი“, # 18, მაისი 1899 წ.

თელი იყო, რომელმაც 20 წელზე მეტი ხნის შრომით მოახერხა ხონის მიმდებარე სასოფლო თემების ამოძრავება, რამაც დიდი ეკონომიკური და სოციალური ძვრების გამოწვევა შეძლო. მას, დიდი ავტორიტეტისა და სოფლის დაუღალავი მუშაკობის გამო, ხუმრობით კუხისა და გუბის პატრიოტსა და დიქტატორს ეძახდნენ.

ნესტორ წერეთელი – პირველი ნაბიჯები თემის განვითარებისათვის

ნესტორ იოსების ძე წერეთელი სოფელ გუბში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დასრულების შემდეგ სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტში განაგრძო, თუმცა სუსტი ჯანმრთელობის გამო იძულებული გახდა ე.წ. „იაროსლავის ლიცეუმში“ (იაროსლავის დემიდოვის იურიდიული ლიცეუმი, უმაღლესი იურიდიული სასწავლებელი) გადასულიყო, სადაც ვეღარ შეძლო სწავლის დასრულება და სამშობლოში დაბრუნდა. სტუდენტობისას შეთვისებული პროგრესული იდეებით მოტივირებულმა ნესტორმა გადაწყვიტა საკუთარი მხარის, ხონის შემოგარენის სოფლების საზოგადოების, კუხის, გუბის, ახალშენის, ივანდიდისა და გოჩა-ჯიხაიშის თემების განვითარებისათვის ეზრუნა. 1883 წელს, დაბრუნებისთანავე, მისი ინიციატივით, სოფელ კუხში ვაჟთა სასწავლებელი მოეწყო, სადაც თავადვე მასწავლებლად დაიწყო მუშაობა.

ნესტორი ასევე გახდა ხონში კულტურული ცხოვრების წამახალისებელი და თეატრალური წარმოდგენების გამართვის ერთ-ერთი მოთავე. პარალელურად, ნესტორ წერეთელი აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პრესაში; საზოგადოებას აცნობდა ხონის თემის ცხოვრების სურათებსა და პრობლემებს. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სასოფლო ამხანაგობების ისტორიის შესწავლასა და პოპულარიზაციას; იგი პრესაში აქვეყნებდა კრიტიკულ წერილებს რუსეთსა და კავკასიაში მოქმედი სასოფლო ამხანაგობების მოქმედების პრინციპების, პრაქტიკისა და სტატისტიკის შესახებ. რითაც,

ერთი მხრივ, ხელს უწყობდა მოსახლეობის დაინტერესებას ამხანაგობებით, მეორე მხრივ, პრაქტიკულ მუშაობაზე დაკვირვებითა და კრიტიკით, საშუალებას აძლევდა მკითხველს წინასწარვე გაეთვალისწინებინა საფრთხეები და პრობლემები, რომლებიც საქართველოს პირობებში იჩენდა თავს.

1883 წელს ნესტორმა ძმასთან ერთად ხონში ქართული წიგნის მაღაზია გახსნა, გამოიწერა ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც მანამდე ამ მხარეში მიუწვდომელი იყო. მაღაზია მალე გახდა პოპულარული და წარმატებული. ნესტორს სხვა მოქალაქეებმაც მიბაძეს ხონსა და ქუთაისში. განსაკუთრებული წარმატება წიგნის მაღაზიას ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების გავრცელებამ მოუტანა, რომელზეც დიდი მოთხოვნა იყო.

ამავე პერიოდში ნესტორ წერეთლის ინიციატივით სოფელ გუბში სოფლის სკოლა მოეწყო, რომლის მზრუნველი და სასკოლო ლიტერატურით მომმარაგებელიც, სიცოცხლის ბოლომდე, თავადვე იყო.

ნესტორ წერეთელს საკუთარ სახლში გახსნილი ჰქონდა ჰომეოპათიური აფთიაქი და დიდ დახმარებას უწევდა მიმდებარე სოფლების მოსახლეობას.

ცხენისწყლის არხი

ხონის მხარის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამელიორაციო სისტემის მოწყობას, რომლის მოთავეები ადგილობრივი საზოგადოების ლიდერები – ივანე შარაშიძე, ნესტორ წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე იყვნენ. მიუხედავად მხარის უხვწყლიანობისა, კლიმატის არასტაბილურობის გამო, პერიოდული გვალვები სერიოზულ პრობლემას უქმნიდა ნათესებსა და ხეხილს. ინიციატორები 1880-იანი წლების განმავლობაში მუშაობდნენ მდინარე ცხენისწყლიდან სარწყავი არხის გაყვანის გეგმაზე, რომელიც ირიბად გადაჭრიდა ხონის მიმდებარე ტერ-

იტორიას ჯიხაიშისაკენ და მდინარე გუბისწყალს შეუერთდებოდა, თუმცა მოსახლეობის ინერტულობის, უნდობლობისა და ხელისუფლების სიზანტის გამო, საქმის დაძვრა მხოლოდ 1891 წლისათვის მოხერხდა. არხის მშენებლობაში მონაწილეობდნენ: ხონის, საწულუკიძეოს, კუხის, გუბის, ივანდიდის, დიდი ჯიხაიშის, ეწერისა და იანეთის მოსახლეები. მათ მშენებლობისათვის 4 000 მანეთის შეგროვება შეძლეს და ერთი წლის განმავლობაში მორიგეობით მუშაობდნენ არხის გაჭრაზე. 1891 წლის 17 ნოემბერს, სასინჯი გაშვების შემდეგ, 1892 წლის 25 მაისს, არხი საზეიმოდ გაიხსნა. იგი 78 კილომეტრის სიგრძის იყო და 25 000 მოსახლის 12 000 დესიატინა ფართობის მიწას რწყავდა.

მოგვიანებით სოფლებში დიდი დისკუსია, უნდობლობა და კონკურენცია გამოიწვია სარწყავი წყლის სამართლიანი განაწილების პრინციპმა. გაჩნდა ორი პროექტი. პირველს სახელმწიფო სამმართველო უჭერდა მხარს და ნიკო ნიკოლაძის დიდი ავტორიტეტი ამყარებდა, რომლის თანახმადაც, რამდენიმე სოფელს უნდა მოელაპარაკა და ერთი წარმომადგენელი აერჩია წყლის განაწილების რეგულირების საბჭოში. ამ სისტემის კრიტიკოსები, ნესტორ წერეთლის მეთაურობით, შენიშნავდნენ, რომ ასე მცირე ტერიტორიაზე, რამდენიმე სოფლის გაერთიანება წარმომადგენლის ასარჩევად და კოლეგიურ ორგანოში წარსადგენად, ძალიან მძიმე ამოცანა იყო, რამდენადაც მსგავსი მექანიზმი რუსეთის შიდა გუბერნიებში მოქმედ ადგილობრივ თვითმმართველობებს, ერობებს, თუ ჰქონდათ. კავკასიაში, სადაც ერობას მოსახლეობა ვერ ეღირსა, მოუმზადებელ სოფლებს ახლა „წყალსადენის თვითმმართველობის“ მოდელს სთავაზობდნენ. ნესტორ წერეთლის ბანაკის მოსაზრებით, საჭირო იყო თითო სოფელს თითო პირი გამოეყო წყალსადენის რეგულირების საქმეში. თუმცა პრაქტიკაში მაინც პირველი მოდელი დაინერგა.

ნესტორ წერეთლის პირველი სამეურნეო ინიციატივა

კუხის სკოლაში, მასწავლებლობის პარალელურად, ნესტორ წერეთელმა გადაწყვიტა თავადაც შეესწავლა მეურნეობის რომელიმე დარგი, მოსწავლეებიც ჩაება სამეურნეო განათლების მიღებასა და საკუთარი შემოსავლის, ცხოვრების სახსრის მოპოვებაში. სკოლის მესვეურებმა მიმდებარე მიწის ნაკვეთები, 400 საჟენის ფართობი, სკოლისთვის შემოღობეს და საცდელი მეურნეობა მოაწყვეს.

ნესტორმა ქუთაისელი სკოპეცი[2] მეფუტკრისაგან შეიძინა ფუტკრის ერთი ოჯახი და თანამედროვე მოდელის გასაშლელი სკა, რომელსაც დამატებით გარე ნაწილები მინის ჰქონდა. ეს საშუალებას აძლევდა მას პერიოდულად დაკვირვებოდა ფუტკრების ქცევას. მას მეფუტკრეობის შესახებ ზედაპირული ცოდნა ჰქონდა. მხოლოდ წიგნით ხელმძღვანელობდა და სურდა პრაქტიკული გამოცდილება შეეძინა. რამდენიმე წლის განმავლობაში, მეფუტკრეობის შესახებ ახალი ლიტერატურის გამოცემის, სპეციალური ტექნიკის (ამერიკული პირბადეებისა და ხელთათმანების და ა. შ.) შეძენისა და პრაქტიკული მეცადინეობის კვალდაკვალ, 1887 წლისათვის, ნესტორმა შეძლო 12 სკის მოწყობა და მიღებული შემოსავლით კიდევ 50 სკის შეძენა.

ნესტორმა გადაწყვიტა, სკოლის მოსწავლეებიც ჩაება საფუტკრის განვითარებაში; მისი რჩევით, 8 მოსწავლემ საზიაროდ შეიძინა 4 სკა და მისი მოვლისა და გასაშლელი სკების დამზადების შესწავლას შეუდგა; მეფუტკრეობის გაკვეთილები სკოლის ყველა მოსწავლეს ერთად უტარდებოდა. მალე გამოჩნდა, რომ მოსწავლეები, რომლებმაც სკები ვერ ან არ შეიძინეს, ნაკლები ენთუზიაზმით ეკიდებოდნენ სწავლას, ხოლო მესაკუთრეები კი – პირიქით. სწავლის დასასრულისას მათ უკვე სამ-სამი საკუთარი სკა ჰქონდათ მოწყობილი.

---

2 რუსული სექტანტური მიმდინარეობა, რომლის მიმდევრები ხელისუფლების დევნის გამო გადმოასახლეს იმერეთში.

ამგვარი პრაქტიკული მაგალითი მიმზიდველი აღმოჩნდა ადგილობრივი საზოგადოებისათვის; ნესტორის დახმარებით მალე, 1890 წელს, უკვე ოფიციალურად დაარსდა სასკოლო საფუტკრეები: კუხის, გუბის, ხონის და დიდი ჯიხაიშის სკოლებთან. მათ შეიძინეს ორ-ორი გასაშლელი სკა და მათი პრაქტიკული ხელმძღვანელობა ნესტორს ჩააბარეს. დიდი ჯიხაიშის სკოლის დირექტორმა დამატებით შეიძინა და სკოლაში დადგა 15 სკა.

ხსენებულ სოფლებში ხშირად ტარდებოდა ქუთაისის მაზრის მასწავლებელთა პრაქტიკული მეცადინეობები, სადაც ნესტორ წერეთელი მათ სასკოლო მეფუტკრეობის გამოცდილებას უზიარებდა.

კუხისა და გუბის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა

რუსეთის იმპერიაში და კავკასიაში სასოფლო ამხანაგობების მოქმედების ანალიზის შესწავლის კვალდაკვალ, ნესტორ წერეთელმა სოფლის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის დაარსება გადაწყვიტა. შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, რეალურად სასოფლო ბანკს წარმოადგენდა, რომელსაც კოოპერაციული ხასიათი ჰქონდა. საწყისი კაპიტალი მეწილეების, სოფლის მოსახლეობის შენატანებით იქმნებოდა, რომელსაც საკუთარი სარგებელი, პროცენტი ერგებოდა და შეღავათიანი პირობით გასცემდა სესხს შემომტანებზე. ამხანაგობას სხვა ბანკებისა და კერძო პირებისგან შეეძლო კომერციული სესხების აღება, ასევე არაწევრ პირებზე საპროცენტო განაკვეთით სესხის გაცემა.

ამხანაგობის დამაარსებლები სოფელ გუბისა და კუხის გლეხები გახდნენ. მმართველობა ინიციატორს, ნესტორ წერეთელს ჰქონდა მინდობილი, თანაშემწე კი მღვდელი პეტრე ცაგარეიშვილი იყო.

ამხანაგობის ამოქმედებისას დაბრკოლებად იქცა გოჩა-ჯიხაიშში არსებული ანალოგიური ამხანაგობა, რომლის

მოთავეებთან შეთანხმება და ერთიანი მოქმედება კუხისა და გუბის მოსახლეობამ ვერ შეძლო. ამ მიზეზის გამო ახალი ამხანაგობისადმი ნდობა იმთავითვე დაეცა და 300 მსურველიდან დამფუძნებელი მხოლოდ 27 მოსახლე იყო, რომელთა „პაიმ“ (დაწესებული იყო 50 მანეთი), 630 მანეთი შეადგინა და ახალმა სასოფლო ბანკმა ამ თანხით დაიწყო მოქმედება.

დიდი რისკის მიუხედავად, ამხანაგობამ დაარსებიდან, 1883 წლის აპრილიდან, სტაბილურად განვითარება მოახერხა: 10 წლის განმავლობაში წევრთა რიცხვი 27-დან 400-მდე გაიზარდა (95% გლეხი). „პაის“ ოდენობა პირველი წლიდან 1 972 მანეთიდან 9 069 გახდა. მეათე წლის ბოლოს ბანკის ფულის ბრუნვა 42 243 მანეთს შეადგენდა, ხოლო აქტივში ათი წლისთავისათვის ბანკს 18 468 მანეთი ჰქონდა. ამხანაგობის წარმატება მეტწილად განაპირობა წევრების ცოდნამ, პატიოსნებამ და საერთო სარგებელის შეგრძნებამ, რაც მონაწილეებს საშუალებას არ აძლევდა ზერელედ და დაუდევრად მოპყრობოდნენ ნასესხებ თანხას, აუცილებელი საჭიროების გარეშე გაეტანათ ფული და სესხის დაბრუნების ვადა დაერღვიათ.

სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის განვითარების საფუძველი გახდა მეწილეების ერთობის სიმტკიცე. ამხანაგობის მონაწილე 200-მდე გლეხმა საკუთარი ყანები და ვენახები გააერთიანა; ბანკის მოგების ნაწილი თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენაზე იხარჯებოდა. ყიდულობდნენ ვენახის შესაწამლ მანქანებსა და ქიმიკატებს. ამხანაგობამ მოაწყო საერთო სასიმინდე, სადაც ყველა ოჯახი თითო გოდორ სიმინდს აბინავებდა და შექმნილი ფონდიდან წლიდან წლამდე სესხად სიმინდს გასცემდა იმ წევრებზე, რომელთა მოსავალიც დაზარალდებოდა ან არასაკმარისი იქნებოდა. განსხვავებით სასოფლო ბანკისა, საზოგადო სასიმინდეს უფრო მეტი მონაწილე ჰყავდა არაწევრთა ჩათვლით. საშუალო ანგარიშით, ინიციატივის დაწყებისას, ზედიზედ მოუსავლიანი წლების მიუხედავად, სასიმინდემ 500 გოდორი სიმინდი გასცა სესხად და ერთი ამდენივე რეზერვში ჰქონდა გადანახული.

ამხანაგობის მოგების წილი ასევე გადადებული იყო ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად, სოფლის გზებისა და ხიდების შესაკეთებლად. ამხანაგობის მეორე დაბრკოლება იყო სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურის მხრიდან უყურადღებობა. ტფილისში არსებული სასოფლო ბანკების კომიტეტი ვერ ახერხებდა ყურადღება მიექცია, რჩევებით თუ ლიტერატურის მიწოდებით, დახმარებოდა ამხანაგობებს. ამიტომ, გუბისა და კუხის ამხანაგობას პეტერბურგში არსებულ მთავარ კომიტეტთან უწევდა დაკავშირება, რათა მისგან ფაქტურები და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტები შეეძინა.

გუბისა და კუხის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა წარმატებული სასოფლო ბანკი აღმოჩნდა, რომელმაც ზარალისა და დანაკარგის გარეშე 20 წელზე მეტი იარსება. მხოლოდ ინიციატორის, ნესტორ წერეთლის, გარდაცვალებისა და რუსეთის 1905 წლის რევოლუციის შემდგომ შექმნილმა კრიზისმა შეაფერხა. ნესტორ წერეთლისთვის ამხანაგობის წარმატება და სიძლიერე მომავალში სხვა მნიშვნელოვანი ინიციატივის საფუძველი გახდა.

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით 60-80-იან წლებში, საქართველოსა და კავკასიაში გავრცელებულ ძველ კულტურას, აბრეშუმის წარმოებას, შეწყვეტის საფრთხე შეექმნა. ევროპიდან გავრცელებული აბრეშუმის ჭიის ეპიდემიამ სრულად გაანადგურა ენდემური ჯიშები.

მანამდე ადგილობრივ მეურნეებს, რომელთა შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო ტრადიციული, კუსტარული წესით დამზადებული აბრეშუმის ქსოვილი იყო, საფუძველი შეურყია ეკონომიკურმა ცვლილებებმა და მანუფაქტურული წარმოების გამოჩენამ. გლეხი ვეღარ ახერხებდა კონკურენცია გაეწია საქსოვი ქარხნებისათვის, ამიტომ აღარ მისდევდა აბრეშუმის პარკიდან ძაფის ამოხვევასა და დართვას; წარ-

მოების ბუნებრივი ციკლის შეწყვეტამ და კონკურენციამ მას საშუალება მოუსპო თავადვე გამოეყვანა აბრეშუმის თესლი და დამოკიდებული გახდა კომერსანტებზე, რომლებიც სეზონის დასაწყისში მზა თესლს ჰყიდნენ, სეზონის ბოლოს კი აბრეშუმის პარკს იბარებდნენ.

ამ პრობლემების მიუხედავად, გლეხებისთვის აბრეშუმის წარმოება მაინც არ კარგავდა მიმზიდველობას. თუმცა სარგებელი წლიდან წლამდე მცირდებოდა; ხშირი იყო შემსყიდველთა „პირის შეკვრა“ და ფასების დაგდება, ან შესყიდვის დაგვიანება, რის შედეგადაც გლეხები იძულებული იყვნენ ან პარკის დაღუპვას შეგუებოდნენ ან ძალზე დაბალ ფასად ჩაებარებინათ გადამყიდველისათვის.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის იმპერიის ცენტრი არ იყო დაინტერესებული კავკასიაში აბრეშუმის წარმოებისათვის შეეწყო ხელი. მისთვის საკმარისი იყო ნედლეულის ამოღება და ცენტრალური საქარხნო წარმოებისათვის მიწოდება. თუმცა ათწლეულების მანძილზე დარგის განვითარებამ ცენტრი დაარწმუნა, ხელი შეეწყო ადგილზე აბრეშუმის წარმოებისთვის. რადგან აბრეშუმის კულტურისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები და ძველი კულტურა მხოლოდ კავკასიის რეგიონში არსებობდა. იმპერიის ხელისუფლებამ ტფილისში დააარსა აბრეშუმის ცენტრალური სადგური, რომელსაც ზედამხედველობა უნდა გაეწია აბრეშუმის ჯიშების განვითარებისათვის, დახმარებოდა მწარმოებლებს ახალი ტექნოლოგიების ათვისებაში; ხელსუფლებამ, ასევე კავკასიაში, კარი გაუღო უცხო ქვეყნების მწარმოებლებს საკუთარი ქარხნების გასახსნელად. ამ პროცესების კვალდაკვალ კავკასიაში აბრეშუმის წარმოების წამყვან ზონად დასავლეთ საქართველო, იმერეთი იქცა. თუმცა დარგის განვითარებას ძალზე აფერხებდა საშუამავლო ვაჭრობის დაუნდობელი სიხარბე და წარმოების განვითარების დაბალი დონე.

1895 წელს, ნესტორ წერეთლის ინიციატივით, სასოფლო ბანკის ორგანიზების გამოცდილებით წახალისებულმა ხონის მიმდებარე სოფლების თემებმა „ქუთაისის გუბერნიის მეაბ-

რეშუმეთა პირველი ამხანაგობა დააარსეს“.

ნესტორ წერეთელი ამხანაგობის ორგანიზებას 1889 წლიდან შეუდგა; მან, კავკასიის სოფლის მეურნეობის გამოფენაზე, შეისწავლა აბრეშუმის ქარხნული დამუშავების პრინციპები; დაუკავშირდა კავკასიის აბრეშუმის სადგურს, ასევე მოსკოვის პოლიტექნიკური მუზეუმის მეაბრეშუმეობის განყოფილებას და გაუმჯობესებული დაზგები გამოიწერა. ამ დროიდან მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ხსენებულ განყოფილებასთან; 1894 წელს ახალი ტექნოლოგიების ასათვისებლად მოსკოვშიც ჩავიდა.

მეაბრეშუმეთა ამხანაგობის მოწყობის ძირითადი ამოცანა სოფლებში აბრეშუმის მწარმოებლების შეკავშირება, ნედლეულის დამზადებისა და რეალიზაციის პროცესიდან შუამავალი ვაჭრების განდევნა იყო: ამხანაგობის ჩანაფიქრით, მას ხარისხიანი თესლით უნდა მოემარაგებინა მეაბრეშუმეები, ადგილზე მოეწყო პარკის საწყობები, გადამამუშავებელი და ძაფსახვევი მანუფაქტურები და თავადვე ეპოვა დამზადებული პარკის სარეალიზაციო ბაზარი.

ამხანაგობის პირველი მმართველი ნესტორ წერეთელი გახდა; მოლარე – პეტრე ცაგარეიშვილი, მდივანი – მ. მაჭარაძე (კუხის სკოლის მასწავლებელი). აირჩიეს სარევიზიო კომისია თავად დ. წულუკიძის, პედაგოგების სტეფანე გაგუასა და ალექსანდრე მაჭარაძის შემადგენლობით.

დამფუძნებელი სულ 24 მოქალაქე იყო. ამათგან 20 მამაკაცი და 4 ქალი; ერთი თავადი, სამი მღვდელი, ოთხი პედაგოგი და 16 გლეხი. გუბისა და კუხის ამხანაგობის გარდა, ამხანაგობას ფინანსურ გარანტად თავადი დიმიტრი მაჭუტაძე დაუდგა და ასევე დაეხმარნენ ხონელი ვაჭრებიც. დაწესებული „პაი“ 10 მანეთს შეადგენდა და მისი მაქსიმალური ოდენობა 100 იყო, თუმცა საკითხის გადაწყვეტისას ყველა მეწილეს ერთი ხმა ჰქონდა.

წლის განმავლობაში ამხანაგობას, ენერგიული მუშაობის შედეგად, 400-მდე წევრი შეემატა. თვალში საცემი იყო ქალების ჩართულობა და აქტიურობა. ამხანაგობამ კუხში მოაწყო პარკის საშრობი ფარდულები და ძაფსახვევი მანუფაქტურა, სადაც ახალგაზრდა გოგონებმა ძაფის ამოხვევისა და ქსოვის შესწავლა დაიწყეს. ამხანაგობა მათ, ხელფასის გარდა, სპეციალური უნიფორმებითა და დღიური საკვებითაც უზრუნველყოფდა. მალე, 1900 წელს, მათმა ნაწარმმა პარიზის საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ბრინჯაოს მედალი, ხოლო 1901 წელს კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე, ოქროს მედალი დაიმსახურა. საქსოვი ფაბრიკა მნახველებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა და მომავლის იმედს უღვიძებდა:

„...დიდს აღტაცებაში მოგიყვანთ აგრეთვე აბრეშუმის ქარხანაში მომუშავე სოფლის გოგოები, რომელნიც ქსოვის შესასწავლად დაიარებიან ქარხანაში და რომელთაც ცოტაოდენად კიდეც შეუსწავლიათ ქსოვის საქმე, რისთვისაც ყოველ დღიური გასამრჯელო ფასიც ეძლევათ ქარხნიდამ. ასე მაღლა დგას ჩვენი სოფლის გლეხის გონება, რომ მას შეუძლიან ყველაფერი მალე და გაუჭირვებლად შეითვისოს, თუ მას თქვენს მაგალითს დაანახვებთ, საქმეს აჩვენებთ და არა ცარიელის სიტყვებით გამოუჭედავთ ყურებს...“[3]

მოდევნო წლებში ამხანაგობის განყოფილებები გაიხსნა ფარცხანაყანევში, მაღლაკში, დიდ ჯიხაიშსა და მათხოჯში. ამხანაგობამ მალევე შეიძინა რეპუტაცია და გავლენა მოიპოვა მიმდებარე ზონაში; საუკეთესო ხარისხის თესლის, „გრენის“ (რომელსაც მოსახლეობაში „წერეთლის“ სახელი შერჩა) მიწოდებით, პარკის ნაწილობრივ ადგილზე დამუშავებითა და ექსპორტით, სტაბილურად დაიწყო მოგება, როგორც წევრებისათვის, ასევე აბრეშუმის გარე ჩამბარებლებისათვის. კერძო შუამავალი ვაჭრებიც კი ნედლეულს ხშირად ამხანაგობას აბარებდნენ გადასამუშავებლად და საექსპორტოდ. რამდენიმე წელიწადში ამხანაგობის წევრთა რიცხვმა 2000

3 კორესპონდეცნია. ს. კუხი. ივანე გორდაძე, „ივერია“ # 45, 1896 წ.

მიაღწია. მან გააფართოვა საშრობი საწყობები, საქსოვი ქარხანა და პარკის ექსპორტის გზების ძიება დაიწყო.

პარკის პირველი საცდელი პარტიის ევროპის ბაზარზე გატანაში ამხანაგობას მისი ერთ-ერთი კონსულტანტი, შავი ქვის ცნობილი მრეწველი და საზოგადო მოღვაწე, იოსებ კაკაბაძე დაეხმარა. მან მარსელში მისთვის გადაგზავნილი პარკის საცდელი პარტია ანალიზისთვის წარადგინა და სარეალიზაციოდ გაიტანა.

მომდევნო წლებში უკვე ტონობით აბრეშუმის პარკის ექსპორტს, მარსელისა და ლიონის ბაზარზე, უშუალოდ ნესტორ წერეთელი ჩაუდგა სათავეში. რამდენიმე წლის განმავლობაში ქართულმა აბრეშუმის პარკმა საერთაშორისო ბაზარზე კარგი რეპუტაცია შეიძინა; მართალია, სიმტკიცით და ფერით ძაფი არ იდგა პირველ ადგილზე, მაგრამ მრეწველთა განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევდა ფაქტი, რომ ქართული აბრეშუმის პარკიდან ყველაზე მეტი ძაფის ამოხვევა შეიძლებოდა. ამ პერიოდიდან ქართულ აბრეშუმზე, რომელსაც ბირჟაზე „Caucase Coutais“ (კავკასია-ქუთაისი) მოიხსენიებდნენ, მოთხოვნა სტაბილური გახდა. საზღვარგარეთიდან გახშირდა კომერსანტთა ვიზიტები პარკის შესაძენად და მათი მონაწილეობა ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. ამხანაგობამ კი ნედლეულის გასაღების სტაბილური არხი გაჭრა, რამაც აბრეშუმის ფასი ერთიორად ასწია და წარმოება წაახალისა. 1903 წლისათვის ამხანაგობას 2 000-მდე წევრი ჰყავდა და მისი ფინანსური ბრუნვა წელიწადში 3 000 000 მანეთს შეადგენდა. ამხანაგობის საქსოვი მანუფაქტურები მუშაობდა კუხში, გუბში, იანეთში, ხონში, ჩუნეშსა და ქუთაისში. ამხანაგობამ კავშირი დაამყარა ანალოგიურ წამოწყებებთან გურიასა და საქართველოს სხვადასხვა მხარეში. მათ სხვა მრეწველებმაც მიბაძეს. ხონში ამუშავდა აბრეშუმის მეორე ქარხანა მ. სანოძის ხელმძღვანელობით. „..ფაბრიკა მუშაობს და თავისი „გუდოკით“ ხონელებს გადასძახებს: მე ვარ თქვენი მერმისი და თქვენთან ერთად დანარჩენი ქართველებისო“.[4]

---

4 „კვირიდან კვირამდე“, „კვალი“, # 18, მაისი 1899 წ.

წარმატების კვალდაკვალ გაჩნდა სხვადასხვა ძირეული თუ წვრილმანი პრობლემა, რომელმაც ამხანაგობის წარმატება გარკვეულწილად გააფერმკრთალა. მსოფლიო ბაზარზე აბრეშუმზე მოთხოვნილების რყევისა და ფასების დაცემის დასაბალანსებლად, ამხანაგობას უწევდა ადგილზე პარკის შესყიდვის ადრინდელი ფასის შენარჩუნება, რაც პოზიტიურად აისახებოდა კერძო მწარმოებლების განვითარებაზე. მაგრამ ზედმეტი ხარჯი რისკს აჩენდა ამხანაგობის სამომავლო ოპერაციებისათვის. ამავე დროს, საფუძველს უქმნიდა კრიტიკულად განწყობილ მხარეებს, მიეთითებინათ ამხანაგობის ხელმძღვანელობის არარაციონალურ გადაწყვეტილებაზე, რამაც ამ უკანასკნელის ავტორიტეტი შეარყია.

წარმატებული ორგანიზაციის მუშაობამ მალე გააჩინა საფუძველი ვიწრო პიროვნული ინტერესებისა და ამბიციებისათვის, რის გამოც 1903 წლისათვის ნესტორ წერეთელმა ამხანაგობის მართვა ახალარჩეულ გამგეობას გადააბარა. თუმცა, თავად კვლავ აგრძელებდა მონაწილეობას მის მიერ დაძრულ ყველა ინიციატივაში.

ამხანაგობის მიერ ევროპის ბაზარზე გაჭრილმა გზამ საშუალება მისცა სხვა მცირე მრეწველებს, საკუთარი ნაწარმი პირდაპირ გაეტანათ მარსელსა და ლიონში. თუმცა ისინი ვერ ახერხებდნენ ამხანაგობის მიერ დამკვიდრებული მაღალი სტანდარტის დაცვას და ქართული აბრეშუმის რეპუტაციის გამყარებას ხელს არ უწყობდნენ. მიუხედავად ამისა, 1900-იანი წლების დასაწყისში მოთხოვნა ქართულ აბრეშუმზე არ შემცირებულა.

ნესტორ წერეთლის უკანასკნელი ინიციატივა

1903 წლისათვის ნესტორ წერეთელმა თანასოფლელებს საამხანაგო (კოოპერატიული) მაღაზიის დაარსების იდეა გაა-ცნო. იდეა მოიწონეს და მომხმარებელთა საზოგადოებაც დაარსდა, თუმცა მისი ამოქმედება მაღაზიის ადგილის შერჩევის დავამ შეაფერხა. საბოლოოდ, ეს პრობლემაც დაიძლია და მომხმარებელთა ამხანაგობის მაღაზია „ანგარიშმა“ მოქმედება დაიწყო, რომელიც წარმატებულად მუშაობდა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე.

დაძაბული შრომისა და მრავალი პრობლემის გამო ნესტორ წერეთელს ისედაც სუსტი ჯანმრთელობა შეერყა. 1905 წლისათვის იგი მძიმედ იყო დაავადებული ტუბერკულოზით. ბორჯომში მყოფი ნესტორი 1905 წლის 13 მაისს გარდაიცვალა. 16 მაისს იგი ქუთაისში გადაასვენეს, სადაც სადგურზე ნეშტს ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდას“ წევრები[5], საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენლები და ადგილობრივი მოქალაქეები დახვდნენ. პროცესიით გადაასვენეს მშობლიურ სოფელ გუბში. 19 მაისს ნესტორის დაკრძალვაზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. გლეხები 20-30 ვერსის დაშორებიდანაც კი იყვნენ ჩამოსული მისთვის უკანასკნელი პატივის მისაგებად. განსვენებულს გვირგვინებით პატივი მიაგეს „კოლხიდამ“, ქუთაისის ინტელიგენციამ, საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ, მეაბრეშუმეთა პირველმა ამხანაგობამ, გუბისა და კუხის სასოფლო ბანკმა, გუბის, ივანდიდის, ფარცხანაყანევის და ხონის ახალმა ბანკებმა, სოფლის საზოგადოებებმა.

„გულსაკლავ სურათს წარმოადგენდა მიცვალებულის თვალმიუწვდომელი ეზო, როცა შიგ ჩამოვიდნენ განსვენებულის მიერ დაარსებული საფეიქროს მოწაფე ქალები შავებში და

---

5 იხ. დავით ხვადაგიანი, „სამეურნეო ამხანაგობა კოლხიდა“; ინიციატივა ცვლილებისათვის, თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოში, საბჭოთა ოკუპაციამდე. წიგნი პირველი. სათემო განვითარების ცენტრისა და თანამედროვე ხელოვნების ცენტრი თბილისის გამოცემა, 2015 წ., გვ. 94.

ძაძებში გახვეული, გვირგვინებით ხელში. მიცვალებულის გვამთან მივიდნენ და გრძნობიერ სიტყვით მადლობა გადაუხადეს...“[6]

გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს: ნიკო თავდგირიძემ, ბართლომე მოსეშვილმა, ხონელმა პედაგოგმა ილია ბახტაძემ და გლეხმა ვაჭარაძემ.

ნესტორ წერეთელი დაკრძალეს გუბის სასაფლაოზე.

ნესტორ წერეთლის ღვაწლი, იმერეთის მხარეში აბრეშუმის წარმოების განვითარების ისტორია, როგორც წესი, იგნორირებული იყო საბჭოთა პერიოდის სპეციალურ გამოცემებში, რომლებიც ქუთაისის მხარეში აბრეშუმის წარმოების ათვლას 1920-იანი წლების ბოლოდან იწყებენ.

>>

6 ქუთაისის ახალი ამბები. ნესტორ წერეთლის დასაფლავება სოფელ გუბში. „ცნობის ფურცელი“, # 2835, 1905 წ.

ნესტორ წერეთელი

2

კულტურულ-საგანმანათლებლო ინიციატივები და ორგანიზაციები

ნოტიო (ნატო) ლოლუას ქალთა სკოლა ფოთში

[დიანა კაკაშვილი]

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება საქართველოში (ისევე როგორც რუსეთის მთელ იმპერიაში) დაწყებითი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსება, მოსახლეობის ფართო მასების განათლებაზე ზრუნვა, რაც განპირობებული იყო პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი მთელი რიგი ცვლილებებით.

1861 წლის 19 თებერვალს გამოიცა სპეციალური დებულება. მისი მეშვეობით სოფლის მაცხოვრებლებმა მიიღეს უფლება, საკუთარი სახსრებით გაეხსნათ დაწყებითი სკოლები, რომლებიც „საზოგადოებათა სკოლების“ სახელით მოიხსენიებოდა.

1864 წელს კი მიიღეს „დებულება დაწყებითი სახალხო სკოლების შესახებ“; შედეგად, დაწყებითი სკოლების გახსნა შეეძლოთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (ერობებს, ქალაქის თვითმმართველობის ორგანოებს). ყველა სახის სასწავლებელი დაექვემდებარა სახალხო განათლების სამინისტროს. ამასთანავე, რაც მნიშვნელოვანია, ქალებს მიეცათ უფლება და შესაძლებლობა მასწავლებლად ემუშავათ სკოლებში.

უდიდესი იყო თვითმოქმედი საზოგადოებების როლი აღნიშნულ საქმეში. ჩვენში სახალხო განათლების განვითარების ინიციატორიცა და საქმის მოთავეც ქართველთა შორის წე-

რა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იყო, მისი დიდი ძალისხმევით გაიხსნა ასობით სკოლა საქართველოს ამა თუ იმ რეგიონში. პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ქალაქის თვითმმართველობები.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში მომრავლდა კერძო სკოლები და მოსამზადებელი კურსები, რომლებსაც ოფიციალური სკოლების მასწავლებლები და შინამასწავლებლის წოდების მქონე პირები სასწავლო ოლქის ნებართვით ხსნიდნენ. კერძო სკოლები მუშაობდა ოფიციალური დაწყებითი სკოლების სასწავლო გეგმითა და პროგრამით.

ზოგიერთ სკოლას ჰქონდა პანსიონიც[1]. სწავლის საფასური, რასაკვირველია, კერძო სკოლებში ბევრად მაღალი იყო ოფიციალურ სკოლებში დაწესებულ სწავლის ქირაზე, სამაგიეროდ, ბევრ კერძო სკოლაში სწავლების ხარისხიც მაღალი იყო.

ამგვარი საგანმანათლებლო დაწესებულებების მნიშვნელობას, მიზნებსა და საქმიანობას ფართოდ მიმოიხილავს იმდროინდელი პერიოდული პრესა: „საქართველოს მოამბე“, „კვალი“, „ივერია“ და სხვ. არც ნატო ლოლუას სკოლის მნიშვნელობა და საზოგადოებრივი როლი დაუტოვებიათ უყურადღებოდ იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებს.

გაზეთი „კვალი“ სპეციალურ მიმოხილვას უძღვნის ამ ფაქტს – „რა წარმოსადგენია, რომ მეურნეობის ქვეყანაში, საქართველოში, სამეურნეო ცოდნას ისეთი მცირე გასავალი ჰქონდეს და ღარიბი თუ მდიდარი კლასიკურ განათლებას ესწრაფებოდეს? განსაკუთრებით არავითარი პრაქტიკული ცოდნა არა აქვთ ჩვენს ქალებს. და აი, ფოთის ქალაქის თვითმართველობას აღუძრავს შუამდგომლობა, რომ ფოთში დაარსდეს საქალებო სამეურნეო სასწავლებელი.

---

1 დახურული სასწავლებელი, სადაც მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან ბინითა და კვებით.

ეს მეტად სიმპატიური განზრახვა, იმედია, განზრახვად არ დარჩება“[2]. განზრახვა წარმატებულად განხორციელდა – სამკერვალო სახელოსნოთი დაწყებული საქმე კარგად ორგანიზებული, დახვეწილი საგანმანათლებლო პროგრამის მქონე სკოლით დაგვირგვინდა ნატო ლოლუას მეთაურობითა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით.

სკოლის დაარსების იდეა

ფოთის ქალთა სკოლის დაარსების ინიციატორი და სულის ჩამდგმელი იყო ნოტიო (ნატო) ბახვას ასული ლოლუა. იგი 1875 წელს სოფ. ქვალონში (ზუგდიდის მაზრა) დაიბადა, ჯერ ფოთის (1884 წ.) შემდეგ კი ბათუმის (1886 წ.) ერთ-ერთ კერძო სასწავლებელში იღებდა დაწყებით განათლებას, რომელსაც სამკერვალოც ჰქონდა.

1889 წელს, სასწავლებლის დასრულების შემდეგ, ნატო ფოთში დაბრუნდა და თავადაც გაუჩნდა სურვილი დაეარსებინა კერძო სამკერვალო.

იდეის განსახორციელებლად მოძებნა ათი თანამოაზრე ქალი, ნასესხები ფულით შეიძინა საქსოვ-საფეიქრო მანქანები და სამკერვალოც გახსნა თავისივე სახლში. საქმე კარგად აეწყო და სახელიც სწრაფად გაითქვეს, რადგან ყოველივეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ და მათი ნამუშევრები მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა. ამგვარად, სახელოსნო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, არა მარტო იქ დასაქმებულთათვის, არამედ ფოთის მთელი საზოგადოებისათვის.

სამკერვალო მალე პროფესიულ კურსებად გადაკეთდა, რაც ცნობილი მოღვაწეების იონა მეუნარგიასა[3] და ნიკო ნიკო-

---

2 „კვალი“, # 5, 1897 წ.

3 უფრო მოგვიანებით, 1909 წელს, გაიხსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოთის განყოფილება, რომლის თავმჯდომარეც სწორედ იონა მეუნარგია (მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი) იყო.

ლაძის[4] სახელს უკავშირდება. დიდ მორალურ მხარდაჭერას უცხადებდა აგრეთვე ლეონიდ ეპისკოპოსი[5]. მათი რჩევით, 1897 წელს ნოტიომ თავისი სახელოსნო ექვსთვიან კერძო პროფესიულ კურსებად გადააკეთა. მაგრამ, ვინაიდან მას არ გააჩნდა უმაღლესი განათლების დიპლომი, პრობლემები შეექმნა. მეგობრების დახმარებითა და სახელოსნოში მოგროვილი თანხით იგი გაემგზავრა თბილისში, ისწავლა ექვსი თვე და შესაბამისი დიპლომიც მიიღო.

მიუხედავად არასათანადო აკადემიური განათლებისა, ყველა აღნიშნავდა მის მაღალ ერუდიციასა და განსწავლულობას – „ნოტიო ლოლუა სწავლობდა თბილისის ხელსაქმის დაბალ სკოლაში და შემდეგ თავისით განვითარებულა, ამაღლებულა და მადლსა თავისსა უხვად ჰფენს მშობელ ერში“ – წერს გაზეთი „თეატრი და ცხოვრება“[6].

მან თავისი ინიციატივითა და დაუღალავი ძალისხმევით შეძლო არაერთი ადამიანის ცხოვრების შეცვლა – „რა ეშველებოდა სულიერად დაჩიავებულ, რწმენაგამქრალ ადამიანს, რომ სიცოცხლის განახლების ნიშნად აგერ-იგერ იავარდი არ ამოჰყოფდეს თავს და ნივთიერად გახრიოკებულ ქვეყანას თვითშემოქმედი ადამიანნი არ გამოუჩნდებოდნენ ხოლმე“[7].

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლებელი განთავსებული იყო ნატო ლოლუასა და მისი ძმის, ძუკუ ლოლუას[8] საკუთარ სახლში, აქვე იყო პანსიონიც. სკოლა, ძირითადად, სამეგრელოგურიის სოფლებს ემსახურებოდა, თუმცა არაერთი მოსწავლე ჰყოლიათ ქართლიდან და კახეთიდანაც.

---

4 პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. მე-19 საუკუნის 60-იანელთა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

5 1919-1921 წლებში იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

6 „თეატრი და ცხოვრება“, # 11, 1920 წ.

7 „თეატრი და ცხოვრება“, # 11, 1920 წ.

8 ძუკუ ლოლუა (1877-1924) - ცნობილი ლოტბარი, მომღერალი, ქართული ხალხური მუსიკის მოღვაწე.

1920 წელს, საერთო ჯამში, უკვე 300 კურსდამთავრებული ჰყავდა სკოლას და, რაც მნიშვნელოვანია, ისინი თავიანთ სოფლებსა და ქალაქებში აგრძელებდნენ საქმიანობას: გახსნილი ჰქონდათ საკუთარი სახელოსნოები და მუშაობდნენ მასწავლებლებად. ამგვარად, ამ სკოლაში განათლებამიღებული ქალები აქტიურად ჩაერთვნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში და მათმა მოღვაწეობამაც დიდი მასშტაბი მიიღო.

ადგილობრივ მოსახლეობას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ნატო ლოლუას სკოლის მნიშვნელობა, ყოველმხრივ ცდილობდა მხარში ამოსდგომოდა და გაეძლიერებინა იგი. ამის დასტურია შემდეგი ფაქტიც: 1897 წელს წყალდიდობის შედეგად სკოლამ დიდი ზარალი განიცადა.

მხოლოდ საზოგადოების თანადგომით მოხერხდა პრობლემის მოგვარება. თანხის შესაგროვებლად მართავდნენ სპექტაკლებსა და საქველმოქმედო საღამოებს. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიების შესახებ წერს ჟურნალი „კვალი“ – „შობის მეორე დღეს, აქაურ დედათა სკოლის სასარგებლოთ ქ-ნ ო.ა. ნიკოლაძის მეთაურობით გამართულ იქნა „იოლკა“ და საცეკვაო საღამო. საქველმოქმედო საღამომ ჩვენი საზოგადოება ისე მიიზიდა, რომ ბევრნი უბილეთობის გამო გულდაწყვეტილნი დაბრუნდნენ“[9]. ღონისძიებების საშუალებით შეგროვდა 300 მანეთამდე, რომელიც მიემატა სასწავლებლის ახალი შენობის ასაგებად დაარსებულ ფონდს.

სკოლა თანდათან ფართოვდებოდა და, საბოლოოდ „ნატიო ლოლუას პროფესიული კერძო სასწავლებლის“ სახელწოდებაც მიენიჭა. სასწავლებლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 1905-1906 წლები, იგი გაფართოვდა და სასწავლო პროგრამაც დაიხვეწა – უფრო გამრავალფეროვნდა და სწავლებაც სამწლიანი გახდა.

1907 წლიდან აქ ისწავლებოდა შემდეგი დისციპლინები: ჭრა-კერვა, ხატვა-ხაზვა, ქსოვა (სხვადასხვაგვარი – შალეულის,

---

9 „კვალი“, # 5, 1897 წ.

ხალიჩებისა, წინდებისა), აგრეთვე გამოჩენილ მხატვართა, ხუროთმოძღვართა და მოქანდაკეთა ნაწარმოებების ოქრომკედით ამოქარგვა და ამოქსოვა. ამავე დროს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ქართული ენისა და ლიტერატურის, არითმეტიკის, ისტორიის, რუსული ენისა და ლიტერატურის, გალობა-სიმღერისა და საღვთო ისტორიის სწავლებას.

გაზეთ „თეატრი და ცხოვრების“ კორესპონდენტი, იოსებ არიმათიელის ფსევდონიმით დასწრებია გაკვეთილებს, იგი აღფრთოვანებული წერს: „ანგარიშის გაკვეთილი იშვიათად შემხვედრია ასე ხალისიანი ყურადღებით მოცული. ბუნებისმეტყველების გაკვეთილი იყო ერთსა და იმავე დროს ახსნა საგნის, სიტყვათა სხვადასხვა ენით გადაცემა და მათთან დაკავშირებულ შესანიშნავ ადამიანთა ვინაობა-ნაღვაწის გაკვრით განმარტება“[10].

დიდი ადგილი ეთმობოდა კულტურულ საქმიანობასაც – ექსკურსიებსა და ლაშქრობებს. გაზეთი „შინაური საქმეები“ გვაუწყებს ერთ-ერთი ასეთი ღონისძიების შესახებ. მასწავლებელი ა.ჭ. ჰყვება ექსკურსიის ამბებს:

„8 ამა თვისას (სექტემბერი) ღვთის მშობლის შობის დღეს ქალაქ ფოთის ნ. ლოლუას ასულის პროფესიულ შკოლის საღმრთო სჯულის მასწავლებელი მ. გიორგი გეგეჭკორი, შკოლის გამგე ნ. ლოლუა, მასწავლებელნი აგრაფინა კანდელაკი და სხვა მასწავლებლები შკოლის მოწაფე ქალიშვილებითურთ დილით ფოთიდან გავემგზავრენით ექსკურსიით მოსალოცად თეკლათის ღვთის მშობლის დედათა მონასტერში. ...წირვაზედ მწყობრად ქართულად გალობდნენ მონასტრის დები და მათთან ჩვენი შკოლის მოწაფენიც. „აქვე მოინახულეს ადგილობრივი ორკლასიანი სკოლა“.[11]

10 „თეატრი და ცხოვრება“, # 11, 1920 წ.
11 „შინაური საქმეები“, # 11, 1911 წ.

მიუხედავად დიდი წარმატებებისა, სკოლას მატერიალურად მაინც უჭირდა – „სკოლას მცირე შემოსავალი აქვს ძალიან. იანვრიდან ერობამ აღუთქვა თვიურად 4000 მანეთი, ქალაქმა – 1000 მანეთი; ეს არის და ეს. დანარჩენს სკოლის გამგე (ნატო ლოლუა) საკუთარის შრომით ჰფარავს“.[12] ფოთის საზოგადოების შუამდგომლობით, ფოთის საქალაქო თვითმმართველობამ ნიკო ნიკოლაძისა და იონა მეუნარგიას მეთაურობით, ნოტიოს სკოლას თავისი სალაროდან ყოველთვიური სუფსიდია დაუნიშნა.

სკოლამ უამრავი გასაჭირი გამოიარა. ხელისუფლება სასწავლებელს ნეგატიურად შეჰყურებდა, როგორც დესტაბილიზაციის კერას. ამის მთავარი მიზეზი სკოლაში მშობლიური ენისათვის დიდი ადგილის დათმობა იყო.

ნატო ლოლუას ბრალი დასდეს იმაში, რომ სკოლას სეპარატისტული ხასიათი აქვს, ქართულ ენას უპირატესობა ეძლევა რუსულთან შედარებით, რადგან ყველა საგანი ქართულად ისწავლებაო. როგორც ცნობილია, 1884 წელს გამოიცა საგანგებო დადგენილება, რომლის ძალითაც აიკრძალა სამეგრელოს სკოლებში ქართულ ენაზე სწავლება. ანბანი და სახელმძღვანელოებიც კი შეიქმნა, ითარგმნა სასულიერო წიგნები. ბევრი სკოლა ამას ეწინააღმდეგებოდა, რაშიც დიდი დამსახურება კვლავ და კვლავ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიუძღვის.

ხელისუფლება არაერთი გზით ცდილობდა დაერწმუნებინა ნატო ლოლუა, რომ სკოლა სახელმწიფოსათვის გადაეცა, რის შედეგადაც მისი მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, მაგრამ მუქარამ ვერ გაჭრა. შედეგად, 1908 წელს მას დიპლომი ჩამოართვეს, რათა ამ სკოლის ხელმძღვანელობის უფლება წაერთმიათ, მაგრამ საზოგადოება მხარს უჭერდა ნატო ლოლუას და მოცემული ეტაპისათვის შეძლო სკოლის შენარჩუნება.

---

12 „თეატრი და ცხოვრება“, # 11, 1920 წ.

1921 წელს სკოლამ, როგორც კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებამ, არსებობა შეწყვიტა. საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე იგი ჩამოერთვა ნატო ლოლუას და გადაკეთდა საფაბრიკო სკოლად, თუმცა სახელი „ნოტიოს სკოლა“ მაინც დიდხანს შერჩა.

ნატო ლოლუას ხელსაქმის რამდენიმე ნიმუში (ნაქარგობები) ამჟამად დაცულია ქ. ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში.

>>

ნოტიო ლოლუა.

ფოტო: საქართველოს ეროვნული არქივი,
კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების ცენტრალური
სახელმწიფო არქივი.

ევგენი დვალი და „რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის დამხმარე კულტურული საზოგადოება“

[დავით ხვადაგიანი]

> „მარტო პარტიული აგიტაცია-პროპაგანდის გაწევით და სხვა ასეთით მუშა-მშრომელი ხალხი ვერ გათავისუფლდება გაჭირებულ მდგომარეობიდან, ამასთან ერთად საჭიროა სხვა გზითაც მუშაობა ესე იგი ახალი საწარმოვო საქმეების და კულტურულ დაწესებულებათა შექმნა, რაიცა ხალხს ქონებრივად აამაღლებს და ამის საშვალებით კი ყოველგვარ ავაზაკობას, არევ-დარევასა და უკმაყოფილებას ბოლო მოეღება. ყოველივე ამის მიხედვით მოგიწოდებთ ყველა რაჭველ-ლეჩხუმელს და სვანელს, რომ ეს მიზან-წესდება აღიაროთ და დაუყონებლივ შეუდგეთ მის განხორციელებას ცხოვრებაში, იცოდეთ და გრწამდეთ, რომ თქვენი ხსნა-შვება მასშია“.[1]

წერდა ევგენი დვალი მის მიერვე 1906 წელს თბილისში დაარსებულ „რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის დამხმარე კულტურულ საზოგადოების“ წესდებაში, რომელიც მეორედ გამოიცა 1918 წელს.

---

1 მიზანი და წესდება თფილისში არსებულ – „რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის დამხმარე კულტურულ საზოგადოებისა“ (შედგენილი და გამოცემული ევგენი დვალის მიერ 1907 და 1917 წელს თფილის-ქალაქში), თბილისი, 1918 წ.

რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის განვითარება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან საკმაოდ ჩამორჩებოდა სხვა მხარეებს. მიზეზები მხარის ბუნებრივ პირობებსა და სოციალურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული; პრობლემათა შორის პირველი ადგილი მოსახლეობის სიმჭიდროვესა და მიწის სიმცირეს ეჭირა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაკლებობას და მთიანი კლიმატის არასტაბილურობას ხშირად შიმშილის ზღვარზე მიჰყავდა მხარის მოსახლეობა. ამიტომ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო მიგრაცია უკეთესი საცხოვრებელი პირობების შესაძენად ან მუდმივად სახლდებოდნენ კავკასიის სხვადასხვა მხარეში, ან როგორც წესი, სეზონურ მუშა-მოქირავნეებად მიდიოდნენ შორეულ მხარეებში. რაჭველი გლეხების დიდ ნაწილს ნახევარი წლის სარჩო მოჰყავდა მხოლოდ და იძულებული იყო მოსავლის დაბინავების შემდეგ ზამთრობით ე.წ. „საშოვარზე“, „მოსაგებში“ წასულიყო. შესაბამისად, სხვადასხვა ქალაქში გაჩნდა რაჭველ-ლეჩხუმელთა „კოლონიები“. ჩვეულებრივ ფიზიკურ მშრომელებთან ერთად რაჭველი სახლის მშენებელი ოსტატები – კალატოზები, დურგლები, მზარეულები და მეპურეები საქვეყნოდ გახდნენ ცნობილი. მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა კომუნიკაციის, გზების სავალალო მდგომარეობა იყო, რაც მხარეს იზოლაციაში აქცევდა და მისი საზოგადოებრივ და კულტურულ განვითარებას აფერხებდა; წლის დიდი ხნის განმავლობაში მხარე დიდი ხნით მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს, დიდ ქალაქებთან მიუდგომლობის გამო ძნელად ვრცელდებოდა პრესა, წიგნები და, შესაბამისად, განათლების დონე ხალხში დაბალი იყო.

მე-19 საუკუნის ბოლოს საქართველოში სოციალურ-პოლიტიკური პროცესების გააქტიურების, განმანათლებელთა და პოლიტიკური პარტიების მუშაობით განპირობებული თვითორგანიზებისა და საპროტესტო მოძრაობების ექომ, რაჭის მიგრანტი მუშების მშობლიურ მხარესთან კავშირის გზით ამ მხარეშიც მოიკიდა ფეხი და ადგილობრივმა ენთუზიასტებმა დაიწყეს ფიქრი საგანმანათლებლო, სამეურნეო და კულტურულ ინიციატივებზე. თუმცა ამ პროცესს სხვა ბუნებრივ პრობლემებთან ერთად წინ აღუდგა იმპერიის რეჟიმი.

მაგალითად, სოფელ ბაჯში ადგილობრივმა ენთუზიასტებმა სახალხო სამკითხველო მოაწყვეს და მიმდებარე სოფლების კულტურული განვითარებისთვის დაიწყეს მუშაობა. ადგილობრივი ადმინისტრაცია კი დახმარების ნაცვლად „კრიჭაში უდგა“ წამოწყებას.

რაჭა-ლეჩხუმის საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების პრობლემები უფრო თვალსაჩინო ხდება, როცა ამ მოცემულობის პერსპექტივაში დავინახავთ, თუ რატომ ჰქონდა ესოდენ დიდი ეფექტი და მნიშვნელობა 1912 წელს აკაკი წერეთლის მოგზაურობას რაჭა-ლეჩხუმში. ადგილობრივი მოსახლეობისათვის ეს კამპანია იყო ათწლეულებით ნანატრი, სასურველი კულტურული ძვრების მომასწავებელი ჟესტი და მხარის საერთო განვითარების პროცესში ჩართვის სურვილის გამოვლინება.

ევგენი დვალი

მე-20 საუკუნის დასაწყისის პრესის გაცნობისას, სადაც რაჭა-ლეჩხუმის პრობლემებსა და საჭიროებებზეა საუბარი, გვერდს ვერ აუვლი ერთ გამორჩეულ ავტორს – ევგენი დვალს, რომელიც არ ცხრებოდა (როგორც თვითონ წერს ერთგან) ამ მხარის პრობლემებზე წერით. მისი წერილების შინაარსი დატვირთულია რაჭა-ლეჩხუმის ყოფა-ცხოვრების ამსახველი ამბებით, იქაური ცხოვრების მკაცრი პირობების აღწერითა და მუდმივი მოწოდებით რაჭიდან ქალაქებში გასულ მცხოვრებთა მიმართ – დაინტერესდნენ და, შეძლებისდაგვარად, დაეხმარნონ მშობლიურ მხარეს სწავლა-განათლების გავრცელებაში.

ევგენი ნიკოს ძე დვალი დაიბადა 1880 წელს რაჭის მაზრის სოფელ ბაჯში. ადრეული ასაკიდან სამუშაოდ გადმოსახლდა თბილისში; ხელობით მჭედელი, 1900 წლიდან მუშაობდა ზეინკლად და სხვა მუშათა მსგავსად ჩაება თბილისის ქარხნებსა და რკინიგზის სახელოსნოებში მოქმედი სოციალ-დე-

მოკრატიული წრეების[2] მუშაობაში, რომელიც, პოლიტიკური ცოდნის გარდა, საბაზისო – ჰუმანიტარულ განათლებასაც აძლევდა მუშებს.

შესაბამისად, მას არ ჰქონდა აკადემიური განათლება, მაგრამ როგორც იმ დროში იტყოდნენ, ეწეოდა თვითგანვითარებას, („სწავლასა და განათლებასა არა ვარ დაშორებულიო“ წერდა თავისსავე ლექსში) წერდა ლექსებს, მხატვრულ ნაწარმოებებს, თანამშრომლობდა პრესაში (ფსევდონიმებით – „რაჭველი“, „ე. რაჭველი“, „რაჭველ-ლეჩხუმელი“, „ე. ბაჯელი“, „ე. ტასიკოშვილი” და „წმინდა გიორგი“). მუდმივად წერდა რაჭა-ლეჩხუმის ცხოვრებასა და პრობლემებზე; თბილისსა და ბაქოში მუშაობის პარალელურად აქტიურად იყო ჩაბმული კულტურული ცხოვრების გაშუქებაში.

1900 წლიდან იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, პარტიის გაყოფის შემდეგ იყო „მენშევიკი“.[3] აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციაში. რევოლუციის დამარცხების შემდეგ, 1906 წლის დასაწყისში, მეფის ხელისუფლების მიერ რეპრესიების დაწყების შემდეგ, ალიხანოვ-ავარსკის სადამსჯელო ექსპედიციის დროს, რაჭაში დააპატიმრეს და სახლ-კარიც გადაუწვეს სოფელ ბაჯში. გარკვეული ხნის შემდეგ ევგენი დვალი ციხიდან გაათავისუფლეს, ამის შემდეგ ევგენიმ დაიწყო მოქმედება საზოგადოებრივი ორგანიზაციის შესაქმნელად, რომელიც მის მშობლიურ მხარეში სწავლა-განათლების გავრცელებას შეუწყობდა ხელს და ეკონომიურ მდგომარეობასაც გააუმჯობესებდა.

---

2 სოციალ-დემოკრატიული წრეები – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველი ორგანიზაციები თბილისის მუშათა შორის, 1890-იან წლებში.

3 რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „უმცირესობა” – 1903 წლის რსდმპ მე-2 ყრილობაზე განხეთქილების შედეგად წარმოქმნილი ფრაქცია.

„რაჭა-ლეჩხუმ-სვანელ მცხოვრებთა შორის სწავლა-განათლების გამავრცელებელი ამხანაგობა“

1907 წლის დასაწყისში ქართული პრესის ფურცლებზე გამოჩნდა განცხადება: „გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში, რადგანაც რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი უკან სდგას დღეს შედარებით სხვა მხარეებზე სწავლა-განათლების მხრივ თუ შეიძლება ასე ითქვას, რომ ჯეროვან ყურადღებას არავინ არ აქცევს მას რომ ამ კუთხეში შეიტანონ სინათლე, ამიტომ ჩვენ ზემორე ხსენებულ მაზრების მკვიდრნი დროებით თფილისში მყოფნი და მომუშავენი რამდენიმე პირი შევიკრიბნეთ ერთად და ერთხმად დავადგინეთ: შესდგეს რაც შეიძლება საჩქაროთ შემდეგი სახელწოდებით ნებადართული საზოგადოება „რაჭა-ლეჩხუმ-სვანელ მცხოვრებთა შორის სწავლა-განათლების გამავრცელებელი ამხანაგობა“ ამ ამხანაგობის წევრებათ შეუძლიათ იყვნენ ყველა ზემორე ხსენებულ მაზრების[4] მკვიდრნი, განურჩევლად სქესისა და რწმენა მიმართულებისა, რომელნიც კი იქნებიან ხალხის კეთილდღეობის გამომხატველნი.

„ამხანაგობის მიზანი იქნება: ა) გახსნას ბიბლიოთეკა-სამკითხველოები; ბ) გახსნას დროის შესაფერი შკოლები; გ) გახსნას წიგნის მაღაზიები; დ) შეიძინოს ადგილობრივ მკვიდრთათვის შრომის აუცილებელი და საუკეთესო იარაღები.

ამ ამხანაგობის წევრათ შეუძლიათ იყვნენ ყველა ზემორე ხსენებული მაზრების მკვიდრნი, განურჩევლად სქესისა და რწმენა-მიმართულებისა, რომელნიც კი იქნებიან ხალხის კეთილდღეობის გამომხატველნი. საწევრო პაი თითოეულ წევრზე იქნება 10 მანეთი წლიურათ. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ ჯერჯერობით ქ. თფილისში ნიკოლოზის მოედანი მეპურეთა ფქვილების საწყობ კანტორაში. ამხანაგობის მინდობილობით ევგენი დვალი“[5].

---

4 ტერიტორიული ერთეული – რეგიონი. მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან „მაზრა“.

5 „ჩვენი გზა“, # 31, 12.10.1907 წ.

ამხანაგობაში იყო 85 წევრი და თავისი არსებობის დასაწყისში გარკვეული წარმატებებიც კი ჰქონდა: 1906 წელს შედგა რაჭის სამი სოფლის ბაჯის, შავრისა და ღადის (ახლანდელი ღადიში) წარმომადგენელთა კომისია (ხუთი კაცი), რომელმაც იმუშავა და შეაგროვა 1 200 ცალი საუკეთესო წიგნი. მაგრამ ადგილობრივმა ადმინსტრაციამ ხელი შეუშალა და სამკითხველო ვეღარ გაიხსნა, წიგნები კი ევგენი დვალის ხელმეორედ დაპატიმრების შემდეგ ჟანდარმერიამ[6] ამოიღო და გაანადგურა. ინიციატორებს სურდათ შეგროვილი წიგნებით ხელახლა გაეცოცხლებინათ ზემოთ ხსენებული ბაჯის ბიბლიოთეკა, რომელმაც 1906 წელს შეწყვიტა არსებობა – ადგილობრივმა ადმინისტრაციამ შესჩივლა დამსჯელ ექსპედიციას, რომ „ბაჯის სამკითხველოა რომ აჯანყებს ხალხსო“. შედეგმაც არ დააყოვნა და ალიხანოვის კაზაკებს მიწასთან გაუსწორებიათ და გადაუწვავთ სოფელი.

ორგანიზაციის დაშლის მიზეზები

სამწუხაროდ, სიმართლე უნდა ითქვას, რომ მსგავსი სიძნელეების შემდეგ, ორგანიზაციის საქმიანობა წარუმატებელი იყო. მალე გაჩნდა წინააღმდეგობა და დაპირისპირება ევგენი დვალსა და ორგანიზაციის სხვა წევრებს შორის. დაპირისპირების მიზეზები სხვადასხვა იყო; მაგალითად, იუმორისტულ ჟურნალ „ეშმაკის მათრახში“ დაბეჭდილი ფელეტონები, რომლებიც დვალის გაღიზიანებას იწვევდა და ურთიერთბრალდებების საფუძვლად იქცა.

უსიამოვნების მიზეზი ასევე იყო დვალის ლექსები და ნაწარმოებები, რომლებიც ამხანაგობის წევრებს არ მოსწონდათ და მას „ხალხის გამრყვნელს“ უწოდებდნენ. საქმე სამედიატორო სასამართლომდეც კი მისულა, რომელიც მწვავე სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ამხანაგობის წევრები „ეშმაკის მათრახის“ რედაქციისადმი

6 მეფის რუსეთის პოლიცია – სახელმწიფო წეს-წყობილების და კანონიერების დაცვის ამოცანით.

მიწერლ წერილებში ევგენი დვალს გაემიჯნენ და საქმე იქამდეც კი მისულა, რომ მისივე ინიციატივით დაარსებული ამხანაგობიდან გააძევეს.

განხეთქილების მიზეზი, თავის მხრივ, ევგენი დვალის ფიცხი და დაუდგრომელი ხასიათიც იყო (რომელსაც მისი თანამედროვეებიც აღნიშნავდნენ). ამ პიროვნულმა კონფ-ლიქტმა საფუძველი გამოაცალა ორგანიზაციის მუშაობას. მოწინააღმდეგეები სატირული ჟურნალ „ეშმაკის მათრახის“ ფურცლებიდან უტევდნენ ევგენის, მან საპასუხოდ ასევე იუმორისტული ჟურნალი „წმინდა გიორგის შუბ-მათრახი“ დასტამბა და მწვავედ ეპასუხებოდა ოპონენტებს.

1907 წელს ევგენი დვალი მეორედ დააპატიმრეს – მეფის რეჟიმის საწინააღმდეგო საქმიანობისა და 1905 წლის რე-ვოლუციაში აქტიური მონაწილეობის საბაბით. მას მიუსაჯეს საკატორღო ციხეში[7] პატიმრობა ციმბირში, სადაც 1914 წლამდე იყო, შემდეგ კი, როგორც თვითონვე იგონებს, ადმინისტრაციისადმი დაუმორჩილებლობის გამო იძულებით ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს (მსგავსი მოპყ-რობა არც თუ იშვიათი იყო პოლიტიკური პატიმრების მიმართ; ერთი მხრივ, საკატორღო ციხეების სადისტური რეჟიმის შემდეგ პატიმრებს მართლაც უჩნდებოდათ ფსიქიკური პრობლემები; მეორე მხრივ, ფსიქიატრიულში მოთავსება წამების ერთ-ერთ ფორმასაც წარმოადგენდა, რაც მოგვიანებით საბჭოთა რეჟიმმა განავითარა პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დასასჯელად). კონფლიქტისა და ევგენი დვალის დაპატიმრების შემდეგ ამ-ხანაგობის საქმიანობა პრაქტიკულად შეწყდა. რეგიონის პრობლემები პირველი მსოფლიო ომის ფონზე კვლავ უარესობისაკენ ვითარდებოდა; 1910-იანი წლების პრესაში ისევ მრავლადაა რაჭა-ლეჩხუმიდან მოწერილი წერილები იქაური გაუსაძლისი მდგომარეობის, თვითგანვითარებისა და განათლებისთვის აუცილებელი პრესის, წიგნებისა და სამკით-ხველოების არარსებობის შესახებ.

---

7 საპატიმრო, სადაც სასჯელის მოხდისას პატიმრების შრომას იყენებდნენ.

ორგანიზაციის „მეორე სიცოცხლე“

1917 წლის თებრვლის რევოლუციისა და იმპერიის დაცემის შემდეგ, პოლიტპატიმრები ციხეებსა და გადასახლებიდან გათავისუფლდნენ. ევგენი დვალი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ კვლავ თავის ჩვეულ საქმიანობას დაუბრუნდა. 1917 წლის 20 მაისს ნაძალადევის სახალხო თეატრში გაიმართა რაჭის მაზრის სოფლების ბაჯის, შავრისა და ღადის თბილისში დროებით მცხოვრებთა კრება, სადაც ევგენი დვალმა წაიკითხა მოხსენება 1906 წელს დაარსებულ სამკითხველოზე და თქვა, რომ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ისევ შესდგომია წიგნების შეგროვებას, ზოგი შეუძენია თავისი ხარჯით, ზოგიც შემოუწირავთ. ბიბლიოთეკა მზად ჰქონდა და კრებას სთხოვა ეზრუნათ, ამოერჩიათ საშუალო ადგილი ამ სამ სოფელში და შეეგროვებინათ ფული შენობის შესაძენად. კრებამ მადლობა გადაუხადა მას და აირჩია კომისიის ხელმძღვანელად, რომელშიც შედიოდნენ: ა. ღვდელაძე, ვ. კერესელიძე, ვ. საზანიშვილი, ვ. ფარჯანაძე და ა. ჭელიძე.

ამ პერიოდშივე მან გამოაქვეყნა საკუთარი მხატვრული ნაწარმოებები: „საგიჟეთში დაწერილი სიმღერები“, „საქართველო“, „მწარე სიმღერები“, „გამარჯვება“, „ქალი“, „რაჭველი“, „ილია და აკაკი“, „რაჭული სიმღერები“ და სხვა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მის მიერ გამოქვეყნებული კრებული „მშვენიერი რაჭა“, რომელიც შედგება ისტორიული წერილების, რაჭული ხალხური ლექსებისა და თქმულებებისგან, რომლის წინასიტყვაობაშიც ის წერს: „ამ წიგნის გამოცემა უფრო უკეთესად გვინდოდა. ჩვენი სურვილი და განზრახვა იყო, რომ ეს წიგნი რაჭის შესანიშნავი ისტორიული ციხე-სიმაგრეებით, ტაძრებით და ხალხის სხვადასხვა სურათ-სახეობით, ლექს-შაირებით და სხვით გამოცემულიყო, მაგრამ ეს დღესდღეობით ვერ მოხერხდა, რადგანაც საკმაო ფული არ გვქონდა. რაც შეეხება ვინმეზე დახმარების თხოვნას, ჩვენ ეს ვსცადეთ, მაგალითად, წერილობრივ ჩვენ მივმართეთ ჩვენს ფულიანებს: კოწია დათეშიძეს, აკაკი ხოშტარიას, მიხეილ სხირტლაძეს და

სხვებს, მაგრამ არავინ არ თანაგვიგრძნო, გარდა სპირიდონ ბენდუქიძისა, ალაქსანდრე ძეგველიშვილისა და ანტონ მეფარიძისა. თავისუფალი ფული არა გვაქვსო – ასე იყო პასუხი მამულის შვილებისაგან! რესტორან-სასტუმროებში ასიათასობით ხარჯავენ, ასეთი საქმისთვინ კი არაფერს არ იმეტებენ, თან რომა ჰკითხოთ და დაუჯეროთ ჩვენი ქვეყნის ლამპარი ისინი არიან! იმედი გვაქვს ჩვენი ზემო ხსენებული განზრახვა შემდეგში მაინც მოვიყვანოთ სისრულეში, რაც ყველა ჭეშმარიტი მოქალაქისთვის სასიამოვნო იქნება. დასასრულ ჩვენ გულითად მადლობას ვუძღვნით მესტამბე დავით პიტნავას, რომელმაც შეძლებისდაგვარად თუ ქაღალდით და თუ აწყობა დაბეჭდვით ამ გამოცემის საქმე გაგვიადვილა...“[8].

1918 წელს მისივე ინიციატივით გამოვიდა გაზეთი „რაჭის ხმა“ – „გაზეთ-ორგანო რაჭველი მუშა-მშრომელი ხალხისა“, რომელშიც რაჭის პრობლემებსა და საჭიროებებზე წერდა. პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ გამოცემას სახელიც შეუცვალეს და „რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის ხმა“ უწოდეს. მაგრამ უსახსრობის გამო გამოცემა ვეღარ გაუგრძელებიათ. საინტერესოა ასევე, 1918 წელს საქართველო-სომხეთის ომის[9] დროს, მის მიერვე დაარსებული თბილისში მცხოვრებ რაჭა-ლეჩხუმ-სვანელთა თბილისის დამცველი რაზმი, რომლის მოქმედების შესახებ, სამწუხაროდ, გარდა ორიოდე ფოტოსურათისა, სადაც შეიარაღებული ხალხი და მისივე შტაბ-პრეზიდიუმი ჩანს ევგენი დვალთან ერთად, სხვა არაფერია შემორჩენილი. წერილებიდან და სტატიებიდან ირკვევა, რომ იგი მკაცრად გაემიჯნა 1918 წელს ლეჩხუმში მომხდარ ბოლშევიკურ აჯანყებას,[10] მთავრობის წარმომადგენლის ლევან დადეშქელიანის მკვლელობასა და ცდილობდა ქარ-

8 მშვენიერი რაჭა. ისტორიული წერილები, ხალხური ლექსები და სხვადასხვა სურათები (შედგენილი და გამოცემული ევგენი დვალის მიერ. თბილის-ქალაქი). თფილისი, 1918 წ.

9 ომი საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებს შორის 1918 წლის დეკემბერში.

10 ბოლშევიკური აჯანყება ლეჩხუმში – 1918 წლის გაზაფხულზე, ბოლშევიკი ჯარისკაცების და აგიტატორების მიერ მოწყობილი მღელვარება ლეჩხუმის მაზრაში.

თული საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის[11] „რაზმთან, რომელმაც რაჭა-ლეჩხუმში გაიარა“ მოსახლეობის უმრავლესობას არაფერი აკავშირებ-და და რაჭის გაბოლშევიკება ტყუილია, ცილისწამება და გაზეთ „ერთობას“ (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოცემა) მოუწო-დებს ასეთი განცხადებების გაკეთებისას მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა გამოეჩინა.

1918 წლიდან ევგენი დვალი კვლავ შეუდგა „რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის დამხმარე კულტურულ-ეკონომიური საზოგადოების“ პროგრამისა და წესდების შედგენას. ერთი შეხედვით, ამ წეს-დებაში ჩამოთვლილი პუნქტები უმეტესწილად უტოპიურია, მაგრამ კარგად ასახვას იმ პერიოდის საზოგადოების გან-წყობას და რეგიონის განვითარებისათვის საჭირო გრძელ-ვადიანი ხედვის თავისებურებას. აქედან გამომდინარე, მკით-ხველისთვის საინტერესო იქნება ამ წესდების გაცნობა:

1. კონკა-ავტომობილების და რკინიგზის გაყვანა;
2. მიწის თანასწორად განაწილება ყველა მშრომელთათვის შეღავათიან მცირე სასყიდლად;
3. მიწის ევროპიულად დამამუშავებელი იარაღების და სარ-წყავი მანქანების შეძენა, აგრეთვე სეტყვასთან მებრძოლი მორტირების;
4. სხვადასხვა ლითონთა მადნების აღმოჩენა და დამუშავება;
5. მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის და მესაქონლეობის გა-შენება;
6. სტამბის, წიგნის მაღაზიების და აგრეთვე ყოველგვარ სა-ქონლის კოოპერატიული დუქნების გახსნა;
7. სხვადასხვა საექიმო და სამკურნალო სანატორიუმების დაარსება;
8. საშუალო და უმაღლესი სატეხნიკო, სააგრონომო, საკო-მერციო და საბუნებისმეტყველო სასწავლებლების გახსნა;
9. მუავე წყლის ქარხნის გახსნა და დაბეჭდილ ბოთლებით

11 ბოლშევიკური პარტიის წევრი. საქართველოს რევკომის წევრი საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებისას. შემდგომ წლებში მუშაობდა მაღალ პარტიულ და სახელმწიფო თანამდებობებზე.

წყლის გაყიდვა;
10. ხე-ტყის დამუშავება და ბაზარზე გამოტანა;
11. ქართლ-კახეთის თავისუფალ მიწა-ალაგებზე, მიწის უქონელ რაჭველ-ლეჩხუმელების და სვანების მოსახლეობის მოწყობა;
12. რიონზე ჰიდრო-ელექტრო სადგურების გაკეთება, საიდანაც მთელი მხარე განათლდება;
13. ხომლზე და ნაქერალაზე ობსერვატორიის ანუ ვარსკვლავთ საზვერავი სახლის აშენება;
14. შესაფერი ჟურნალ-გაზეთების გამოცემა;
15. ხალხში სისტემატური პროპაგანდა-აგიტაციის მოწყობა არსებულ ხალხოსნურის და საზოგადოებრიულ მთავრობის სასარგებლოთ და მხარის დასაჭერათ (1918 წ.);
16. თეატრ-კლუბების და სხვა ამგვარი დაწესებულების შექმნა და დაარსება;
17. სოფლების წესიერად მოწყობა თავის მოსახლეობით, ბაღებით, ქუჩებით და სასამართლოებით;
18. ყველა სამსახურში ღირსეული ამხანაგების ჩაყენება.

საზოგადოების წესდება ითვალისწინებდა:

ა) რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის დამხმარე კულტურულ-ეკონომიური საზოგადოების წევრად შეუძლია იყოს ყველა რაჭველი, ლეჩხუმელი და სვანელი, განურჩევლად სქესისა და პოლიტიკური რწმენისა, ვინც კი სრულ ასაკოვანი იქნება და იზიარებს ამ საზოგადოების მიზან-წესდებას, აგრეთვე ეხმარება მას გონივრულად, ფიზიკურად და ნივთიერად; ბ) საზოგადოებას ჰყავს თავისი გამგეობა, სარევიზიო კომისია, ხაზინადარი და მდივანი პირველ ხანად თფილისში; გ) საზოგადოების ყრილობა წელიწადში სამჯერ ხდება, რომელიც ამტკიცებს ყოველივე შემოსავალ-გასავლის ანგარიშებს და საწესდებო საქმეებს; დ) საზოგადოების თანხა თუ საწარმოვო ფული შესდგება საწევრო გადასახადებისგან და საკრედიტო ბანკებისგან ნასესხები ფულით, აგრეთვე სახალხო სეირნობის და სხვა ასეთების შემოსავლით; ე) საზოგადოების წევრი ყოველთვიურად იხდის სამი წლის განმავლობაში არა ნაკლებ ხუთი მანეთისა;

ვ) საზოგადოების მოგება წევრებზე თანასწორად ნაწილდება; ზ) საზოგადოებას აქვს თავის წევრების ჩასაწერი არხივი და აგრეთვე სხვადასხვა სამოწმო და საბარათო ფურცლები და წიგნაკები; თ) საზოგადოების მუდმივი მოსამსახურენი და მომუშავენი ჯამაგირებს ღებულობენ; ი) საზოგადოების მოღალატეობაში დაჭერილი პირები სისხლის სამართლით ისჯებიან; კ) საზოგადოებას აქვს თავისი ბეჭედი და ორგანო; ლ) საზოგადოებას უფლება აქვს რომ თავის წევრებათ სხვა გარეშე პირებიც მიიღოს ვინც კი ამას მოისურვებს; მ) საზოგადოებას უფლება აქვს შეიძინოს ყველგან მოძრავ-უძრავი ქონებანი და აიღოს აგრეთვე საწარმოვოთ სხვა საქმეებიც რაიცა კი სასარგებლო იქნება.[12]

პოლიტიკური განაცხადი - „რუსთაველის პარტია“

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში ერთ-ერთი სახასიათო პოლიტიკური მოვლენა, ასევე ევგენი დვალის სახელს უკავშირდება – 1918 წელს მან ახალი პოლიტიკური პარტია დააარსა, სახელად „საქა-რთველოს ეროვნულ-ხალხოსნური და საზოგადოებრი-ულ-თემოსნური შოთა რუსთაველის პარტია”, რომელშიც ძირითადად თბილისში მცხოვრები რაჭველი მეპურეები და ხელოსნები გაწევრიანდნენ. პარტიას საკუთარი პერიოდული ორგანო – ჟურნალი „რუსთაველი“ ჰქონდა, სადაც ევგენი დვალი შემდეგნაირად განმარტავდა პარტიის დანიშნულებას: „კი მართალია ჩვენი მუშა-მშრომელი ხალხი დღეს უკვე შემოკრებილია მუშათა ინტერესების გვარიან დამცველის მარქსის[13] მოძღვრების გარშემო, მაგრამ როდესაც ჩვენ თვითონ გვაქვს ჩვენი უმშვენიერესი მრწამსი ძმობა-ერთო-ბის, თავისუფლების, თანასწორობის და სიყვარულის გამომ-

12 მიზანი და წესდება თფილისში არსებულ – „რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის დამხმარე კულტურულ საზოგადოებისა“ (შედგენილი და გამოცემული ევგენი დვალის მიერ 1907 და 1917 წელს თფილის-ქალაქში), თბილისი, 1918 წელი.

13 მარქსი კარლ (1818-1883) – გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი, სოციოლოგი, ისტორიკოსი, ჟურნალისტი. მარქსიზმის სამეცნიერო და პოლიტიკური სკოლის ფუძემდებელი.

ხატველი ასეთ შემთხვევაში რატომ უნდა შევაქციოთ ზურგი მას? ყველამ კარგად უნდა ვიცოდეთ რომ ჭეშმარიტება ერთია და არა ათასი. ეს ჭეშმარიტება კი შოთა რუსთაველის მოძღვრება სჩანს და ვისაც უბედურებას უნდა რომ თავი დააღწიოს განმეორებით ვეტყვი ამ პარტიაში ჩაეწეროს“[14].

მიუხედავად გარკვეული კომიზმისა, რეალურად ევგენი დვალი საკუთარი პარტიის საქმიანობით ძირითადად შოთა რუსთაველის შემოქმედების პოპულარიზაციისთვის მუშაობდა, რისთვისაც მასთან ძველი საზოგადო მოღვაწეებიც თანამშრომლობდნენ. თავის მხრივ, საინტერესოა „შოთა რუსთაველის პარტიის“ პროგრამა, რითაც მან მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში 1919 წლის თებერვლაში, სადაც ერთადერთ კანდიდატად წარდგენილი იყო ევგენი დვალი. „რუსთაველის პარტიის“ პროგრამა ანარეკლია იმ დროის გაბატონებული პოლიტიკური იდეებისა და ზოგიერთი პუნქტი დღესაც აქტუალურია:

მიზანი – პროგრამა

1. ყველა ერის და ხალხ-თემის სრული, ყოველმხრივი უზენაესი თავისუფლება;
2. მამაკაცთა და დედაკაცთა უფლებრივად გათანასწორება;
3. ხელუხლებლობა ყველა მოქალაქის პიროვნების, ბინის და სხვა;
4. თავისუფლება სიტყვის კავშირის, კრების, გაფიცვის, სვინდისის და რწმენის;
5. ნაცვლად მუდმივი ჯარებისა საერო-სათემო და სახალხო მილიციის შემოღება;
6. ყოველი დამნაშავის დასჯა მხოლოდ და მხოლოდ ხალხის მიერ არჩეული მსაჯულების მიერ;
7. სწავლა-განათლება უფასო და სავალდებულო: ტეხნიკურის, აგრონომიულის, კომერციულის, ბუნებისმეტყველების და სხვა ასეთის;
8. წირვა-ლოცვის ანუ ეკლესიის სრული თავისუფლება,

14 „რუსთაველი“, # 1, 1918 წ., თბილისი.

ესეიგი ეკლესია იმან იწამოს და იმან შეინახოს, ვისაც სურვილი აქვს ამის;
9. გადასახადის შემოღება შემოსავლის კვალობაზე;
10. ნაციონალურ ენებთან ერთი საკაცობრიო ენის შემოღება, რათა ყველა ერთ ენაზე ლაპარაკობდეს და არ დაგვჭირდეს მრავალი ენის შესწავლა. ასეთი ენა უნდა შესდგეს ყველა ერის საუკეთესო თანასწორ სიტყვებისგან;
11. მთელი ქონების მიწის, მამულის და სხვის საზოგადო სახალხო კუთვნილებად გამოცხადება;
12. ყოველივე საერო და სახელმწიფოებრივი საქმეები სწყდებოდეს სავალდებულო მედიატორულ სასამართლოთი;
13. საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლება;
14. დაზღვევა მუშა-მშრომელთა, როგორც უბედური შემთხვევისგან ისე სიბერისგან, როდესაც შრომა აღარ შეუძლიათ;
15. მოწყობა სანატორიუმებისა და სამკურნალოებისა;
16. შეძენა-შექმნა საუკეთესო სამეურნეო იარაღებისა და მასთან სეტყვასთან საბრძოლველ მანქანებისა;
17. გაუმჯობესებულ ტეხნიკის მიხედვით 6 საათის სამუშაო დღის შემოღება;
18. ზედმეტი მუშაობის აკრძალვა თუ ამას არ მოითხოვს რამე განსაკუთრებული აუცილებლობა;
19. ქარხნებში ორსულთ და პატარა ბავშვების პატრონ დედაკაცების მუშაობის აკრძალვა;
20. რკინის გზებით, ხომალდებით, ჰაეროსტატ-საფრენებით, თავისუფალი უფასო მიმოსვლა;
21. შრომის, მეცნიერების და სიბრძნე-სიმართლის სრული გაბატონება.[15]

„შოთა რუსთაველის პარტიამ", ისევე როგორც ყველა სხვა ქართულმა პარტიებმა, 1921 წელს, საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირების და ტოტალიტარული რეჟიმის დამყარების შემდეგ, არსებობა შეწყვიტა. თუმცა ევგენი დვალი კვლავ ცდილობდა დაწყებული საქმის გაგრძელებას.

15 „რუსთაველი", # 1, 1918 წ., თბილისი.

ეგვენი დვალი საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ

წყაროების მიხედვით 1921 წელს, ევგენი დვალმა საოკუპაციო ხელისუფლებასთან სცადა ურთიერთობის დამყარება და რაჭაში სამეურნეო განვითარებისა და შიმშილის აღმოფხვრისთვის დასარიგებლად მარცვლეული მიიღო. ამ პროცესს მოყოლილი ინტრიგის გამო ევგენი დვალი დააპატიმრეს და რამდენიმე თვით „მეტეხის“ ციხეში ჩასვეს. გათავისუფლების შემდეგ მისი აქტიურობა და მშობლიური მხარის განვითარებაზე ფიქრი უფრო ლიტერატურული გზით თუ გრძელდებოდა; შემორჩენილია მისი ნაწარმოებები ძირითადად ნეიტრალურ და აპოლიტიკურ თემებზე; მაგალითად, 1929 წელს დაწერილი „ჭრებალო – ახალი ქალაქი. ლექსად“ მასში ჩანს ავტორის დაუცხრომელი სურვილი დაბა ჭრებალო რაჭა-ლეჩხუმის ცენტრად ქცეულიყო.

ევგენი დვალის ბედიც საბოლოოდ ისე წარიმართა, როგორც მილიონობით „საბჭოთა მოქალაქის“ – ის „დიდი ტერორის“ დროს, 1938 წელს ისევ დააპატიმრეს და მალევე დახვრიტეს, როგორც თავისი წარსულითა და შეხედულებებით „არასანდო ელემენტი“. ევგენი დვალის ათწლეულების მანძილზე მიმდინარე მცდელობები, რომლებიც ხშირად დროს აცდენილი, ნაადრევი და ექსცენტრიულიც კი ჩანს, ერთი ფურცელია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარე საერთო-საზოგადოებრივი პროცესებისა, როდესაც ცალკეული ენთუზიასტები, თუ სოლიდური საზოგადოებრივი ჯგუფები ცდილობდნენ საკუთარი თემის, მხარის, ერის განვითარებას და ძირეული მოდერნიზაციის წამოწყებას. ასევე, იგი საინტერესო იყო კონკრეტულად რაჭა-ლეჩხუმის პრობლემატიკის ისტორიისათვის, რამდენადაც მხარის თანამედროვე მდგომარეობა არსობრივად დიდად არ დაშორებია იმ მოცემულობას, რის შეცვლასაც თანამოაზრეებთან ერთად ევგენი დვალი ესწრაფვოდა.

>>

ევგენი დვალი

ფოტო: საქართველოს ეროვნული არქივი,
საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,
ტფილისის გუბერნიის ჟანდარმთა
სამმართველოს კარტოთეკა.

სამწრედიის საჯარო ბიბლიოთეკა

[ირაკლი ხვადაგიანი]

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ეკონომიკური ცვლილებების ჯაჭვმა ძველი ცხოვრების სტილი და სტრუქტურა შეარყია და მისი საფუძვლიანად გარდაქმნა დაიწყო. რეგიონში მეურნეობის მოდერნიზებამ, მსხვილი კაპიტალის გამოჩენამ, მაგისტრალური სატრანსპორტო დერეფნების გაჩენამ აამოძრავა მანამდე ჩაკეტილი საზოგადოება, გაანადგურა ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობები და ახალ სოციალურ ცვლილებებს გაუხსნა გზა. შეიცვალა და ჩამოყალიბდა ახალი სოციალური ფენები, გამწვავდა კონკურენცია საარსებო სივრცისათვის, მატერიალური სარგებლისთვის სწრაფვამ კი შეუქცევადი სახე მიიღო.

ამ სოციალური ცვლილებების ფონზე, მოქალაქეთა მთელი ჯგუფების ხანგრძლივი, გააზრებული და სისტემატური შრომის, საზოგადოებრივი კამპანიის შედეგად, მიმდინარეობდა ქართული საზოგადოების ნაციონალური იდენტობის ფორმირება. ყალიბდებოდა სამომავლო ამოცანები, პროექტები. გამოიკვეთა სამოქალაქო სოლიდარობისა და ერთიანობის ძირითადი კონცეფციები. ამ პროცესში ძირეული ფუნქცია იმ დროის მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებს – პრესასა და ლიტერატურას ჰქონდა, რომლებიც ეფექტურად მუშაობდა ახალი იდეების გასავრცელებლად და პროგრესული აზროვნების ფორმირებისთვის.

ეროვნულ პრესასა და ბეჭდვით სიტყვას, ინფორმაციისა და კომუნიკაციების საშუალებების გარდა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საჯარო, კულტურული სივრცეების ჩამოყალიბების ფუნქცია ჰქონდა. ასევე, სამოქალაქო კულტურის განვითარებისა და პასუხისმგებლობის გამოკვეთის, თვითმმართველობის განვითარების საუკეთესო ინსტრუმენტებს წარმოადგენდა. სწორედ ამის გამო, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, სახალხო თეატრების, ლიტერატურული და კულტურული წრეების, ბიბლიოთეკების მოწყობა, ყველა ცოცხალი და მოქმედი თემის პროგრამის ნაწილი იყო. სამტრედიის პირველი საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება და მემკვიდრეობა ამ პროცესის ამსახველი საინტერესო მაგალითია.

ქალაქ სამტრედიის დაბადება და განვითარება

ამჟამინდელი სამტრედიის ტერიტორიაზე მცირე დასახლება უძველესი დროიდან არსებობდა, თუმცა მისი ნახტომისებური განვითარება და დაბად და მალე ქალაქად გადაქცევა, სწორედ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეკონომიკურმა ძვრებმა განაპირობა. თავდაპირველად დასახლების სატრანსპორტო მნიშვნელობა და, შესაბამისად, სავაჭრო მიმზიდველობა ფოთი-ორპირის სანაოსნო-სატრანსპორტო კვანძმა განაპირობა, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე ერთადერთ გზას წარმოადგენდა შავი ზღვიდან ტფილისისკენ მსხვილი ტვირთებისა და მგზავრების ტრანსპორტირებისათვის.

ფოთიდან რიონზე ორთქმავალი გემები რიონის და ცხენისწყლის გადაკვეთაზე მოწყობილი ნავსადგურიდან ორპირამდე მიდიოდა, საიდანაც ტვირთები უკვე სახმელეთო გზით გადაჰქონდათ. ორპირის ნავსადგომი სწრაფად იქცა სავაჭრო კვანძად და მიმდებარე ზონის სოფლებიდან მოსახლეობა და კომერსანტები მიიზიდა. წლების განმავლობაში მდინარის შესართავის ორ ნაპირზე, იმერეთსა და სამეგრელოში გახიდულ დასახლებაში, ცხოვრება დუღდა.

დასახლება ერთი ხელის მოსმით მოკვდა და ჩაიფერფლა ამიერკავკასიის ტფილისი-ფოთის რკინიგზის ხაზის ამოქმედებისთანავე, რომელმაც აზრი დაუკარგა რიონზე ნაოსნობას და მთელი ტვირთების მოძრაობა მისკენ გადაქაჩა, რასაც ვაჭრებისა და მომხმარებლების ინტერესებიც მიჰყვა. ორპირის დაბამ არსებობა შეწყვიტა და რამდენიმე წელიწადში მისი კვალი წაიშალა.

სამაგიეროდ, რკინიგზამ გააცოცხლა და განავითარა ორპირის მეზობელი სამტრედია. სარკინიგზო მაგისტრალის და გურიისკენ მიმავალი ძველი შარაგზის სტრატეგიულმა გადაკვეთამ სამტრედიას და მიმდებარე ზონის დასახლებას უპირატესობა შესძინა. ორი ათწლეულის განმავლობაში სოფლის მიმდებარე გაუვალი ტყეები დიდ დაბად გადაიქცა, რკინიგზის დეპოთი, დუქნებით, სავაჭროებით, სასტუმროებით და სახელოსნოებით.

ქუთაისის მაზრის ეკონომიკური პოტენციალის ზრდამ და ვაჭრობის განვითარებამ სამტრედიის მნიშვნელობა უფრო გაზარდა და 1890-იანი წლების ბოლოსათვის იგი უკვე ქალაქის სტატუსს ატარებდა, რამდენიმე ათასი მუდმივი და დროებითი მოსახლით. სამტრედიაში ამოქმედდა აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკები, გაიზარდა რკინიგზის ინფრასტრუქტურა და საავაჭრო დაწესებულებების რიცხვი. ეკონომიკური განვითარებისა და ქალაქის მოსახლეობის ნახტომისებური ზრდის ფონზე დაბა-ქალაქის კულტურული ცხოვრება, ფაქტობრივად, არ არსებობდა. მოსწავლეებს, სავაჭრო მოსამსახურეებს, მუშებს თავისუფალი დროის დუქნებში და საეჭვო რეპუტაციის დაწესებულებებში გატარების ალტერნატივა არ გააჩნდათ. ახალგაზრდა ქალაქი სრულიად მოწყვეტილი იყო ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებს, რადგან არც წიგნის მაღაზიები იყო და პრესის გავრცელებაზეც არავინ ზრუნავდა.

ამ კულტურული ჩამორჩენის შეცვლა, სამტრედიის მკვიდრმა და ახალი თაობის საზოგადოებრივი მოძრაობის მონაწილემ, პეტრე გელეიშვილმა ითავა.

პეტრე გელეიშვილი

პეტრე პავლეს ძე გელეიშვილი 1870 წლის 7 მაისს (ძველი სტილით) სამტრედიელი გლეხის ოჯახში დაიბადა. 14 წლის ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელში შევიდა, რომლის დასრულების შემდეგ, 1888 წელს, ბათუმში გაემგზავრა და დღიურ მუშად მოეწყო პორტში, საიდანაც ოდესის პორტში „რუსეთის საზოგადოების“ გემების მტვირთავ მუშად გადავიდა. ერთი წლის მუშაობის შემდეგ იქ არსებული შრომის აუტანელი პირობების გამო მუშათა მოძრაობით დაინტერესდა და დაიწყო თანამშრომლობა ადგილობრივ პრესასთან. მისი პირველი წერილი გაზეთ „Одесский листок“-ში დაიბეჭდა, რის შემდეგაც ამხანაგებთან ერთად მუშათა თვითგანვითარების წრე ჩამოაყალიბა, სადაც ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს ეცნობოდნენ.

ამ აქტიურობის გამო, 1891 წელს, პეტრე გელეიშვილი ოდესაში დააპატიმრეს და ექვსი თვით ციხეში ჯდომის შემდეგ სამშობლოში დააბრუნეს პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ, სამი წლის ვადით.

სამტრედიის საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება

სამტრედიაში დაბრუნებულმა პეტრემ გადაწყვიტა, ქალაქის კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებისთვის პირველი ნაბიჯი გადაედგა, უფასო საჯარო ბიბლიოთეკა და წიგნის მაღაზია მოეწყო, რაც საშუალებას მისცემდა ქალაქის ახალგაზრდებს და მუშებს თანამედროვე ლიტერატურას გასცნობოდნენ, მიეღოთ სასკოლო სახელმძღვანელოები და კულტურული სივრცე შეექმნათ. მან ბიძაშვილთან, ილია რატიანთან ერთად, ადგილობრივ საზოგადოებას მიმართა, ბიბლიოთეკის მოსაწყობად შემოწირულობები შეეგროვებინათ. დაიწყეს მზადება წიგნების შეკრებისათვის. ადგილობრივ და გუბერნიის სახელისუფლო დაწესებულებებში საქმე აღძრეს ოფიციალური ნებართვის მისაღებად.

ბიუროკრატიული მხარის მოგვარებამ საზოგადოებრივ მხარ-დაჭერას დაასწრო, რომელიც მოსალოდნელზე პასიური აღმოჩნდა; ამასთანავე, მოქალაქეთა ნაწილმა, რომელიც ინიციატივას თავიდან მხარში ამოუდგა, ფინანსური სარგებ-ლობის მოლოდინით, თავად გადაწყვიტა წიგნისა და საკან-ცელარიო ნივთების მაღაზიის მოწყობა, რაც განახორციელეს კიდეც და ბიბლიოთეკის მხარდაჭერას ჩამოშორდნენ.

პეტრე და ილია ამ წინააღმდეგობამ ვერ დააბრკოლა. პეტრე გელეიშვილის მამამ გაყიდა პეტრეს კუთვნილი სამოსახლო მიწა და 300 მანეთი შვილს ჩააბარა ბიბლიოთეკის მხარდასა-ჭერად, ილიამაც 300 მანეთი გაიღო საკუთარი ჯიბიდან, რა-საც მოქალაქეთა შემოწირულობები დაემატა.

1891 წლის იანვარში სამტრედიის საჯარო ბიბლიოთეკამ მუშაობა დაიწყო, სადაც ორგანიზატორებმა 900 მანეთის ლიტერატურა შეიტანეს, პრესა გამოიწერეს და ყველა ქარ-თველ გამომცემელს თხოვნით მიმართეს, ბიბლიოთეკი-სათვის საკუთარი გამოცემების თითო ეგზემპლარი მიეწოდებ-ინათ. ბიბლიოთეკას პირველსავე ჯერზე გამოეხმაურნენ და წიგნები შესწირეს: ზაქარია ჭიჭინაძემ, ვასილ მასხულიამ, ანე-ტა კანდელაკმა, ნიკოლოზ კანდელაკმა, ნიკო ხეცურიანმა, თავადმა ს. მიქელაძემ, ლანჩხუთელმა მასწავლებელმა დ. შათირიშვილმა.

ბიბლიოთეკას გახსნისთანავე გაუჩნდა მუდმივი და დაინტერე-სებულ მკითხველთა წრე სამტრედიის მცხოვრები ახალგაზ-რდებისა და მუშებიდან, თუმცა მათ რიცხვს ათჯერ აღემატებ-ოდა მიმდებარე სოფლების მოსახლეობა:

„...სასიამოვნოა, რომ ჩვენი თავადაზნაურობა ძლიერ გულ-მხურვალედ ეტანება წიგნების კითხვას. მაგრამ მათ არც გლეხები ჩამორჩებიან უკან. სასიამოვნო სურათს წარმოად-გენს, როცა რომელიმე გლეხი სიამოვნებით გელაპარაკება, რომელსამე წაკითხულ წიგნის შინაარსის შესახებ. ძლიერ გატაცებული კითხულობენ თითქმის ყველა ახალ წიგნებს და ნამეტურ ილ. ჭავჭავაძის, ყაზბეგის, აკაკი წერეთლის და

ანტონ ფურცელაძის თხზულებებს. ყველა ახალგაზრდა მკითხველების გული თითქო რაღაცა მანქანებით მოუჯადოვებია ყაზბეგის გმირებს; ყველა ზიზღით იხსენიებს ისეთ გმირებს ყაზბეგისას, როგორიც არიან: გაგი, გრიგოლა და სხვანი... „მაცი ხვიტია“ ხომ ყველას ენაზედ აკერია, რადგანაც ჩვენში აღმოჩნდნენ ისეთები, რომელნიც კარგად იცნობდნენ ამ გმირს. უნდა გამოვტყდე, რომე ბეის შემოუტანელად წიგნების ძლევა მკითხველებისათვის ძლიერ მეძნელებოდა, რადგან წიგნების დაბრუნების იმედი არა მქონდა, მაგრამ ეს ფიქრი სულ ამაო გამოდგა; ჩემმა ახალგაზრდა მკითხველებმა ბეის მოცემა კიდეც ითაკილეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით კი თავ-თავის დროზედ მოაქვთ გამოსაცვლელად წიგნები და მშვენივრადაც ინახავენ. მკითხველების უმეტეს ნაწილს უფასოდ მიაქვს წიგნები, მხოლოდ ოცი, ოცდაათიოდე შეძლებული მკითხველი (თავად-აზნაურები) კი იძლევა ძლიერ ზომიერს ფასს წიგნების კითხვისას. წიგნების მაღაზიაში – კი უფრო იყიდება იაფი წიგნები: „მამიდა ასმათი“, „საუკეთესო ცოდნა“, „ხატის მიზეზი“, „იავ-ნანამ რა ქნა?“ და სხვები. ძვირფასს წიგნებს ჯერ ვერ ეწყობიან. შემიძლია დადასტურებით გავბედო თქმა, რომ ბიბლიოთეკა აქ არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და გვარიან ნაყოფსაც მოიტანს.“[1]

ბიბლიოთეკის მუშაობა განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა სოფლების მოსახლეობისათვის: ლიტერატურის გაცნობამ და განსაკუთრებით ქართული პრესის ხელმისაწვდომობამ დიდად შეუწყო ხელი განათლების ზრდას და მას ინტეგრაციას საერთო-საზოგადოებრივ პროცესებში, რაც დიდი კულტურული ცვლილებების სათავედ იქცა:

„...წიგნთსაცავს ასამდე თვიური მკითხველი ჰყავს და ისიც უნდა შევნიშნოთ, თუ რა გატაცებით კითხულობენ ახალ წიგნებს. არაფერს ვიტყვით დაბა სამტრედიის მოვაჭრეებზედ, რომლის უმეტესობას ერთი საათიც ვეღარ გადაუნარჩუნებია წიგნების საკითხავად, მაგრამ გულახდით და სიმართლით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ გარეშემო სოფლებში ძნე-

1 „ივერია“, # 127, 1892 წ.

ლად მოიპოვება იმისთანა წერა-კითხვის მცოდნე კაცი და ქალი, რომელსაც თითქმის ყველა წიგნები არ წაეკითხოს, ქართველთა ამხანაგობის მიერ დაბეჭდილი... ხშირად შეხვდებით ისეთსაც, რომ ზეპირად იცოდეს „დედა და შვილი“, „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდგან“, „დიმიტრი თავდადებული“ და ბევრი სხვა... ჩვენ არაფერს ვიტყვით იმაზედ, თუ წიგნთსაცავს რა სარგებლობის მოტანა შეუძლია საზოგადოებისათვის. იმ ოჯახებში, სადაც უწინ „არსენას ლექსიც“ არ წაეკითხათ, ეხლა გატაცებით ეტანებიან ყველა ქართულ წიგნებს დ გაზეთის შემწეობით ყველა გულდადებით ყურს უგდებენ საზოგადო ძარღვის ცემას. ერთის სიტყვით, ყველა ეს სასიამოვნო ნიშნები ნებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ თუ ქართველებმა უწინ გენიოსების ფასიც არ იცოდნენ, მოვა დრო – და ეს დრო არც ისე შორ არის – რომ უბრალო სიკვდილის შვილი, შუათანა ნიჭის მოღვაწეც კი გვირგვინით შეამკოს. გაბედვით შეიძლება ვსთქვათ, რომ თუ უწინ ჩვენი ერი დიდს ძილში იყო, ეხლა მალე იღვიძებს...“ [2]

სოფლებში ბიბლიოთეკის მკითხველთა წრის გაფართოებას და მხარეში კულტურული ცხოვრების განვითარებას ხელი შეუწყო 1893 წელს ტფილისის სემინარიაში მოწაფეთა მღელვარებაში მონაწილეობის გამო დათხოვნილი სემინარისტების სოფლებში დაბრუნებამ, რომლებიც პროგრესული იდეების გავრცელებას ცდილობდნენ. ბიბლიოთეკა მათი თავშეყრის და მოქმედების სივრცედ გადაიქცა.

პეტრე გელეიშვილის და ყოფილი სემინარისტის რაჟდენ კალაძის ხელმძღვანელობით დაარსდა ყოფილ სემინარისტთა ბიურო, რომელმაც ბიბლიოთეკის მხარდასაჭერად და საგანმანათლებლო მუშაობისათვის სცენისმოყვარეთა წრეც ჩამოაყალიბა, რომელშიც შედიოდნენ: ივანე კვალიაშვილი, მისი მეუღლე ბარბარე კვალიაშვილი, ნესტორ კალაძე, ანეტა კანდელაკი, მარიამ მკურნალი, აპოლონ მიქელაძე და რამდენიმე ადგილობრივი პედაგოგი. მათ დაიწყეს სალიტერატურო საღამოების და თეატრალური წარმოდგენების გა-

2 „ივერია“, # 25, 1893 წ.

მართვა სამტრედიასა და მიმდებარე სოფლებში: კულაშში, საჭილაოში, ჯიხაიშში და აშ. მიღებული შემოსავალი კი ბიბლიოთეკის მუშაობას ხმარდებოდა.

ბიბლიოთეკის და სცენის მოყვარულთა წრეს დიდ დამხარებას უწევდა აზნაური ყარამან ნანეიშვილი, რომელიც აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოძრაობაში. თავსი მხრივ, მან საკუთარ სოფელში, სახლში, მოაწყო მცირე ბიბლიოთეკა და სამკითხველო, სადაც კვირაობით თავს იყრიდნენ ადგილობრივი მკითხველები, გლეხები. ერთად კითხულობდნენ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, განიხილავდნენ და მსჯელობდნენ მის შინაარსზე. ამ ლიტერატურულ წრეს ხშირად სტუმრობდნენ სამტრედიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებიც.

1891 წლიდან 1895 წლისათვის სამტრედიის საჯარო ბიბლიოთეკას უკვე 300 მუდმივი მკითხველი ჰყავდა.

ბიბლიოთეკის დახურვა

პოლიციის მეთვალყურეობის ვადის დასრულების შემდეგ პეტრე გელეიშვილმა სამტრედია დატოვა და ტფილისში გაემგზავრა. მან ბიბლიოთეკის გაძღოლა გამგეობას გადააბარა: ნიკოლოზ სოლომონის ძე ზალდასტანიშვილს (სამტრედიის სადგურის მოლარე) თავმჯდომარეს; წევრებს: ერმალოზ კანდელაკს (მღვდელი), მელქისედეკ მიქელაძეს, ყარამან ნანეიშვილსა და კოსტა შენგელაიას. გამგეობის ხელმძღვანელობით ბიბლიოთეკამ 1898 წლამდე გააგრძელა მუშაობა, თუმცა ფინანსური სირთულეების გამო დაიხურა და სამტრედია სამკითხველოს გარეშე დარჩა.

ბიბლიოთეკის ახალი სიცოცხლე

საქალაქო ცხოვრების განვითარების პარალელურად, ადგილობრივი მოსახლეობა მწვავედ მოისაკლისებდა კულტურული კერის, ბიბლიოთეკის მუშაობას, რომელმაც არსებობის 7 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეცვალა ადგილობრივი საზოგადოებრივი კლიმატი. ქალაქში სასწავლო დაწესებულებების გაფართოებამ და მიმდებარე სოფლებში კულტურულმა ინიციატივებმა ბიბლიოთეკის განახლების საკითხი უფრო გააააქტიურა.

1899 წლისათვის ქალაქის ბოქაულის ლ. მახარაძის ინიციატივით შედგა სამტრედიის საზოგადოების კრება, რომელმაც იმსჯელა ბიბლიოთეკის აღდგენის საკითხზე. ადგილობრივმა ვაჭრებმა და ხელოსნებმა თავს იდვეს ბიბლიოთეკისთვის თვეში თითო თუმნის გადადება, რამაც წელიწადში 360 მანეთამდე შეადგინა და საინიციატივო ჯგუფმა საჯარო ბიბლიოთეკა აღადგინა. ბიბლიოთეკის გამგე ვარლამ კალაძე გახდა, მზრუნველი – კოხტა აბაშიძე.

ტრადიციისამებრ, სცენის მოყვარულთა წრემ კვლავ გააგრძელა წარმოდგენების გამართვა ბიბლიოთეკის დაფინანსებისათვის, ასევე ძველმა მხარდამჭერებმა, ქართველმა გამომცემლებმა და რედაქციებმა განაახლეს ლიტერატურის მიწოდება. განახლებული ბიბლიოთეკა კალაძის წიგნის მაღაზიის ოთახში მოთავსდა, თუმცა მალე თავი იჩინა მკითხველთა უკმაყოფილებამ, რომელთაც კითხვისას მაღაზიაში საყიდლებზე შემსვლელთა ხმაური ხელს უშლიდათ.

პრობლემის გადასაჭრელად, 1902 წელს გამგეობამ ბიბლიოთეკა ბაზარში, სიხარულიძის დუქნის მეორე სართულზე გადაიტანა, სადაც მეტი სივრცეც იყო და მკითხველებს გარეშე პირებიც არ უშლიდნენ ხელს. თუმცა მორიგი უკმაყოფილების საბაბი აქაც გაჩნდა. სამკითხველოში გვიანამდე შერჩენილი მკითხველები მორყეული და ბნელი კიბით მეორე სართულიდან შიშით და კანკალით ჩადიოდნენ. შენობის მეპატრონე კი განათებასა და რემონტზე არ ზრუნავ-

და. საბოლოოდ, 1904 წელს, ბიბლიოთეკა მყუდრო ქუჩაზე გადაიტანეს, სადაც მომდევნო წლებშიც აგრძელებდა მუშაობას. კრიტიკოსები აქაც შენიშნავდნენ, რომ უკეთესი იქნებოდა მკითხველის მოსაზიდად ბიბლიოთეკა ხალხმრავალ ადგილას ყოფილიყო. ამავე დროს მიმდებარე ქუჩაც წვიმისას ტალახის გამო გაუვალი ხდებოდა. თუმცა ეს მთლიანად ქალაქის კეთილმოწყობის პრობლემა იყო და მხოლოდ ბიბლიოთეკის მზრუნველები მას ვერ გადაჭრიდნენ.

ბიბლიოთეკის იმ დროის მდგომარეობას ერთი კურიოზული მოვლენაც უკავშირდება: რამდენიმე თვის განმავლობაში სამტრედიელი კორესპონდენტები პრესაში ჩიოდნენ, რომ ბიბლიოთეკის მკითხველთა რიცხვი არ იზრდება, პრესა აგვიანებს, მისი გამოწერა უსისტემო იყო. ბიბლიოთეკის გამგეს კი, საქმის კეთების მაგიერ, მთელი დღეები სძინავს. ცოტა ხნის შემდეგ გაირკვა, რომ გამგემ შენიშნა რამდენიმე წიგნის დაკარგვა და ქურდის აღმოსაჩენად გადაწყვიტა, სამუშაო საათებში თავი მოემძინარებინა. მართლაც, ერთ საღამოს მან შენიშნა, როგორ გაიყოლა მკითხველმა ორი წიგნი. გამგემ შემთხვევის შესახებ პოლიციის ბოქაულს შეატყობინა, რომელმაც ხსენებული მოქალაქის ბინა გაჩხრიკა და 7 მითვისებული წიგნი ამოიღო.

1905 წლის რევოლუციური მოძრაობის დამარცხების შემდეგ, რომელშიც სამტრედიის მოქალაქეები და მუშები აქტიურად მონაწილეობდნენ, „რეაქციის ხანაში“ ქალაქის კულტურულ დაწესებულებებს, მათ შორის ბიბლიოთეკას მძიმე დრო დაუდგა. ბიბლიოთეკა სიკვდილისაგან ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ იხსნა, რომელმაც იგი თავის მფარველობის ქვეშ მიიღო.

1913 წლისათვის ბიბლიოთეკის ფონდში 775 ქართული და 146 რუსული წიგნი იყო; ბიბლიოთეკას გამოწერილი ჰქონდა მთავარი პერიოდული გამოცემები ქართულ და რუსულ ენებზე. სამკითხველოში ყოველდღიურად საშუალოდ 10-15 მკითხველი დადიოდა. 1911 წლის განმავლობაში მკითხველებმა ბიბლიოთეკიდან წიგნი 1764-ჯერ გაიტანეს. ამ დროიდან

ბიბლიოთეკის გამგე ექიმი რაჟდენ ნანეიშვილი იყო.

ბიბლიოთეკამ ბაზარში საკუთარი ჯიხური გახსნა, სადაც სასკოლო სახელმძღვანელოებს და საკანცელარიო ნივთებს ჰყიდდნენ და შემოსავალი ბიბლიოთეკის ფონდის გაძლიერებას ხმარდებოდა.

1910-იანი წლებისათვის, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების განვითარების პარალელურად, ქალაქის საჯარო სივრცეები უფრო გამრავლდა. სამტრედიასა და მიმდებარე სოფლებში კულტურული პროცესები უფრო გააქტიურდა. ამ დროისათვის ხშირად იმართებოდა საჯარო დისკუსიები აქტუალურ პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ საკითხებზე.

მაგალითისთვის, იმავე ბიბლიოთეკის დამაარსებელმა პეტრე გელეიშვილმა პირველად სამტრედიაში წარუდგინა საზოგადოებას კრიტიკული წერილების სერია ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ, სადაც იგი, როგორც გამოცდილი ლიტერატორი და პოლიტიკური იდეოლოგი, ცდილობდა, საღად და კრიტიკული თვალით შეეფასებინა ილიას საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობა. სამტრედიაში დაიბეჭდა ანალოგიური ხასიათის ნაშრომი მალაქია ტოროშელიძის ავტორობით.

დიდი საზოგადოებრივი და კულტურული ცვლილებების წყარო, შეიძლება ითქვას, ერთი მოქალაქის მიერ წლების წინ მიცემული პირველი მაგალითი სამტრედიის საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება გახდა, რომელმაც ჯაჭვური რეაქციით ანალოგიური ინიციატივები დაძრა და განვითარება ბუნებრივი და შეუქცევადი გახადა.

პეტრე გელეიშვილის ბედი

1890-იან წლებში სამტრედიის დატოვების შემდეგ, პეტრე გელეიშვილი აქტიურად მუშაობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში. იყო პარტიის არქივარიუსი.

პოლიტიკური საბაბით მეფის რეჟიმის მიერ მრავალჯერ იყო დაპატიმრებული. თანამშრომლობდა ლეგალურ და არალეგალურ პრესაში. ცნობილი იყო მისი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებით, რის გამოც, მწერლებსა და პოეტებს შორის, ბევრი მტერი გაიჩინა.

1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისას, ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის აქტს. იყო პარლამენტის წევრი. 1919 წლიდან არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების დეპუტატად. დანიშნული იყო რესპუბლიკის სამეცნიერო არქივის დეპარტამენტის გამგედ.

1921 წელს, საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, 1922 წლიდან, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე დაწყებული ტერორისა და წნეხის გამო, პეტრე გელეიშვილმა პრესაში განაცხადა, რომ ტოვებდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, პოლიტიკურ მუშაობას ჩამოშორდებოდა და ლოიალობას უცხადებდა საბჭოთა ხელისუფლებას. ხელისუფლების ზეწოლით პეტრე გელეიშვილი მუშაობდა „ყოფილ მენშევიკთა“ (სოციალ-დემოკრატთა) ორგანიზაციაში, რომელიც არწმუნებდა რეჟიმის მოწინააღმდეგეებს ბრძოლა შეეწყვიტათ და შერიგებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას.

1920-იანი წლების ბოლოს პეტრე გელეიშვილი იყო საქართველოს სსრ რევოლუციის მუზეუმის თანამშრომელი; მუშაობდა ფუნდამენტურ კვლევებზე საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიის შესახებ. 1930-იან წლებში მუშაობდა ნიკო მარის სახელობის სამეცნიერო ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად.

1930-იანი წლების მეორე ნახევარში პეტრე საკუთარი ინიციატივით აგრძელებდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის შესწავლას.

1937 წლის დიდი ტერორის დროს პეტრე გელეიშვილი დაპატიმრეს არალეგალური „მენშევიკური“ კონტრრევოლუციური

ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით. მან წაყენებულ ბრალ-
დებებში თავი დამნაშავედ არ ცნო.

საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებულმა განსაკუთრებ-
ულმა სამეულმა (ე.წ. „ტროიკამ“) მას 1938 წლის 17 მარტს
დახვრეტა მიუსაჯა. დახვრიტეს 18 მარტს, ღამით.

>>

პეტრე გელეიშვილი

ფოტო: საქართველოს ეროვნული არქივი,
საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,
ტფილისის გუბერნიის უანდარმთა
სამმართველოს კარტოთეკა.

3

სამეურნეო ამხანაგობები და კოოპერაცია

ისაია ფურცელაძე – საზოგადოებრივი და კერძო ინიციატივა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის

[ანა მარგველაშვილი]

> „ჩვენი ქვეყანა რომ უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა, ამას მტკიცება აღარ უნდა. უბედურება მხოლოდ ის არის, რომ ბუნებით უხვს ჩვენს ქვეყანას გონიერი და რიგიანი მომვლელნი დღემდე არ ჰყავდა, ჯერაც არა ჰყავს. მეურნეობა პირველყოფილ მდგომარეობაშია. ადგილობრივ მცხოვრებს ბუნება რასაც აძლევს, მით კმაყოფილდება მაშინ, როდესაც გონიერი და გამრჯე მარჯვენა ჩვენს ქვეყანას სამოთხეს დაამსგავსებდა. ალბათ ასე უყურებდნენ ქვეყნის ერთგული მოყვარულნი შვილნი ჩვენის სამშობლოს ასეთ ბუნებრივ სიმდიდრეს, რომ თვითონ უყვირლად დაიწყეს ჩვენს დაბა-სოფლებში ინტენსიური მეურნეობის წარმოება.“[1]

1864 წლის რეფორმის შემდეგ, რომელმაც ფორმალურად დაასრულა ძველი, ფეოდალური ტიპის საზოგადოებრივი წყობა, კავკასიასა და საქართველოში ცხადად გამოჩნდა ის მძიმე პრობლემები, რომელთა გადაჭრაც აუცილებელი ამოცანა იყო ახალი საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის: რეფორმის სიმცირის გამო, გლეხები, ფაქტობრივად, კვლავ მემამულეების წინაშე ვალდებულნი

1 სოფლის ჩუმი მუშაკნი, იოსებ არიმათიელი (იოსებ იმედაშვილი), „თეატრი და ცხოვრება“ # 12, 1918 წ.

დარჩნენ და ვერ ახერხებდნენ დამოუკიდებელი მეურნეობების განვითარებას. მსხვილი მიწათმფლობელები საკუთარი სავარგულების დანაწევრებასა და გაყიდვას შეუდგნენ. მათ შორისაც ძნელად მოიძებნებოდა პირი, რომელიც ახალი ტიპის მეურნეობის მოწყობას შეუდგებოდა და ცვლილებების ინიციატორი გახდებოდა; ამას ემატებოდა კომუნიკაციების (თანამედროვე გზებისა და საინფორმაციო კავშირების) არარსებობა, რაც იზოლაციაში აქცევდა და პროდუქციის გასაღების ბაზარს უსპობდა სოფლის მეურნეობას. მეორე მხრივ, კი ხელს უშლიდა მწვავე ტექნოლოგიური ჩამორჩენის[2] დაძლევას, რამდენადაც მიმოსვლის სირთულე, სოფლად საზოგადოებრივი ცხოვრების დონე და განმანათლებლობის იდეით მომართული ადამიანების ნაკლებობა აქარწყლებდა ყოველგვარ გეგმა-ჩანაფიქრს რეგიონებში სამეურნეო ცოდნის გავრცელებასა და კულტურული საქმიანობის დასაწყებად, რასაც შედეგად პოზიტიური ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა.[3]

პრობლემას ამწვავებდა იმპერიის მკაცრი პოლიტიკა კავკასიაში, „განაპირა მხარეში“, რომელსაც ისედაც შეკვეცილი საგლეხო რეფორმის შემდეგ, 1917 წლამდე, იმპერიის დაცემამდე, არ მისცეს შეზღუდული თვითმმართველობის უფლებაც კი, რომელიც 1870-იანი წლებიდან ამოქმედდა იმპერიის შიდა მხარეებში.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ცხადად ხედავდნენ ამ პირობებით შექმნილ მძიმე გამოწვევებს. აცნობიერებდნენ, რომ ცვლილებების ინიციატორებს აქცენტი, პირველ რიგში, სამეურნეო ცოდნის გავრცელებაზე უნდა გაეკეთებინათ. სანიმუშო, თანამედროვე მეურნეობების მოწყობის გზით სოფლის მეურნეები ევროპული ტიპის ტექნოლოგიის უპირატესობაში ცოცხალი მაგალითებით დაერწმუნებინათ. მოეხერხებინათ ადგილობრივი თვითმმართველობის თუნდაც შეზღუდული მოდელის ამოქმედება, რაც საშუალებას მისცემდა სოფლის

2 „სასოფლო გაზეთი“, # 5, 1913 წ.

3 საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში (1864-1905), გრიგოლ გიორგაძე. სახელგამი, თბილისი, 1928 წ.

მოსახლეობას გადასახადების ნაწილი ადგილზევე საერთო სიკეთის განვითარებაში დაებანდებინათ და პასუხისმგებლობასთან ერთად საზოგადოებრივ თანამშრომლობასაც მისჩვეოდნენ.[4]

მათთვის ასევე ცხადი იყო პერსპექტივა, რომ ქვეყნის ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, მეურნეობის განვითარებას დიდი პოტენციალი ჰქონდა და სოფლის მეურნეობა სწორი გზით განვითარების შემთხვევაში, ქვეყნის ეკონომიკის ბირთვი და საზოგადოების მოდერნიზაციის სტიმული გახდებოდა.

არაფორმალური განათლების ინიციატივები

პრესა

მე-19 საუკუნის ბოლოსათვის კომუნიკაციების განვითარებამ (რკინიგზა, ფოსტა) დიდი შეღავათი მისცა „განმანათლებლებს" საკუთარი გეგმების განხორციელებიაში. მსხვილ კაპიტალს გზა გაუხსნა ნედლეულისაკენ, სოფლის მეურნეობის პროდუქციას გასაღების ბაზრისაკენ და კარჩაკეტილი, პატრიარქალური ყოფიდან გამოიყვანა სოფლის მოსახლეობა. ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ინიციატორებმა ძალისხმევა სოფლად სამეურნეო განათლებისკენ მიმართეს.

პირველ რიგში, სისტემური ხასიათი მიეცა სპეციალური ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების ბეჭდვას, რასაც საფუძველი უნდა ჩაეყარა რეგიონებში არაფორმალური განათლებისათვის. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრების მე-20 საუკუნის მიჯნაზე სოფლის მეურნეობის საკითხებზე რამდენიმე ქართულენოვანი ჟურნალი და გაზეთი გამოდიოდა: ჟურნალები „გუთნისდედა", „სასოფლო გაზეთი" და „მოსავალი". 1910-იანი წლებიდან კოოპერატიული მოძრაობის განვითარების კვალდაკვალ კი გაზეთები „მეურნე"

4 საჭირბოროტო საკითხი, ფსევდ. მეზობელი, „სასოფლო გაზეთი" # 9, 1913 წ.

და „კოოპერაცია". ამ გამოცემებში შუქდებოდა როგორც თეორიული, სამეცნიერო მასალა, ახალი ტექნოლოგიები, გამოგონებები, რუსეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების სამეურნეო გამოცდილება და მიღწევები, ასევე სისტემატურად იბეჭდებოდა პრაქტიკული, დარგობრივი რჩევები გლეხებისათვის.

სახელმწიფო სკოლები – რესურსი სამეურნეო განათლებისათვის

სამეურნეო ცოდნის რეგიონებში გავრცელების საქმეში, სოფლად სამეურნეო წინსვლის ხელშეწყობის მნიშვნელოვან რესურსად ჩანდა „სამურნეო განყოფილებები", რომლებიც არსებობდა სახელმწიფო-დაწყებით ე.წ. „სამინისტროს სკოლებთან". ამ განყოფილებების მიზანი სწორედ დარგობრივი სამეურნეო ცოდნის გავრცელება იყო.

სამწუხაროდ, რამდენადაც პრაქტიკაში დაკვირვება ცხადყოფდა, მსგავსად სხვა სახელმწიფო-ბიუროკრატიული ინსტრუმენტებისა, ეს განყოფილებებიც რეალურად ვერ ასრულებდნენ თავიანთ დანიშნულებას. მიზეზი მარტივი იყო – სამეურნეო განყოფილების გაძღოლა სასკოლო საგნებით ისედაც დატვირთულ სოფლის მასწავლებლებს ევალებოდათ, რომელთაც არც სპეციალური ცოდნა გააჩნდათ ამ მიმართულებით და არც სათანადო მოტივაცია; შედეგად, სწავლება მაინცდამაინც რეალურ შედეგს ვერ იღებდა. იყო შემთხვევები, როდესაც განყოფილების გასაძღოლად მებაღე-მასწავლებელს იწვევდნენ. სკოლის მთლიანი სასწავლო პროცესის წარმართვაზე ზედამხედველობას კი სკოლის ინსპექტორი ახორციელებდა. იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც სკოლის ინსპექტორი თავად იყო იდეური ადამიანი, ესმოდა სამეურნეო ცოდნის გავრცელებისა და, შესაბამისად, სკოლასთან სამეურნეო განყოფილების არსებობის მნიშვნელობა, ის თავად ხდებოდა პროცესის გულშემატკივარი და მასწავლებლის დამხმარე. თუმცა მსგავსი „იდეალური" ინსპექტორები „სამინისტრო სკოლებში" ხშირი არ იყო და როგორც თა-

ნამედროვეები შენიშნავდნენ, „სამეურნეო განწყობილებებით განმსჭვალული ზედამხედველ-ინსპექტორები დიოგენის ფარნით საძებარია ჩვენში“.[5]

კერძო სამეურნეო სკოლები და მოკლევადიანი კურსები

სახელმწიფო სკოლების ნაკლოვანებამ ბიძგი მისცა სამეურნეო განვითარების აქტივისტებს, რათა საკუთარი ძალებით მოეწყოთ – სპეციალური, დარგობრივი ცოდნის გამავრცელებელი კურსები, სკოლები და პრაქტიკული საცდელი მეურნეობები. სახელმწიფო სკოლების კრიტიკოსებს არგუმენტად სწორედ მსგავსი წარმატებული ინიციატივების მაგალითები ჰქონდათ, რომლებიც ითვალისწინებდნენ “სამეურნეო განყოფილებების” დასახელებულ ნაკლოვანებებს. წარმატებული ალტერნატივის ნიმუში კი შორაპნის მაზრაში დაარსებული კერძო სამეურნეო სკოლა იყო:

„ამ მხრივ გაცილებით მეტი ღვაწლი მიუძღვის საქარის სანერგის პრაქტიკულ სამეურნეო სკოლას. ამ სკოლაში კურსდამთავრებულნი მოედვენ სოფლებს და ავრცელებენ მევენახეობა-მეღვინეობას. თითქმის გურიის ყველა სოფელში შეხვდებით მათ ნაშრომ-ნამოქმედარს. ამავე დროს კი სამეურნეო განყოფილებების ნამოქმედარი ძლიერ ცოტა სჩანს. რით აიხსნება ეს მოვლენა? ამის პასუხი ადვილია: პრაქტიკულ სკოლებს სათავეში უდგანან მცოდნე მეურნენი. აქ 2-3 უმთავრეს სამეურნეო საგანს აქვს ადგილი დათმობილი. მოსწავლეთა რიცხვს კიდე მოზრდილები შეადგენენ.“[6]

შესაბამისად, 1900-იანი წლებიდან მოკლევადიანი სამეურნეო კურსების ორგანიზება და ზრუნვა კერძო სამეურნეო სკოლების გახსნაზე უფრო ხშირი გახდა; ინიციატორები სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები იყვნენ. მაგალითად, სამეურნეო საზოგადოება (იხ. ქვემოთ) 1913 წელს, კოოპე-

5 რატომ სავსებით ვერ აღწევენ მიზანს სამინისტრო სკოლებთან არსებული სამეურნეო განყოფილებები, კოტე ნაკაშიძე; „სასოფლო გაზეთი“, # 11, 1915 წ.
6 „სასოფლო გაზეთი“, # 11, 1915 წ.

რაციის თემისადმი მზარდი ინტერესის ფონზე, აცხადებდა საკოოპერაციო მოკლეევადიან (10 დღე), უფასო კურსებს; კურსები მოიცავდა თემატურ ლექციებს, ქართულ და რუსულ ენებზე, ყოველდღიურად რამდენიმე საათს. რამდენადაც კურსები განკუთვნილი იყო მოქმედი კოოპერატივების ხელმძღვანელებისათვის ან სამომავლოდ ამ სფეროთ დაინტერესებული პირებისათვის, ასეთები კი ძირითადად რეგიონებში მოღვაწეობდნენ, ორგანიზატორები ზრუნავდნენ საცხოვრებელი ფართზე (უფასოდ ან შეღავათიან ფასად) თბილისში (10-დღიანი სასწავლო კურსი თბილისში ტარდებოდა). ლექციები კი შეეხებოდა როგორც კოოპერაციის განვითარებისა და მნიშვნელობის საკითხებს, ასევე მისი შექმნის, მართვის, საქმისწარმოების, კრედიტის აღებისა და კოოპერატივების ფორმების საკითხებს.[7]

ხშირი იყო საჯარო ლექციები სამეურნეო თემებზე, სასწავლო-პრაქტიკული მეცადინეობები და სამეურნეო და ტექნოლოგიური მიღწევების გამოფენების ორგანიზება.

ადგილობრივი სამეურნეო-საგანმანათლებლო ინიციატივები

გარდა სამეურნეო ცოდნისა და ახალი ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის ნაკლებობისა, სოფლად მაცხოვრებელი გლეხების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად კვლავ გასაღების ბაზრის ხელმიუწვდომლობა რჩებოდა. კომუნიკაციების განვითარების მიუხედავად, საკუთარ ნაწარმს გლეხები „ჩარჩებისა და წურბელა ვაჭრების“ მეშვეობით ყიდდნენ. ამის გამო, პროდუქტის გასაყიდი ფასი დაბალი იყო, მოსავლის მოყვანისათვის გაწეული ჯაფა კი დიდი, რაც მეურნეობის განვითარებისა და მოდერნიზების შესაძლებლობას გამორიცხავდა. შესაბამისად, პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად, კოოპერაციასთან ერთად, სოფლად მეურნეთა შეკავშირება – სამეურნეო საზოგადოების დაარსება იყო, რომელიც წვრილი,

7 „სასოფლო გაზეთი“, # 30, 1913 წ.

გაფანტული და სუსტი მეურნეობების შეკავშირების გზით, გასაღების ბაზრის მოძიებას გააადვილებდა და ტექნოლოგიური ჩამორჩენის დაძლევაზე იმუშავებდა. სოფლად მსგავსი საზოგადოებების შექმნა არ მოიაზრებდა ერთ კონკრეტულ სოფელს, არამედ (მეზობელ) სოფელთა გაერთიანებას, სოფელთა კავშირს საერთო მიზნის მისაღწევად. საზოგადოების წევრები შეიძლება ყოფილიყვნენ სოფლის მეურნეობაში ჩართული, სოფლად მაცხოვრებელი ორივე სქესის მშრომელები, კაცები და ქალები.

მაგალითისათვის, 1913 წელს მსგავსი სამეურნეო საზოგადოებების შექმნის ინიციატივები არსებობდა გორის მაზრაში, სოფ. საქაშეთსა და გურიაში, დაბა ლანჩხუთში. ლანჩხუთის სამეურნეო საზოგადოების მოქმედება და წესდება შეიძლება სანიმუშო მაგალითი იყოს ამ ტიპის პროექტებზე წარმოდგენის შესაქმნელად.

ლანჩხუთის სამეურნეო საზოგადოების (რომელიც 1913 წლისათვის რეგისტრაციის პროცესში იყო) წესდებით „ლანჩხუთის მეურნენი, ესე იგი, ყველა ისინი, განურჩევლად სქესისა, რომლებიც მიწის მუშაობით და საზოგადოთ ოჯახობით თავს ირჩენენ, ამ საზოგადოებამ თავის გარშემო უნდა შემოიკრიბოს და მათი სამეურნეო ინტერესები საზოგადო ინტერესათ გახადოს, ერთი სიტყვით მეურნენი ერთი მეორესთან მაგრათ გადაჯაჭვოს და ცხოვრებასთან ლუკმა-პურის საბრძოლველათ შეკავშირებულ-დარაზმული გამოიყვანოს.“[8] ლანჩხუთის სამეურნეო საზოგადოება დასახული მიზნის მისაღწევად სხვადასხვა სამუშაო სტრატეგიას მიმართავდა; პირველ რიგში, საზოგადოება „ცდილობს შრომა ყველას შეაყვაროს და ოსტატური შრომა ასწავლოს“[9]. ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოება გეგმავდა სოფლად ნასწავლ აგრონომ-ინსტრუქტორების მოწვევას, რომლებიც წევრებისათვის თემატურ ლექციებს წაიკითხავდნენ, საუბრებს გამართავდნენ, პრაქტიკულ გაკვეთილებს ჩაატარებდნენ. საზოგადოება გეგ-

8 საჭირბოროტო საკითხი, ფსევდ. „მეზობელი“, „სასოფლო გაზეთი“ # 9, 1913 წ.
9 იქვე

მავდა შეეძინა მამულები საცდელი მეურნეობის მოსაწყობად ან რომელიმე წევრის მამულში ჩაეტარებინა პრაქტიკული სწავლებები. „საზოგადოება ყოველ ღონეს იღონებს, რომ მისი წევრები ერთმანეთს შორის ძმურ განწყობილებაში იყვნენ, გასაჭირის დროს ერთი მეორეს დაეხმარონ. ამისათვის მოუსავლობის ან მუშაობის დროს, რომელიმე მუშა წევრის ავადმყოფობის გამო, თუ ოჯახი უჭირნახულოდ რჩება, წევრები ვალდებულად იხდიან თავს ჭირნახულის სესხებით ამ-ხანაგს ხელი გაუმართონ.“[10]

ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება

1850-იანი წლებიდან მოყოლებული, თბილისში არსებობდა „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება“, რომელ-საც წესით, საკუთარ თავზე უნდა აეღო სამეურნეო ცოდნის გავრცელების მთავარი ინიციატორისა და ადგილობრივი საზ-ოგადოებების დამაკავშირებლისა და მხარდამჭერის ფუნქცია. მაგრამ, როგორც მისივე თანამედროვეები, მკვლევრები და სამეურნეო დარგის მუშაკები შენიშნავდნენ, საზოგადოება ჩაკ-ეტილი, სახელმწიფო ბიუროკრატიის გამტარი დაწესებულება იყო, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა არ ჰქონდა საკუთარ სამიზნესთან – სოფლის მოსახლეობასთან და მისი მოქმე-დება ეპიზოდურ სამეურნეო აქციებში, ხშირად წარუმატებელ მცდელობებში გამოიხატებოდა. ერთადერთი პოზიტიური გავ-ლენა სფეროზე, საზოგადოებას დარგობრივი ლიტერატურის გამოცემის მხარდაჭერით თუ ჰქონდა.[11]

კავკასიის საზოგადოების მიერ აუთვისებელი ნიშის დაკა-ვების ბუნებრივი მოთხოვნილებით, სამეურნეო ინიციატივების ზურგის გამაგრებისა და კოორდინირების სურვილით, შეი-ქმნა „ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება“. მისი წესდება 1910 წლის 22 მარტს დამტკიცდა, პრაქტიკულ მუშა-ობას კი 1911 წლიდან შეუდგა.

---

10 საჭირბოროტო საკითხი, ფსევდ. „მეზობელი“, „სასოფლო გაზეთი“ # 9, 1913 წ.
11 საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში (1864-1905), გრიგოლ გიორგაძე. სახელგამი, თბილისი, 1928 წ.

საზოგადოების დაფუძნების ინიციატორები და აქტიური მუშაკები, სწორედ წლების განმავლობაში ცალ-ცალკე მომუშავე, პრაქტიკოს მეურნეები და სასოფლო-სამეურნეო განათლების პროგრესის გულშემატკივრები იყვნენ: ვასილ რცხილაძე, ი.თ. ხუნდაძე, გრიგოლ ქურდიანი[12], ეგნატე იოსელიანი[13], თავადი დ. ვ. ვაჩნაძე[14], გიორგი გვაზავა[15], ე. კარბელაშვილი, კონსტანტინე ამირაჯიბი[16] სოფელი ავლევიდან, ძმები არჯევანიძეები სოფელი ნორიოდან (იხ. გვ. 130), ისაია ფურცელაძე სოფელი მერეთიდან, ნიკო კეცხოველი[17] სოფელ ტყვიავიდან და სხვები. ადამიანები, რომელებმაც თავიანთი განათლება, გამოცდილება, ენერგია და მონდომება სოფლის კეთილდღეობისაკენ მიმართეს. დაიწყეს მუშაობა სოფლად, საზოგადო, სასიკეთო ცვლილებების იმედით. გარდა იმისა, რომ აღნიშნული პირები საკუთარ სოფლებსა და მამულებში მოღვაწეობდნენ, ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულები სხვადასხვა საზოგადოებისა თუ ამხანაგობის საქმიანობაში, საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებითა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობით.

---

12 გრიგოლ ქურდიანი – 1873-1957 წწ. ქ. ინჟინერ-არქიტექტორი; 1899 წ. მუშაობდა ბაქოში ნავთობმრეწველობაში ცნობილ ბიზნესმენ ნობელთან. 1906-16 წწ. ხელმძღვანელობდა თბილისის წყალმომარაგების რეკონსტრუქციის პროექტს. 1918 წ. დააარსა საქართველოს ტექნიკური საზოგადოება;

13 ეგნატე იოსელიანი – 1843-1926, რევოლუციონერი. 1900-იანი წლებიდან მოღვაწეობდა თბილისში, იყო კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მდივანი.

14 დ.ვ. ვაჩნაძე – 1884-1962, პოლიტიკოსი, სამხედრო პირი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი. ქართული ეროვნული საბჭოს წევრი 1917 წელს. 1923 წ-დან წავიდა ემიგრაციაში, გარდაიცვალა გერმანიაში.

15 გიორგი გვაზავა – 1869 (სოფ. ნოქალაქევი) – 1941 (პარიზი). იურისტი, ჟურნალისტი, ლიტერატორი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. ეროვნული საბჭოს და პარლამენტის წევრი 1917-1918 წლებში. დამფუძნებელი კრების დეპუტატი 1919 წლიდან. ცხოვრობდა საფრანგეთში ემიგრაციაში 1921 წლიდან.

16 იხ. სოფელ ავლევის მოდერნიზაცია; „ინიციატივა ცვლილებისათვის, თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოში საბჭოთა ოკუპაციამდე“, სათემო განვითარების ცენტრი, თანამედროვე ხელოვნების ცენტრი თბილისი, 2015 წ. გვ.36.

17 ნიკოლოზ კეცხოველი – მასწავლებელი, სწავლული მებაღე, ქართლში ევროპული მეხილეობისა და სოფელ ტყვიავში სანიმუშო სანერგე მეურნეობის ფუძემდებელი;

ქართულ სამეურნეო საზოგადოებას შექმნის მომენტში სულ 88 წევრი ჰყავდა, 1911 წლის დამლევს წევრთა რაოდენობა 122, ხოლო 1912 წლის დამლევს კი – 222 შეადგენდა. წევრთა მზარდი მაჩვენებელი საზოგადოებისადმი ნდობისა და სასოფლო-სამეურნეო სფეროს მიმართ არსებული გარკვეული ინტერესის მაჩვენებელია.

მიუხედავად არაერთი დაბრკოლებისა, როგორც პოლიტიკური კუთხით ისე, უშუალოდ ადგილზე არსებული გამოწვევებისა, კერძო ინიციატორები, მეურნეები, ცდილობდნენ ბოლომდე მიეყვანათ დაწყებული საქმე საქართველოს სხვადასხვა სოფელში; მათ არსებული წინააღმდეგობების გადალახვით, მოთმინებითა და დაუღალავი შრომით უწევდათ საკუთარი მეურნეობების განვითარება, სხვისთვის მაგალითის მიცემა და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვაც, გლეხებისათვის დარგობრივი ცოდნის და უნარების ამაღლების მიზნით.

1912 წელს ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიეს ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი (იხ. გვ. 138), ცნობილი სამეურნეო სკოლის დამფუძნებელი და საზოგადო მოღვაწე.

განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ვასილ რცხილაძე[18], ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მდივანი (სავარაუდოდ, 1914 წლიდან), ჟურნალი „მოსავლის“ რედაქტორი, რომელიც მალე საზოგადოების ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოდ იქცა; 1914 წელს სამეურნეო საზოგადოებამ 2 000 მანეთად შეიძინა ჟურნალის სარედაქციო უფლე-

---

18 ვასილ რცხილაძე – 1860-1920, დაიბადა სოფელ შაშიანში. დაამთავრა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი და ჩაერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში. გარკვეული პერიოდი სწავლობდა შვეიცარიაში, ჟენევის უნივერსიტეტში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ასწავლიდა ფიზიკა-მათემატიკას თბილისის სახელოსნო სკოლაში. იყო პუბლიცისტი, არაერთი პუბლიკაციის ავტორი; 1905 წელს მისი თაოსნობით დაარსდა სახალხო უნივერსიტეტი მუშებისათვის. იყო ასევე ქართული სამეურნეო საზოგადოების (იგივე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება) შექმნის მოთავე. 1911 წელს აირჩიეს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრ-მდივნად;

ბა[19]. ჟურნალი „მოსავლის“ მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებას განაგრძობდა. სისტემატურად ქვეყნდებოდა ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგთან დაკავშირებით.

ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება თბილისში დაფუძნდა და მისი მიზანი იყო თბილისის გუბერნიაში მეურნეობის ყველა დარგის გავრცელებისათვის ხელის შეწყობა. საზოგადოება სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკიდან, საწევროებიდან და მიწათმოქმედების დეპარტამენტიდან ფინანსდებოდა. საზოგადოების საბჭო ქირით იმყოფებოდა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

1912 წელს საზოგადოებამ უკვე შეძლო და ქართლისა და კახეთის რაიონებისათვის აგრონომ-კონსულტანტების მიმაგრება, რისთვისაც 1914 წლიდან რეგიონებში (მაზრებში) მოქმედი საერობო (სათვითმმართველობო) ინსტრუქტორის კადრებით ისარგებლეს, რომლებიც მრავალჯერ დაპირებული თვითმმართველობის, „ერობის”, შემოღებამდე, ფორმალურად მოსამზადებელ სამუშაოებს ასრულებდნენ და მათ ინახავდნენ საერობო ხარჯიდან[20]. აგრონომ-ინსტრუქტორები აქტიურად მუშაობდნენ რაიონებში, აკვირდებოდნენ და სწავლობდნენ საჭიროებებსა და არსებულ პრობლემებს, კონსულტაციებს უწევდნენ ადგილობრივ მეურნეებს, საზოგადოებას წარუდგენდნენ ანგარიშებს, რომელთა საფუძველზეც იგეგმებოდა შემდეგი ნაბიჯები.

საზოგადოებას ჰყავდა მმართველი საბჭო, რომელიც, თავის მხრივ, სექციებად იყოფოდა: კოოპერატიული, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა, მესაქონლეობისა და ტექნიკური.

---

19 „სასოფლო გაზეთი“, # 4, 1914 წ.

20 საერობო აგრონომების მოქმედება გორის მაზრაში, სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“, # 2, 1915 წ.

საზოგადოების 1911-1912 წლების ანგარიშის მიხედვით, მაგ. 1910-12 წლებში საზოგადოებამ, გარდა დამფუძნებელი კრებისა, ერთი საერთო კრება და საბჭოს 100-მდე კრება მოიწვია. კრებებზე სხვადასხვა საკითხი განიხილებოდა, უშუალოდ ორგანიზაციის პროგრამულ მუშაობასთან დაკავშირებული და ცალკეული დარგების განვითარებაზე ორიენტირებულიც.

საზოგადოების მოქმედების პრაქტიკის გასაცნობად – მაგალითისათვის, საზოგადოების 1912 წლის დღის წესრიგში იდგა სოფელ ლილოში მერძევეთა ამხანაგობის მოწყობის, თელავში ამერიკული ვაზის კულტურის მცოდნე პირთა თათბირის მოწვევისა და ატენის ხეობაში სასოფლო-სამეურნეო მუშაობის საკითხები. კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისთვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, კომისიები, რომლებიც უკვე კონკრეტულ ქმედებებს ახორციელებდნენ. მათი საქმიანობა კი საზოგადოების კრებებზე განიხილებოდა. გორში ჩატარდა გორის მაზრის მეხილეთა კრება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საკითხი მეხილეობის ნაწარმის გამსაღებელი ამხანაგობის მოწყობის შესახებ. რამდენადაც კრებაზე ვერ მოხერხდა კონსესუსის მიღწევა, ამხანაგობის შექმნა 1912 წელს ვერ მოესწრო. უფრო წარმატებული აღმოჩენილა ლილოს მერძევეთა ამხანაგობის მოწყობის საკითხი და მერძევეთა ამხანაგობა 1912 წლისათვის უკვე წარმატებით მუშაობდა.

საზოგადოების საგანმანათლებლო საქმიანობა

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება სამეურნეო ცოდნის გავრცელებას სხვადასხვა საქმიანობით უწყობდა ხელს: გამოიცემოდა დარგობრივი ლიტერატურა. მაგალითად, 1916 წელს ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ გამოიცა ვ. ახოშვილის წიგნაკი „ხეხილის დარგვა“[21], საზოგადოების მდივნის ვასილ რცხილაძის პუბლიკაციები და სხვა.

21 „სასოფლო გაზეთი“, # 6, 1916 წ.

საზოგადოების 1911-1912 წლების ანგარიშის მიხედვით: „მოწვეული იყო თელავში ამერიკული ვაზის კულტურის მცოდნე პირთა თათბირი. თათბირის შრომა გამოცემულია ცალკე წიგნად, როგორც ქართულად, აგრეთვე რუსულად. თათბირის მიერ მიღებული დადგენილებანი თანდათან სრულდება მიმდინარე წელს. შეძენილია კახეთში, ორ ადგილას – იყალთოში და მუკუზანში (პირველ სოფელში 20 დესეტინა, ხოლო მეორეში – 12) – სულ 32 დესეტინა მიწა, რომელზედაც შენდება ამერიკული ვაზის სანერგე."

1913 წელს ამერიკული ვაზის სანერგეს მოსაწყობად საზოგადოებამ 500 მანეთი გამოყო. ამ მიმართულებით მუშაობა წლების მანძილზე გაგრძელდა და თანმიმდევრულად მიმდინარეობდა. 1913 წელს დღის წესრიგში დადგა ვაზის ჯიშების სანერგე-სანამყენე საცდელ-სასწავლო მეურნეობების შექმნა. როგორც ჩანს, საზოგადოებამ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადადგა და სოფელ იყალთოში, კონდოლსა და მუკუზანში კიდევაც მოახერხა მამულების შესყიდვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიზნებისთვის. რიგ შემთხვევაში, კი სასწავლო-საცდელი მეურნეობები საზოგადოების წევრი მემამულეების ნაკვეთებში ეწყობოდა[22].

სამეურნეო საზოგადოება, გარდა წევრების მიერ გაწეული პრაქტიკული საქმიანობისა, თემატური გაზეთებისა და სახელმძღვანელოებისა, თავადაც ყიდულობდა და აწყობდა საცდელ-საჩვენებელ მეურნეობებს. ცოდნის მიღებას სოფლად მაცხოვრებელი გლეხები სწორედ ამ ნაკვთებსა და მათთან არსებულ სამეურნეო სკოლებში ახერხებდნენ. რამდენადაც სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება თავად ვერ გასწვდებოდა სამეურნეო სკოლების დაფუძნებასა და შენახვას, იგი სხვადასხვა სახით, მათ შორის სათავადაზნაურო ბანკთან შუამდგომლობით უჭერდა მხარს კერძო ინიციატივით არსებული სამეურნეო სკოლების განვითარებას.

1914 წელს ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების

22 „სასოფლო გაზეთი", # 15, 1913 წ.

კოოპერაციულმა სექციამ, თბილისში, ვერის რაიონში მომხმარებელთა მაღაზია „მეურნეს“ გახსნა გადაწყვიტა და შესაბამისი შუამდგომლობა დააყენა გუბერნატორთან[23]. საზოგადოებამ საკუთარი წევრები რუსეთში სხვადასხვა სამეურნეო გამოფენებზე მიავლინა; ასევე მათ აგზავნიდა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მაგალითად, 1914 წელს ქართლის ინსტრუქტორ-აგრონომი ე. კარბელაშვილი გაიგზავნა რუსეთში „მეურნეს“ აგრონომიის საქმის საწყობის დასათვალიერებლად.[24]

ამავე წელს, 17-20 მარტს, ქართული და კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებების თაოსნობით გაიმართა სოფლის მეურნეთა თათბირი, რომელსაც 200-ზე მეტი გლეხი ესწრებ-ოდა. თათბირი, რომელიც მარტყოფის სათეატრო დარბაზში ჩატარდა, ნაწილობრივ თემატურ ლექციებსა და მოხსენებებს დაეთმო. საზოგადოების მდივანმა ვასილ რცხილაძემ, სხვა მომხსენებლებს შორის, წაიკითხა ლექცია „სწავლის მნიშვნელობა სოფლის ცხოვრების გაუმჯობესების საკითხში.“ გარდა ლექციებისა, თათბირის მსვლელობის დროს იქვე გამოსცადეს გუთნები და სხვადასხვა მანქანა-დანადგარი. თათბირის შემდეგ საზოგადოებამ მარტყოფში სამეურნეო კომიტეტი გახსნა, რაიონში სამეურნეო ცოდნის გავრცელების მიზნით[25].

საზოგადოების მუშაობა სასოფლო-სამეურნეო დარგის აღორძინების მიმართულებით მრავალმხრივი იყო. თუმცა პერიოდიკის ანალიზი აჩვენებს, რომ განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობა კახეთში სწორედ მევენახეობისა და ქართლში მეხილეობის აღორძინების მიმართულებით მიმდინარეობდა. სხვა რეგიონებს საზოგადოების სამუშაო არეალი არ მოიცავდა.

---

23 „კლდე“, # 1, 1914 წ.
24 „კლდე“, # 1, 1914 წ.
25 „სასოფლო გაზეთი“, # 15, 1914 წ.

ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საქმიანობა შიდა ქართლში

ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართლში მეხილეობის დარგის განვითარებას.

1912 წლისათვის საზოგადოებას, გარდა კახეთისა და ქართლის აგრონომ-ინსტრუქტორებისა, ჰყავდა მეხილეობის ინსტრუქტორიც. საზოგადოების ამავე წლის ერთ-ერთ კრებაზე დაადგინეს: „ქართლში მეხილეობის განვითარების ხელის შესაწყობად და მის სასურველ ნიადაგზე დასამყარებლად გამართონ სამი ხეხილის სანერგე გორის მაზრაში: ერთი ლიახვის ხეობაში, მეორე ქსნის და მესამე მტკვრის მარჯვენა მხარეს. სანერგეს ექნება სამაგალითო, საჩვენებელი პუნქტიც და ამავე დროს ქართლისათვის შესაფერ ნამყენ ხეხილსაც გაავრცელებს.“[26]

1914 წელს გამართულ კრებაზე დაიგეგმა „მეხილეობის რაიონის შუაგულში, სოფელ ტყვიავში 20 დესეტინა მიწის შეძენა, 120 მან. თითო დესეტინა. შედგა კომისია რომელსაც დაევალა ადგილების დათვალიერება.[27]“ ამავე წლის 16 მარტს, საზოგადოების წევრები, მათ შორის ვასილ რცხილაძე, ისაია ფურცელაძე (მეხილეობის ცნობილი ინსტრუქტორი სოფელი მერეთიდან), პ.გ. მელია და ქართლის აგრონომი გომართელი მართლაც ჩავიდნენ სოფელ ტყვიავში, დაათვალიერეს შერჩეული ნაკვეთი და რამდენადაც საზოგადოებას ისედაც გადაწყვეტილი ჰქონდა რაიონებში სიარული – პრაქტიკული გაკვეთილების (ხეხილის საჩვენებელი გასხვლების) ჩატარების მიზნით,[28] ტყვიავში ყოფნა გამოიყენეს და სოფლის კანცელარიასთან თავშეყრილ გლეხებს (იმ დღეს სოფლის მამასახლისის არჩევნები იყო, რამაც სოფლის ცენტრში ხალხმრავლობა გამოიწვია) შესთავაზეს ხეხილის საჩვენებელი სხვლის ჩვენება. ასამდე გლეხი სიამოვნებით დათანხმდა

26 „სასოფლო გაზეთი“, # 6, 1912 წ.
27 „სასოფლო გაზეთი“, # 7, 1914 წ.
28 „სასოფლო გაზეთი“, # 10, 1914 წ.

შემოთავაზებას და მონაწილეობა მიიღო პრაქტიკულ მეცადინეობაში: „ბაღში გლეხებს მიმართა სიტყვით ადგილობრივმა გამოცდილმა მებაღემ ნიკო ზ. კეცხოველმა და სთხოვა ყურადღებით მოპყრობოდნენ მასზე უფრო გამოცდილ პირთ. პ.გ. მელიამ გლეხებს ჯერ აუხსნა ძირითადი პრინციპები ხეხილის გასხვლისა და შემდეგ ხალხის წინ გასხლა ოთხი წლის მოუვლელი ვაშლის ხე. გლეხები ყოველივეს ყურადღებით ისმენდნენ და უყურებდნენ და კითხვებსაც აძლევდნენ.“[29]

1914 წლიდან ქართლში მეხილეობის დარგის განვითარებისათვის მუშაობა უფრო ინტენსიურ ფაზაში შევიდა. 1914 წლის 22 აპრილს, ნოტარიულად დაიწერა წესდება „ცენტრალურ ამიერკავკასიის მეხილეთა ამხანაგობისა“ დამფუძნებელთა შორის იყვნენ ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების აქტიური წევრები: ვასილ რცხილაძე, იასია ფურცელაძე, ნიკო კეცხოველი და სხვა მეურნეები[30]. ამავე პერიოდში გვხვდება ინფორმაცია „შუაგულ საქართველოს მეხილეთა ამხანაგობის“ შესახებ, რომლის მიზანიც ქართლის მეხილეთა „ნაწარმოების გასაღება“ იყო. ამხანაგობას, შექმნიდან სულ რამდენიმე თვეში, „თბილისში შუაგულ ადგილას, სასულიერო სემინარიის ძველ შენობაში (პუშკინის ბაღის პირდაპირ) გაუხსნია ხილის საწყობი და მაღაზია...“[31]

მალე სხვადასხვა ინიციატივის ლოგიკურ გაგრძელებად იქცა მეხილეთა ამხანაგობა „ქართლი“, რომელმაც მოახერხა ადგილზე ინფრასტრუქტურის განვითარება, მწარმოებელ გლეხთა ძალების შეკავშირება და გასაღების ბაზრის მოპოვება, რამაც იგი წარმატებულ და სანიმუშო ეკონომიკურ საზოგადოებად აქცია. მისი განვითარება, 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის გამო, ხელოვნურად შეწყდა[32].

---

29 „სასოფლო გაზეთი“, # 14, 1914 წ.
30 „კლდე“, # 19, 1914 წ.
31 „კლდე“, # 29, 1914 წ.
32 „რაც მახსოვს“ – რევაზ გაბაშვილი; „დაბრუნება“, გამომცემელი გურამ შარაძე, ფირმა „სადარა“, 1992 წ.

ისაია ფურცელაძე და სოფ. მერეთის სამეურნეო მამული

სამეურნეო წინსვლის ინიციატორებსა და პრაქტიკულ მოღვაწეთა შორის გამორჩეულია ისაია ფურცელაძის სახელი.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე თეორიული და პრაქტიკული გეგმების დასახვა პოლიტიკური პროცესების – პოლიტიკური ინტერესთა ჯგუფების შექმნა-განვითარების პროცესიდანაც გამოვიდა; ამ მხრივ, საინტერესო სივრცედ იქცა შიდა ქართლი, სადაც „ხალხსონების"[33] ძლიერი ბაზა მოეწყო 1870-იან წლებში – 1873 წლიდან გორში დაარსდა ხალხოსანი „ამხანაგებისა და მეგობრებისნ წრე, რომლის მიზანიც იყო „გაეცნო ხალხისთვის მთავრობის მავნე წეს-წყობილება, ჩაეხედებინა გლეხობა თავისს ცხოვრებაში, დაერწმუნებინა იგი, რომ უმამულოდ მისი განთავისუფლება ძველ ბატონყმობაზე უარესი იყო, რომ ამ გარემოებამ გლეხი უფრო ყურმოჭრილი ყმა გახადა ნაბატონარისა."[34] წრის მუშაობაში ჩართულები იყვნენ ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები, განმანათლებლები, საზოგადო მოღვაწეები, მეურნეები. „ამხანაგებისა და მეგობრების წრის" თავშეყრის ძირითად ადგილს გორის მაზრის სოფელი ტყვიავი წარმოადგენდა. წლების შემდეგ სწორედ გორის მაზრის სოფლებში მოიკიდა ფეხი სამეურნეო სკოლებმა და სანერგე მეურნეობებმა, რომელთა მიზანიც სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა და სოფლის მაცხოვრებლებში დარგობრივი ცოდნის გავრცელება იყო.

---

33 „ნაროდნიკობა" („ხალხოსნობა") – მე-19 ს. მეორე ნახევარში რუსეთის ინტელიგენციაში გავრცელებული იდეოლოგია, რომელიც ხალხის მასასთან დაახლოებასა და მის ემანსიპაციას ისახავდა მიზნად; ახასიათებდა სოციალიზმისაკენ სწრაფვა კაპიტალიზმის საფეხურის გავლის გამორიცხვით. „ნაროდნიკულ" მიმდინარეობას განეკუთვნებოდნენ რადიკალური ჯგუფები (მაგ. „Земля и воля"), რომლებიც დასახული მიზნების განხორციელებისათვის ტერორისტულ ტაქტიკასაც იყენებდნენ.

34 იაკობ ბალახაშვილი, ლიტერატურული და რევოლუციური წრეები გორში (მე-19 ს. 70-80-90-იანი წლები), დოკუმენტალური ნარკვევი. საბლიტგამი, თბილისი 1940 წ.

„ხალხოსნების" დაფუძნებელ ჯგუფში აქტიურად მუშაობდნენ მერეთსა და მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ფურცელაძეები – დავითი, ქაიხოსრო, ანტონი და კონსტანტინე. ამავე ჯგუფში შედიოდა შემდგომში ცნობილი აგრონომი, სოფელ მერეთში (გორის მაზრა) ხეხილის ბაღისა და სამეურნეო სკოლის დამფუძნებელი – ისაია იოველის ძე ფურცელაძე (1851-1924).

2015 წელს, სოფელ მერეთში შეკრებილი ზეპირი ისტორიების[35] მიხედვით, ისაია ფურცელაძემ, აგრონომიული განათლება საფრანგეთში მიიღო, შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, ხეხილის ახალი ჯიშების ნერგები და ნამყენები ჩამოიტანა და მშობლიურ სოფელ მერეთში ხეხილის ბაღის გაშენება დაიწყო.

მეორე ვერსიით, მას არ ჰქონდა სპეციალური აგრონომიული განათლება, თბილისში სამასწავლებლო სემინარიის დამთავრების შემდეგ, სოფელ ორტევში (გორის მაზრა) სკოლის მასწავლებლად მუშაობდა. იმ პერიოდში (მე-19 ს. მეორე ნახევარი) სკოლებში, სწავლა ძირითადად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, პედაგოგებს ავალებდნენ (ოლქის მმართველები და სხვ.) ქართული ენის სწავლებისათვის თავი დაენებებინათ და სასწავლო პროცესი მხოლოდ რუსულად წარემართათ. ისაია ფურცელაძისთვის ეს დამოკიდებულება მიუღებელი აღმოჩნდა და მასწავლებლობას თავი დაანება. ამის მერე, დაახლოებით მე-19 საუკუნის მიწურულს, სოფელ მერეთში, პატარა მამაპაპისეულ მამულს მიუბრუნდა, ხეხილის ბაღების გაშენება დაიწყო თავის ნაკვეთზე. მეურნეობა ეტაპობრივად გააფართოვა მამულების შესყიდვით და სოფელ მერეთის ერთ-ერთ უბანში, ხაშილაურში ხეხილის სასწავლო-სამეურნეო ბაღი გააშენა.

პრესაში ფრაგმენტულადაა შემორჩენილი ისაიას ათწლეულების შრომის ამსახველი ინფორმაცია:

---

35 ინტერვიუების ჩაწერის პროცესში გაწეული დახმარებისათვის, პროექტის გუნდი მადლობას უხდის ქ-ნ მანანა ჩიხლაძეს (სოფ. ტყვიავი).

„პატარა ლიახვის ხეობაზე ისაია ფურცელაძის ბაღი ყველას გაუგონია. მართლაც შესანიშნავია ოცდაათზე მეტი დღიური საუკეთესი ვაშლით, მსხალით და ატამით არის სავსე. ამოდენა ხეხილის ბაღს ძნელად შეხვდებით ქართლში.“[36]

„ცნობილ მეურნეს ისაია ფურცელაძეს გორის მაზრის სოფელ მერეთში ფრიად კეთილი საქმე დაუწყია: უზარმაზარ ჭალაში, რომელიც სამოც დესიატინას[37] შეიცავს, აშენებს ხილის დიდ სასოფლო ბაღს თავის ხარჯით. ნაწილი ამ ჭალისა თვით ბ-ნ ფურცელაძეს ეკუთვნოდა, დანარჩენიც შეიძინა სხვა მესაკუთრეებისაგან. ჭალის დასაცავად წყლისაგან ი. ფურცელაძეს ნახევარ ვერსის მანძილზე უკვე საკმაოდ მკვიდრად გაუმაგრებია ლიახვის ნაპირი. ბ-ნ ფურცელაძეს გადაწყვეტილი აქვს, აქვე დააარსოს სამეურნეო სასწავლებელი, რომლის ხარჯიც დაიფარება ამ უზარმაზარი ბაღის შემოსავლით.“[38]

1900 წლიდან ისაია ფურცელაძე ასევე იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. გარდა სამეურნეო საქმიანობისა, ჩაბმული იყო სოფლის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაშიც: მის სახელს უკავშირდება ლიზა ჩერქეზიშვილის სასცენო კარიერის დაწყება – სიკო ცაგარელის „ხანუმაში“, 1885 წელს.[39]

მეურნეობის დაარსებიდან, ხეხილის ახალი ჯიშების გამოყვანასა და სამეურნეო სკოლის მოწყობამდე, ისაია ფურცელაძეს სოფლად არაერთი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა. ერთ-ერთი საქონლის მიერ ხეხილის ბაღების დაზიანება იყო. „ქართლში შემოდგომაზე, რაკი ვენახი დაიკრიფება, საქონელი თავისუფლად დადის, თითქოს მას აღარაფრის წახდენა და ზარალის მიყენება არ შეეძლოს. სად ღობეს გასტეხამს, სად ვენახში გადავა კამბეჩი, ხარი, დამხევი არავინ არის.

36 ჩვენი სოფლის მოღვაწენი, სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“, # 6, 1910 წ.
37 ძველებური მიწის საზომი ერთეული რუსეთში; უდრის 2400 კვადრატულ საჟენს (1, 09 ჰექტარს);
38 მისაბაძი მაგალითი, „სასოფლო გაზეთი“, # 19, 1914 წ.
39 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი, http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00002965/;

ადვილი წარმოსადგენია რა ხეირსაც დააყრიდა ხარკამბეჩი ახალ ჩაყრილ ხეხილს“[40]. ისაია ფურცელაძეს ამ კუთხით სოფლის მაცხოვრებლებთან, საქონლის მეპატრონეებთან, „სასტიკი ბრძოლა“ გაუმართავს და საკმაო დროც დასჭირვებია, სანამ სოფელი მის სიმართლეში დარწმუნდებოდა; ნელ-ნელა „სოფელმა დაინახა მაგალითი იმისა, თუ რამოდენა გამორჩომა შეიძლება მისცეს კაცს ხეხილის ბაღმა და ახლა იქ ყველა ცდილობს გაიჩინოს საუკეთესო ჯიშის მსხალი და ვაშლი“.

სოფლის მაცხოვრებლები თავიდან ასევე სკეპტიკურად იყვნენ განწყობილები ხეხილის ახალი ჯიშების მიმართ, რომელთა გამოყვანასაც ისაია ფურცელაძე თავის საცდელ მეურნეობაში ცდილობდა. თუმცა ისაიას წარმატების კვალდაკვალ მალე გლეხებმაც აუღეს ალღო ბაზრის მოთხოვნილებებს და ყველას „გრანიცის“ ხეხილის გაშენება მოუნდა – „გრანიცის“ ხეხილმა თვალი გაახელინა სოფელს, საღერღელი აუშალა ფულის შოვნისა.“[41]

კერძო მეურნეობად დაწყებული საქმე, სოფლის მაცხოვრებლებისათვის მეხილეობის დარგში თანამედროვე ცოდნის გაზიარებაში გადაიზარდა. მეურნეობის საქმიანობაში სოფლის მაცხოვრებლებიც იყვნენ ჩართულები. გლეხები თან მუშაობდნენ მეურნეობაში. თან სწავლობდნენ სამეურნეო სასწავლებელში. სამეურნეო სკოლა ხეხილის ბაღებთან ახლოს, სოფლის ერთ-ერთ უბანში, ხაშილაურში იყო მოწყობილი. ისაია ფურცელაძე სკოლაში თავად ასწავლიდა. სკოლიდან თავისუფალ დროს, ბაღში მუშაობდა, ამყნობდა ხეხილს და ბაღის მოვლას შეგირდებსაც ასწავლიდა. სამეურნეო ბაღში ათასამდე მარტო მსხლისა და ვაშლის ხე იყო დარგული.[42]

სოფლად დღესაც ყვებიან: ხეხილის ნამყენს ყველას აძლევდა, ხელს უწყობდა ახალი ჯიშების გავრცელებას, ამის

---

40 ჩვენი სოფლის მოღვაწენი, სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“, # 6, 1910 წ.
41 იქვე
42 სოფელ კარბის საჯარო სკოლის პედაგოგის, ქ-ნი ქეთევან მარიამიძის ჩანაწერი.

მიუხედავად, თუკი ვინმე ნერგებს მოპარავდა, მეურნეობის ყარაულებს ეუბნებოდა, დაიჭირეთ, მოვლა ასწავლეთ და ისე გაუშვითო. „თუ შეამჩნევდა რომელიმე გლეხს მებაღეობის ინტერესს, ნერგებს ჩუქნიდა. ერთ დილას მისი ერთგული მოჯამაგირე ვანო ბაიაძე აღშფოთებული შევიდა და მოახსენა: ჩვენი სანერგედან ნერგები მოუპარავთო. ამის გაგონებაზე ისაიას სახე განათებია, სიხარული ვერ დაუმალავს და კარგა ხანს ხმამაღლა უცინია, ძალიან გამახარე ჩემო ვანო, მერეთელები ფხიზლდებიან, ჩემს შრომას ნაყოფი გამოაქვს, წაიღონ, ოღონდ წაიღონ, დაამყნონ და გაახარონო“.[43]

თავად ისაია ახალი ჯიშების გამოყვანითაც იყო დაკავებული, ზოგიერთ ხეზე საცდელად 10-12 ჯიშის ვაშლს ამყნობდა.[44] მის სახელს უკავშირდება რამდენიმე ახალი ჯიშის გამოყვანა, რომელთა მოშენებაც დღესაც გრძელდება არა მარტო სოფელ მერეთში; თავის დროზე საცდელ ნაკვეთში მან შეაჯვარა წითელი კალვერი, შამპანიური რენეტე (ანტონოვკა), ვაგნერი და ახალი ჯიშის ვაშლი მიიღო, რომელსაც „მერეთულა“ დაარქვა. ხეხილის ბაღში 200-მდე ჯიში ჰქონდა დარგული.

„ჟოზეფინა დე-მალინ, მადამ დიუპუი, შარლ კონიე, ბერგამოტ ესპერინა – ამ ჯიშის მსხლებმა წელს პირველად დაისხეს ბ-ნ ისაია ფურცელაძის ხეხილის ბაღში. პირველი ამ ჯურთაგანი ბ-ნმა ფურცელაძემ შემოიტანა „მოსავალი“-ს რედაქციაში საჩვენებლად. შემოდგომაზე, როცა იკრიფება ამ ჯიშის მსხალი, ჯერ ისევ თურმე მკვახეა და არც გემო, არც სურნელოვანება არა აქვს. მაგრამ იანვრისათვის მშვენივრად მწიფდება და საგანგებოდ გემრიელდება. დამწიფებული ჟოზეფინა დე-მალინ თურმე ორ თვეზე მეტ ხანს სძლებს ისე, რომ არავითარი ხინჯი არ ეძლევა. ამ წელსვე პირველად მოისხეს ფურცელაძის ბაღში ვაშლებმა ბანანმა, ლანზბერგის რენეტმა, ვაგნერის რენეტმა, ედელბემერმა (ტიროლისა).“[45]

---

43 იქვე

44 ზეპირი ისტორია, სოფელი მერეთი, ნინო გორგიშელი, დეკემბერი 2015 წ. საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, საზოგადოებრივი არქივი.

45 სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“, # 4, 1912 წ.

ზეპირი ისტორიების თანახმად, 1921 წელს საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირების შემდეგ, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ისაია ფურცელაძეს საკუთრება მთლიანად ჩამოართვა. „კომუნისტებმა ისე დასაჯეს, თავის გაშენებულ მეურნეობაში აღარ უშვებდნენ“.[46] 1924 წელს 73 წლის ასაკში გარდაცვლილი ისაია, ყოფილი მეურნეობისა და სამეურნეო სკოლის ტერიტორიაზეა დაკრძალული. განადგურდა მისი სახლი და მარანი. მისი გაშენებული ხეხილის ბაღი შემდეგ კოლმეურნეობის საკუთრება გახდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი დანაწევრდა და სხვადასხვა კერძო მესაკუთრის ხელში გადავიდა. 100-ზე მეტი წლის წინ ისაია ფურცელაძის მიერ დარგული ხეები ხაშილაურში დღემდეა შემორჩენილი. სოფლის მაცხოვრებლების თქმით, ბებერი ხეები ალბათ ერთ-ორი წელში გაიჩეხება და ხაშილაურში ისია ფურცელაძის საფლავიღა დარჩება. სოფლის ცენტრში ასევე შემორჩენილია ისაიას სახელობის წყარო.

გორის მუნიციპალიტეტის სოფელი მერეთი, დღეს კონფლიქტის ზონაში ე.წ. გამყოფ ხაზთან მდებარეობს. „2008 წლის ომის შემდეგ, ოკუპირებულ საზღვარზე მდგარი ეს სოფელი, დღეს სასმელი და სარწყავი წყლის ნაკლებობას უჩივის და საგულდაგულოდ ნაშენი და მოვლილი ხეხილის ბაღები უწყლობისგან ხმება“.[47] მე-20 საუკუნის დასაწყისში სოფლად მცხოვრები მეხილეობის სპეციალისტის, ხეხილის მეურნეობის და სამეურნეო სკოლის დამაარსებლის, იასია ფურცელაძის შესახებ სოფელი დღემდე ცოცხალ მეხსიერებას ინახავს, თუმცა მალე მისი უკანასკნელი ფიზიკური კვალიც წაიშლება და საზოგადოებამ მისი დიდი, წარმატებული ექსპერიმენტისა და შრომის ისტორიაც შეიძლება მიივიწყოს.

>>

46 ზეპირი ისტორია, სოფელი მერეთი, ნინო გორგიშელი, დეკემბერი 2015, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, საზოგადოებრივი არქივი.
47 ია გორგიშელის ბლოგი - https://goianna.wordpress.com

ისაია ფურცელაძის ხეხილის ბაღი სოფელ მერეთში

ფოტო: ანა მარგველაშვილი, 2015 წ.

ერმილე ნაკაშიძე – გურიის მებაღეთა საკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა

[ირაკლი ხვადაგიანი]

კავკასიაში, შავიზღვისპირეთში, სუბტროპიკული კულტურების გაშენება მე-19 საუკუნის ბოლოს, 1880-იანი წლებიდან დაიწყო. თუმცა პროცესი ძნელად და შერჩევით მიმდინარეობდა. ახალი კულტურების საცდელი პლანტაციები ძირითადად ბათუმის ოლქში, სახელმწიფო მამულებში იყო მოწყობილი და დაკვირვების რეჟიმში არსებობდა. თავდაპირველად, როდესაც ცხადი გახდა, რომ ჩაის, ლიმონის, მანდარინისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების განვითარებისათვის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რეგიონები ხელსაყრელი იყო, რუსეთის იმპერიის ხელისუფლების სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დაიწყეს მსჯელობა, რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა მათი განვითარება. პროცესს გარკვეული სკეპტიციზმიც ახლდა. მაგალითად, ჩაის სანიმუშო-საცდელი ნარგავები დიდი ხნის განმავლობაში ხსენებულ მამულებში დეკორატიული ფუნქციით არსებობდა, რადგან ჩაის ფოთლის დამუშავების ტექნოლოგიის დანერგვას არავინ აპირებდა და მსგავსი გეგმა უტოპიად ჩანდა.

1900-იანი წლების მიჯნაზე სახელმწიფოს დამოკიდებულება შეიცვალა, რადგან, ერთი მხრივ, ადგილობრივი მეურნეებისა და აგრონომების ძალისხმევით გავრცელებულმა ჩაისა და ციტრუსების ნარგავებმა მოსახლეობის დიდი დაინტერესება გამოიწვია. მალე აფხაზეთის, გურიის, სამეგრელოსა და ბათუმის მხარის სოფლებში მცირე პლანტაციები გაჩნდა, რა-

მაც პრაქტიკაში აჩვენა ამ კულტურის პოტენციალი, ხოლო პარალელურად, განსაკუთრებით ჩაის ნარგავებისა და პროდუქციის მაღალი ხარისხის გამო, შესაბამისი ფინანსური სარგებლის გაცნობიერების შედეგად, სახელმწიფომ დაიწყო ფიქრი ჩაისა და ციტრუსების გადამამუშავებელი ქარხნების მოწყობაზე დასავლეთ საქართველოში.

სუბტროპიკული კულტურების განვითარების მთავარი ენთუზიასტი და პრაქტიკოსი მეურნე, რომელმაც პირველად გაიტანა სოფლის მოსახლეობაში მეურნეობის ეს ახალი დარგი, ქართველ აგრონომთა პირველი თაობის გამორჩეული მოღვაწე ერმილე ნაკაშიძე იყო, რომლის მუშაობამ გურიის, სამეგრელოსა და ბათუმის მხარეში საფუძველი მოუმზადა ჩაისა და ციტრუსოვანი ნარგავების პლანტაციების განვითარებას.

ერმილე ნაკაშიძე

ერმილე კაციას ძე ნაკაშიძე 1859 წელს დაიბადა ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფელ მაკვანეთში, თავადის ოჯახში; მამა – კაცია, მაკვანეთის მამულების მფლობელი, გურიის წარჩინებული თავადების შთამომავალი იყო, ხოლო დედა – მაკა, რაჭის ერისთავების შთამომავალი.

ერმილემ ლიხაურის სასოფლო დაწყებითი სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში განაგრძო, შემდეგ 1879 წლიდან კი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა (ექვთიმე თაყაიშვილითან და ნიკო მართან ერთად). ერმილემ ადრეული ასაკიდან გამოავლინა ინტერესი აგრონომიის მიმართ. ოზურგეთში სწავლისას მან სახლში მოაწყო პატარა სანერგე, სადაც საცდელად ამყნობდა ნერგებს და ახალი ჯიშები გამოჰყავდა. მან შეძლო კაკლის გაუმჯობესებული ჯიშის გამოყვანა, რომელიც ძვირფას სამასალე მერქანს იძლეოდა.

გიმნაზიის დასრულების შემდეგ ერმილეს არ ჰქონდა საშუალება სწავლა უმაღლეს სასწავლებელში გაეგრძელებინა;

საბედნიეროდ, მან ისარგებლა ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის სტიპენდიით და პოლონეთში, ნოვო-ალექსანდრიის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტში გაემგზავრა, სადაც იგი პირველი სტუდენტი იყო კავკასიიდან. სწავლის დასრულების შემდეგ, 1886 წელს, ერმილე სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ და სამეურნეო ცხოვრებაში. იგი დაქორწინდა ივლიტა (იტა) ასათიანზე. რომელიც პედაგოგი, პუბლიცისტი და ქალთა საზოგადოებების ერთ-ერთ ორგანიზატორი იყო. მათი ოჯახი მალე კულტურისა და განათლების ერთ-ერთი კერა გახდა გურიისათვის.

წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა

დაბრუნებისთანავე, 1887 წლიდან, ერმილე ნაკაშიძე ჩაერთო ილია წინამძღვრიშვილის მიერ საკუთარ მამულში მოწყობილი ქართული სამეურნეო სკოლის მუშაობაში. იგი დაინიშნა სასწავლებლის ზედამხედველად (მმართველად). მიუხედავად იმისა, რომ სკოლა უკვე 4 წლის დაარსებული იყო და მოსწავლეთა პირველი ნაკადი ჰყავდა მიღებული, დამფუძნებლების სახსრები მისი გამართული მუშაობისათვის საკმარისი არ იყო. წლების განმავლობაში კვლავ გრძელდებოდა საზოგადოების მიერ სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიების გზით შეწირულობების შეგროვება და გადაცემა სკოლისათვის. სასწავლებლის ზედამხედველს, ერმილე ნაკაშიძეს, პრესის საშუალებით, ხშირად უწევდა სკოლის მუშაობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება და დამხმარე პირებისათვის საპასუხო მადლიერების გამოცხადება. ერმილეს მმართველობის პერიოდში სკოლამ შეძლო სასწავლო პროგრამის განვითარება და დახვეწა; მოეწყო ინფრასტრუქტურა: სახელოსნოები, დამხმარე ნაგებობები, ლაბორატორიები და საცდელი ნაკვეთები.

1892 წელს, წარმატებული შრომის შემდეგ, ერმილემ სასწავლებლის ზედამხედველობა დატოვა და კავკასიის რეგიონში მწვავე სამეურნეო პრობლემის აღმოფხვრაში ჩაება.

„საფილოქსერო დასი“

მე-19 საუკუნის ბოლოს კავკასიაში გავრცელებულმა ვაზის პარაზიტმა, ფილოქსერამ და სხვა მცენარეული დაავადებების ეპიდემიამ, განადგურების პირას მიიყვანა ვაზის ტრადიციული ენდემური ჯიშები და მევენახეობა-მეღვინეობა გადაშენების საფრთხის წინაშე დადგა. რუსეთის იმპერიის მთავრობამ ეპიდემიის აღმოსაფხვრელად ტფილისში დაარსა „ფილოქსერასთან მებრძოლი კავკასიის კომიტეტი“, რომელსაც უნდა შეესწავლა სახელმწიფო და კერძო ზვრები, ჩაექრო ეპიდემიის კერები, მეურნეებისათვის ესწავლებინა ვაზის ქიმიკატებით დაცვა და ფილოქსერასადმი გამძლე „ამერიკული ვაზის“ საძირეზე ადგილობრივი ჯიშების მყნობა. თავის მხრივ კომიტეტს უნდა მოემარაგებინა მეურნეები მევენახეობის აღსადგენად საჭირო ახალი ტექნოლოგიებითა და მასალებით.

ერმილე მთელ საქართველოში, ეპიდემიის კერებში, კომიტეტის მუდმივი დამკვირვებლისა და ექსპერტის თანაშემწის სტატუსით მუშაობდა. მან შეისწავლა ყველა დაზიანებული რეგიონი. ამზადებდა დასკვნებს მდგომარეობის შესახებ, ატარებდა ვაზის შეწამვლისა და მოვლის საჩვენებელ გაკვეთილებს; პარალელურად იგი სწავლობდა და აკვირდებოდა ვაზის სხვადასხვა დაავადებას და ეძებდა მკურნალობის გზებს. ამ პერიოდში „საფილოქსერო დასის“ ხელმძღვანელობა სარგებლობდა საგანგებო მდგომარეობით და მრავლად ასაქმებდა სასწავლებლებიდან რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის და სხვა პოლიტიკური საბაბით გარიცხულ ახალგაზრდებს, არალეგალური პოლიტიკური მიმდინარეობების წარმომადგენლებს. მათ, კომიტეტის საქმიანობაში მონაწილეობის პარალელურად, ეს ბაზა კარგად გამოიყენეს პროვინციებში გლეხთა შორის განმანათლებლობისა და პოლიტიკური პროპაგანდისათვის.

ერმილე კომიტეტში ოფიციალურად 1896 წლამდე მუშაობდა, თუმცა შემდგომ წლებშიც თეორიული და პრაქტიკული ღონისძიებებით განაგრძობდა მევენახეობის ხელშეწყობას.

ათწლეულების განმავლობაში ერმილე ნაკაშიძემ მოამზადა ფუნდამენტური ნაშრომები საქართველოს მევენახეობის კულტურის ისტორიისა და თანამედროვეობის შესახებ.

საგანმანათლებლო ინიციატივები

1890-იან წლებში ერმილე ნაკაშიძემ პრესის საშუალებით საზოგადოებას გააცნო იდეა სამეურნეო კოლონიების მოწყობის შესახებ, სადაც სამეურნეო განათლების მქონე მოქალაქეებს სანიმუშო მეურნეობა-დასახლებები უნდა მოეწყოთ პროვინციებში, თანამედროვე სამეურნეო ტექნოლოგიებისა და განათლების გავრცელებით უნდა აეყოლიებინათ ადგილობრივი მოსახლეობა და სოციალურ-კულტურული და სამეურნეო მოდერნიზაციის პროცესი დაეძრათ. ინიციატივას საზოგადოება გულგრილად და კრიტიკით შეხვდა. კრიტიკის არგუმენტები დამაჯერებელი იყო; საზოგადოების განათლებული ნაწილი, „ინტელიგენცია“, არ იყო მზად და არც სურდა მეურნეებად გარდაქმნილიყო. ერმილეს პროექტი, კოოპერატიული კოლონია-მეურნეობა, რეალურად კომუნა იყო და მეფის რეჟიმის პირობებში იმთავითვე პოლიტიკური სარჩული დაედებოდა და ვერ განვითარდებოდა. ამ არგუმენტების საწინააღმდეგოდ მომხრეები შენიშნავდნენ, რომ საქართველოს ქალაქების სამრეწველო წილი ეკონომიკაში და მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი აჩვენებდა, რომ ძირითადი ძალა სოფლად იყო თავმოყრილი. თუმცა სოფელი ინტელექტუალური ძალებისაგან იცლებოდა და ერმილე ნაკაშიძის პროექტი სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებით იყო ნაკარნახევი.

ინიციატივისადმი გულგრილობის მიუხედავად, ერმილე ნაკაშიძემ თავად განაგრძო დასახული პროგრამის განხორციელება, რის ბაზად მაკვენეთში საკუთარი მამული აქცია. პირველ რიგში, იგი მხარში ამოუდგა სოფლის სკოლის დამაარსებლებს. სკოლას აჩუქა 900 კვადრატული საჟენის ფართობი შენობისა და საცდელი ნაკვეთების მოსაწყობად. მოამარაგა სასწავლო ლიტერატურითა და გამოიწერა ქართული პრესა.

ზათხულობით მეუღლის, ივლიტას ხელმძღვანელობით, მათ სახლში ტარდებოდა სასწავლო კურსები სოფლის ბავშვებისათვის, ასევე თეატრალური, ლიტერატურული და მუსიკალური წარმოდგენები. მათთან იკრიბებოდნენ მეგობარი და ნათესავი საზოგადო მოღვაწეები, რომელთა დისკუსიები და საუბრები არაფორმალური განათლების წყარო იყო ახალგაზრდებისათვის.

ერმილემ მაკვანეთში, საკუთარ მამულში, მოაწყო საცდელ-სანიმუშო მეურნეობა, სადაც სხვადასხვა ჯიშის ხეხილი, ვაზი და სხვა კულტურები გააშენა. მას ასევე გამოყოფილი ჰქონდა ცალკე ნაკვეთები ექსპერიმენტებისათვის. პარალელურად კვლავ აგრძელებდა მუშაობას კავკასიის სამეურნეო საზოგადოებასა და სხვა სამეურნეო გაერთიანებებში; აქტიურად თანამშრომლობდა სამეურნეო ჟურნალების რედაქციებთან. ყოველ ახალ ტენდენციას თუ პრობლემატურ საკითხებს, რომლებიც სოფლის მეურნეობას უკავშირდებოდა, საკუთარ საცდელ ნაკვეთებში დაკვირვებისა და შესწავლის შემდეგ ანგარიშის და რჩევების სახით აცნობებდა მკითხველებს. მაგალითად, თუ რომელი სასუქი რა ტიპის ნიადაგისთვის იყო სასარგებლო. ერმილემ რამდენიმე საცდელი ნაკვეთი გამოყო, ერთნაირი წესით დაამუშავა მიწა და თითოეულს სხვადასხვა სასუქი – ნაცარი, კირი და გუანო დაახმარა, ერთი კი სასუქის გარეშე დატოვა. მოსავლის მიღებისას მან გააანალიზა თითოეული ნაკვეთის მოსავლის ხარისხი და შესაბამისი დასკვნები და სახელმძღვანელო მითითებები მკითხველს აცნობა. ასევე, სასარგებლო იყო თუ არა ღომის ჩალის გამოყენება პირუტყვის საკვებად, მან ჩალის ნიმუშები საანალიზოდ პოლონეთში, ნოვო-ალექსანდრიის ინსტიტუტის ლაბორატორიას გაუგზავნა და დასკვნები ჟურნალ „მეურნეში“ გამოაქვეყნა. იგი, სამეურნეო საზოგადოებების და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალებით, ხშირად იყო მივლენილი სხვადასხვა პროვინციაში ახალი სამეურნეო ინიციატივებისათვის ნიადაგის შესასწავლად.

ერმილე ნაკაშიძემ პირველად აღძრა საკითხი ოზურგეთში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დასაარსებლად; შეი-

მუშავა პროექტი, განსაზღვრა სასწავლო პროგრამა, რაშიც წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის გამოცდილება გამოიყენა. სკოლაში ისწავლებოდა: მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, მებაღეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მესაქონლეობა და მემინდვრეობა.

გურიის დამხმარე კომიტეტი

1905 წლის რევოლუციის დროს გურიის მხარე საქვეყნოდ ცნობილი გახდა აბსოლუტური, ფაქტობრივი თვითმმართველობის მოპოვებით. გურიის სახელი კავკასიასა და საქართველოში მიმდინარე რევოლუციური მოძრაობის არეალს გასცდა და საერთაშორისო ყურადღებაც კი მიიპყრო. რევოლუციის მარცხისა და მეფის რეჟიმის მიერ საპასუხო რეპრესიების დაწყების შემდეგ, გურია სადამსჯელო ექსპედიციების მთავარი სამიზნე გახდა. ორი ექსპედიციის შედეგად 1906 წლის დასაწყისისათვის გურიაში მრავალი სოფელი დაზარალდა. დაწვეს რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეებისა და ლიდერების სახლები, ასევე განადგურდა სოფლების თვითორგანიზებით მოწყობილი ბიბლიოთეკები, კლუბები და მეურნეობები. ერმილე ნაკაშიძის ოჯახი და მეურნეობა თავშესაფრად იქცა სადამსჯელო რაზმების თარეშს გაქცეული მოსახლეობისათვის.

ერმილე გახდა გურიის დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის წევრი. მასთან ერთად კომიტეტის შემადგენლობაში იყვნენ: რაისა სოლომონის ასული თოხაძე, სოფიო ალექსანდრეს ასული თუმანიშვილი, ეკატერინე ყარამანის ასული მამულაიშვილი, ნინო იოსების ასული ნაკაშიძე, ილია პეტრეს ძე ნაკაშიძე და გიორგი კონსტანტინეს ძე ჭოღოშვილი.

ჩაის კულტურა

1900-იანი წლების დასაწყისისათვის გურიის სოფლებში ნელ-ნელა დაიწყო სახელმწიფო სანერგეებიდან გავრცელებული ჩაის ბუჩქის მოშენება და მის მიმართ ინტერესი გაჩნდა. ამ მხარეში ნერგების გამავრცელებელ წყაროდ ოზურგეთში თამბაქოს საცდელი მეურნეობის სანერგე და ერმილე და მიხეილ ნაკაშიძეების მეურნეობა იქცა. ერმილე, როგორც მიწათმოქმედების დეპარტამენტის ექსპერტ-ინსტრუქტორი, ხელმძღვანელობდა ჩაის პლანტაციების გაშენებას აფხაზეთში, სამეგრელოსა და გურიაში. იგი სპეციალურად იყო მივლენილი ოსმალეთში, ტრაპიზონის მხარეში თხილის, ჩაისა და თამბაქოს, ასევე სხვა სუბტროპიკული კულტურების მეურნეობების შესწავლისა და გამოცდილების მისაღებად.

1910-იანი წლების დასაწყისისათვის გურიაში ჩაის მცირე პლანტაციები უკვე საკმაოდ გავრცელებული იყო და მოსახელობის ყურადღება მეურნეობის ამ მეტად მომგებიანი დარგისადმი იზრდებოდა. ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრებში ჩაის მცირე პლანტაციები 34 სოფელში იყო მოწყობილი: ხსენებულ სანერგეების გარდა, კახურში – სილიბისტრო ვაშალომიძესთან, ნიგოითში – ივანე მაჭუტაძესთან, ბახვის სკოლის ნაკვეთში, ძმები შარაშიძეების ფერმაში – სოფელ ციხეში, ამაღლებაში – მღვდელ ეპიფანე ჯიბლაძის მამულში, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ნაკვეთში, ზემო უჩხობის სამრევლო სკოლის ნაკვეთში, წყალწმინდას სკოლის ნაკვეთში, სოფელ ჭალაში – ძმები ჩხატარაშვილების მამულში, ლიხაურში – ცელაძის, შემოქმედში – მღვდელი შილაკაძის, გომში – მელუას, ვაკიჯვარში – კვირკველიძის, ექადიაში – ბებურიშვილის, კაპანაძისა და ქაჯაიას მამულებში.

პლანტაციების წარმატებას განაპირობებდა ხელსაყრელი კლიმატი და ნიადაგი წითელმიწა. მანამდე უქმად მყოფ მიწებზე, ჩაის ბუჩქები კარგად ხარობდა; აგრონომთა რეკომენდაციებით კი აღნიშნული ეტაპისათვის არ ეწყობოდა დიდი პლანტაციები, რაც აადვილებდა მის დამუშავებასა და მოსავლის მიღებას მცირე საოჯახო მეურნეობებ-

ისათვის. მთავარი პრობლემა, ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიური სიძნელე და ადგილზე ფაბრიკის არარსებობა იყო. მეურნეობების წარმატების შემდეგ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა ოზურგეთის (ზვანის) თამბაქოს საცდელი მეურნეობა, რომელიც, ფაქტობრივად, ჩაის პლანტაციად იყო ქცეული, ოფიციალურად ჩაის საცდელ მეურნეობად გარდაქმნა და მასთან ჩაის ფაბრიკის მოწყობა დაიწყო, რომელიც 1914 წელს დასრულდა და ჩაის ფოთლის მიღება დაიწყო.

თავის მხრივ, მანამდე ერმილე ნაკაშიძე საკუთარ მეურნეობაში შინაური ხერხებით ამზადებდა ჩაის. მის მიერ წარმოებულ ჩაის სახელად „ერმილიტა“ ერქვა. ერმილეს ბიძაშვილს, მიხეილს, სოფელ ზედობანში ასევე მოწყობილი ჰქონდა საცდელი მეურნეობა და ჩაის პლანტაცია. აქაც, 1908 წლიდან მოყოლებული, ჩაის კუსტარული წესით ამზადებდნენ, ხოლო 1912 წლიდან მიხეილმა ჩაის გადამამუშავებელი დანადგარი შეიძინა. ქართული ჩაის პირველმა ნიმუშებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. იგი ხარისხით არ დაუვარდებოდა აღმოსავლეთის უძველესი ჩაის კულტურის ქვეყნებში ნაწარმოებ ჩაის სახეობებს. ერმილე ნაკაშიძე სამეურნეო პროფილის დაინტერესებულ მეურნეებს პრესის საშუალებით აწვდიდა ჩაის ბუჩქის მოვლის სახელმძღვანელო მითითებებს; გამოსცა წიგნი ამავე საკითხზე, ასევე მეურნეებისათვის თარგმნიდა უცხოურ ლიტერატურას. პარალელურად, იგი ურჩევდა მეურნეებს, რაციონალურად გამოეყენებინათ ფართობი, გაეშენებინათ სხვა: თხილის, თამბაქოს, სუბტროპიკების, ლიმონისა და მანდარინის ნარგავები.

1911 წელს ერმილეს ხელმძღვანელობით გურიის მეურნეები ამხანაგობაში შეკავშირდნენ და „გურიის მებაღეთა საკრედიტო ამხანაგობა“ დააარსეს, რომელსაც ორი წლის თავზე უკვე 393 წევრი ჰყავდა. ამხანაგობა განაგრძობდა პრიორიტეტული სამეურნეო დარგების წახალისებაზე ზრუნვას, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სპეციალური განათლების გავრცელებას.

1917-1921 წლები

ერმილე ნაკაშიძის სანიმუშო მამული მძიმედ დაზარალდა 1917 წლის შემდეგ, რუსეთის იმპერიის რღვევისა და ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების კვალდაკვალ, პირველი მსოფლიო ომის ბოლო ეტაპზე სამხრეთის ფრონტის დაშლისა და ოსმალთა არმიის შეტევის გამო, რომლის შეჩერებაც ახლად დაარსებულ ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკას უწევდა. 1918 წლის გაზაფხულზე ოსმალთა არმიამ მასირებული შეტევით დაიკავა ბათუმის ოლქი და გურიაში შეიჭრა; მძიმე ბრძოლების შემდეგ ქართული არმიის ნაწილებმა შეძლეს მისი წინსვლის შეჩერება, თუმცა გურიის დასავლეთი მხარე, ქალაქ ოზურგეთის ჩათვლით, ოსმალთა არმიამ დაიკავა. ოსმალებმა უკანდახევის შემდეგ საბოლოოდ გაუსწორა ანგარიში ადგილობრივებს, გაძარცვა და გაიტანა სოფლებიდან და ქალაქიდან ყველაფერი, რაც კი შეძლო, დარჩენილი ქონება კი დააზიანა და უვარგისი გახადა. ამ ტრაგედიას ემსხვერპლა ერმილე ნაკაშიძის სახლი და მამული, რომელიც ოსმალთა არმიამ გაძარცვა და დაარბია. ოჯახმა მეურნეობის საკუთარი ძალებით აღდგენა ვეღარ შეძლო და იძულებული გახდა მხოლოდ თბილისში გაეგრძელებინა ცხოვრება და მოღვაწეობა.

გვიანი პერიოდი

1921 წლიდან, საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირების შემდეგ, ერმილე ნაკაშიძე მუშაობას განაგრძობდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში და ძველებურად ცდილობდა ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების გაშენების კამპანიის გაძლიერებას. იყო სახალხო მამულების სპეციალისტი, მებაღეობა-მევენახეობისა და სუბტროპიკული, სამკურნალო მცენარეთა ინსპექტორი. განაგრძობდა პრესის საშუალებით მეურნეთა ინფორმირებას, გამოსცემდა სპეციალურ ლიტერატურას.

1925 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულმა ფაკულტეტმა სუბტროპიკული კულტურების ლექტორად მიიწვია. თუმცა, ასაკისა და ავადმყოფობის გამო მან საუნივერსიტეტო საქმიანობის გაგრძელება ვეღარ შეძლო. ერმილეს ძალისხმევით, 1925 წელს გურიაში, აკეთისა და გორა ბერეჟოულის მიდამოებში, თავდგირიძისა და ერისთავის ყოფილი მამულების ბაზაზე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ამოქმედდა. ერმილე ნაკაშიძე მონაწილეობდა სამეგრელოში, ნოსირსა და გურიაში, საკუთარ ყოფილ მამულში, მაკვანეთში, ჩაის მეურნეობების მოწყობაში. ზედამხედველობას უწევდა ჩაქვის, სალიბაურისა (აჭარა) და ზედობანის (გურია) სუბტროპიკული კულტურების სახალხო მამულებს.

1929 წელს, საბჭოთა კავშირში მორიგი პოლიტიკური რეპრესიების ტალღის, სამეცნიერო სფეროში წმენდის გამო, ერმილე ნაკაშიძეს პენსია ჩამოართვეს, თუმცა პროტესტისა და ძველი ნაცნობების, საქართველოს სსრ ხელმძღვანელი ძველი ბოლშევიკების ჩარევის შედეგად კვლავ აღუდგინეს.

ერმილე ნაკაშიძის ვაჟმა, ლევანმა უმაღლესი განათლება გერმანიაში მიიღო (პროფესიით ფიზიკოსი). 1937 წლის დიდი საბჭოთა ტერორის დროს იგი დააპატიმრეს. შვილის ტრაგედია მოხუცმა ერმილემ ვერ გადაიტანა და 1937 წლის 7 მაისს გარდაიცვალა.

>>



ერმილე ნაკაშიძე

ფოტო: საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია,
საზოგადოებრივი არქივი,
ლეონა ნაკაშიძის კოლექცია.

ოძისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი

[პაატა ალავერდაშვილი]

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში, საზოგადოების ძალისხმევითა და თავადდაზნაურების დახმარებით, მრავალი სასწავლებელი დაფუძნდა. ასევე ხშირი იყო ქველმოქმედება სხვადასხვა ფორმითა და მასშტაბით. უხვად იღებდა შემოწირულობას „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც“[1]. თუმცა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გიორგი ქსნის ერისთავის ქველმოქმედება. გარდაცვალების შემდეგ, ანდერძის თანახმად, მისი ვაჟი, ზაქარია ერისთავი, სოფელ ოძისში თავის მამულს სთავაზობდა თავადდაზნაურთა საკრებულოს (იმ პირობით, რომ აქ დაარსდებოდა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი).

გიორგი ერისთავი

თავადი გიორგი რომანოზის ძე ერისთავი დაიბადა 1812 წელს ქსნის ერისთავთა საგვარეულო მამულში, ოძისში, სამეფო ოჯახში. დედა – ანასტასია, ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე მეორის ქალიშვილი იყო. გიორგიმ დაამთავრა ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის სამხედრო სკოლაში. 1832 წლის შეთ-

1 პირველი სკოლა საზოგადოებამ 1880 წელს გახსნა.1914 წლისათვის მას ჰქონდა სულ 19 სახალხო სკოლა, რომლებშიც დღიდან დაარსებისა, 35 წლის განმავლობაში, უსწავლია 26.763 მოსწავლეს.

ქმულებასთან კავშირის გამო გადაასახლეს არხანგელსკში. გათავისუფლების შემდეგ სამხედრო სამსახური განაგრძო. მონაწილეობდა რუსეთის იმპერიის საომარ კამპანიებში და 38 წლის იყო, როცა კავალერიის გენერლის წოდებას მიაღწია. 1858-1861 წლებში იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი. გიორგი ერისთავი, სამხედრო სამსახურის პარალელურად, მუდმივად იყო დაინტერესებული საზოგადოების სამოქალაქო და კულტურული განვითარებით და თავადვე ხელმძღვანელობდა ამ პროცესის პირველ ისტორიულ ნაბიჯებს. იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური წევრი.

გიორგი ერისთავი მეგობრობდა ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძესთან; მისი თანადგომითა და დაფინანსებით გამოიცა ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ისტორია. დიმიტრი ბაქრაძე იყო გიორგის შვილის, ზაქარია ერისთავის აღმზრდელი და მასწავლებელი. გიორგი ერისთავი ასევე ნაყოფიერად მუშაობდა თავის მამულში, ქსნის ხეობაში; მან ბატონ-ყმობის გაუქმებისთანავე, ქართველი თავად-აზნაურების უმრავლესობისაგან განსხვავებით, გლეხებს უსასყიდლოდ გადასცა მიწები და საკარმიდამო ნაკვეთები. აღადგინა სოფელ მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესია, დააარსა ახალგორის სახალხო სასწავლებელი.

1893 წელს, მამის გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ, გიორგი ერისთავის ვაჟმა ზაქარიამ ტფილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საკრებულოს გამოუცხადა, რომ მამამ, ზეპირი ანდერძით, სოფელ ოძისის მამული საკრებულოს დაუტოვა იმ პირობით, თუ საკრებულო გამონახავდა საშუალებას ოძისის მეურნეობა სასოფლო-სამეურნეო სკოლად ექცია[2]. ზაქარია ერისთავმა დაადასტურა გადაწყვეტილება, მტკიცედ აღესრულებინა მამის ანდერძი და საკრებულოს წევრებს სთხოვა, დაეწყოთ სკოლის მოსაწყობი გეგმის შემუშავება და ფინანსების გამოყოფა.

---

2 როგორც „ივერიის“ 1893 წლის # 93 ნომერშია ნახსენები, ზაქარიას მამას, გიორგი ერისთავსაც ჰქონია იგივე სურვილი ოძისის მამულთან დაკავშირებით, თუმცა ვეღარ მოუხერხებია აღსრულება.

თავადაზნაურობის საკრებულო

1803 წელს რუსეთის მთავრობის მიერ თბილისში თავადაზ-ნაურობის საკრებულო შეიქმნა[3]. მისი ზოგადი მიზანი იყო თავადაზნაურობასა და მთავრობას შორის ურთიერთობის გამარტივება და სისტემატიზება. თუმცა რუსეთის მთავრობას სხვა ფარული მიზნებიც ჰქონდა[4]. მოგვიანებით თავადაზ-ნაურობის საკრებულო ცდილობდა საზოგადო საჭიროებ-ისათვის მთავრობის წინაშე ეშუამდგომლა.

თავადაზანაურობის საკრებულოს საგანგებო ყრილობა დიდი სიხარულით შეხვდა ზაქარია ერისთავის იდეას და ერთხმად დაადგინეს, რომ თავადისათვის გაეგზავნათ თანხმობისა და სამადლობელი წერილი. „კვირას, 2 მაისს, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის საგანგებო კრებამ, გუბერნიის მარშლის თავმჯდომარეობით, გადასწყვიტა მადლობა გა-დაუხადოს თ.ზ.გ. ერისთავს ოძისის მამულის ჩუქებისათვის და მომავალ სამეურნეო სკოლას სოფელ ოძისში ეწოდოს სკო-ლა განსვენებულის გიორგი რომანოზის ძის ერისთავისა.“[5]

ოძისის მამული

თანამედროვეთა აღწერით, ერისთავთა შემოწირულობა მოიცვავდა: „1800 დღიურ მიწას (დაახლ. 740 ჰა. ავტ.)[6]. ვე-ნახებს უჭირავთ 18 დღიური, ხეხილიან ბაღებს – 4 დღიური, სახნავ-სათესს – 160 დღიური და დანარჩენი – ტყე და

3 გოგოლაძე დ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა). 1800-1864 წწ., თბ., 1971 წ.

4 თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს დაარსებით ცარიზმს სურდა ქართველი თავადაზნაურობა ერთიან, კონსოლიდირებულ წოდებად ჩამოეყალიბებინა, სოციალურ-პოლიტიკურად რუსი მემამულე — „პომეშჩიკებთან“ გაეთანაბრებინა და თავის სოციალურ და პოლიტიკურ დასაყრდენად ექცია. დასავლეთ საქართველოში თავადაზნაურთა ასეთი ორგანიზაცია შეიქმნა 1851 წელს, ქუთაისში.

5 „ივერია“, # 93, 1893 წ.

6 დღიური-ფართობის საზომი ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში; გულისხმობდა მიწის იმ რაოდენობას, რასაც გუთნეული ერთ დღეში მოხნავდა.

ბუჩქნარია. გარდა ამისა, სკოლას აგრეთვე გადაეცემა ქვითკირის სახლი (10 ოთახი) ყოველის მოწყობილობით: სამზარეულოთი, სათონით, ბოსელით და სხვა. სახლის ქვეშ დიდი მარანია ქვევრებით...“[7] ოძისის მამული ქსნის ხეობის ქვემო წელში, მჭადიჯვრის თემში იყო მოწყობილი. მეტად მოხერხებულ და ნაყოფიერ ადგილას. ეს ზონა განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო მევენახეობისათვის. რკინიგზის ხაზიდან და მთავარი შარაგზიდან გზა მამულამდე ახალი გაჭრილი იყო. ტერიტორია ქართლის ყველაზე ნაყოფიერ ზონაში იყო მოქცეული და ქარისაგან მიმდებარე ქედებით კარგად იყო დაცული. იგი მდინარე ქსნიდან გამოყვანილი არხებით ირწყვებოდა. მამულში იყო ვენახი, ბაღები, საბოსტნე ნაკვეთები, ტყე, საძოვარი და სათიბი ფართობები. მამულში მოწყობილი იყო თანამედროვე მარანი, ბეღელი, ფურნე, საჯინიბო, ბოსელი, სამეურნეო სათავსოები და დიდი ორსართულიანი ქვითკირის შენობა. მამულის წლიური შემოსავალი 300 თუმანს შეადგენდა.

სასწავლებლის დაარსებაზე მუშაობა

აღნიშვნის ღირსია, თუ როგორი ინტერესით მოეკიდა საზოგადოება საკითხს. თავადაზნაურთა საბჭომ შექმნა სპეციალური კომისია, რომელმაც იმუშავა მომავალი სამეურნეო სასწავლებლის ფუნქციონირების ფორმაზე და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა დეტალზე. კომისიამ მთავარ სპეციალისტად შეარჩია ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის მმართველი, მიხეილ მორბედაძე. მას დაევალა საკრებულოს წინაშე წარედგინა მომავალი სასწავლებლის წესდება და სამუშაო გეგმა. ხაზგასასმელია, რომ საკრებულომ მორბედაძე გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე შეარჩია, რაც დემოკრატიულ პროცედურებზე მიუთითებს. საინტერესოა, რომ მორბედაძე აღჭურვილი იყო სრული ნდობით. მას შეეძლო ერთპიროვნულად ემუშავა დეტალებზე და დასამტკიცებლად კომისიის წინაშე გაეტანა. თუმცა ის ასე არ მოქცეულა.

---

7 „ივერია“, # 160, 1895 წ.

მორბედაძემ, თავისი ინიციატივით, გაზეთ „ივერიის“ საშუალებით, საზოგადოებას წარუდგინა სასწავლებლის პირველი პროექტი. მას აინტერესებდა ხალხის რეაქცია, განსხვავებული მოსაზრება. გაზეთი წერდა: „ჩვენ მოგვივიდა წესდების პროექტი და წერილი ოძისში სამეურნეო სასწავლებლის დაარსების შესახებ“, შედგენილი მ. მორბედაძის მიერ. ეს საგანი დიდად საყურადღებოა ჩვენის საზოგადოებისთვის და ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ ცოტათი მაინც გაგაცნოთ მკითხველთ ბ-ნ მორბედაძის წერილი და მოვიყვანო ჩვენი შენიშვნაც. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სპეციალისტებიც და მცოდნე პირნიც უთუოდ გამოსთქვამენ თავისს აზრს და მით დაეხმარებიან ქართველ თავად-აზნაურობას ამ ძნელ და ფრიად მნიშვნელოვანს საქმეში.“[8]

რედაქციამ პროექტი გააანალიზა, სამეურნეო სასწავლებლის საჭიროებაზე მოიყვანა არგუმენტები. აგრეთვე იმსჯელა მორბედაძის წარდგენილი გეგმის უპირატესობებსა და ნაკლოვენებებზე: „თუ დღეს მიწა ამ დანიშნულებას ვერ ასრულებს (ხეირს, სარგებელს აძლევდეს პატრონს), ის იმიტომ არის, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ არ იცის მიწის სარგებლობა, არ იცის როგორ გააძლიეროს მიწის წარმოებითი ძალა. ამისათვის კი საჭიროა ცოდნა, ცოდნა ახალი, აღბჭდილი მეცნიერებით, რომელიც არ მოეპოვება ჩვენს თავად-აზნაურობას და რომელიც მან უთუოდ უნდა შეიძინოს“.

გაზეთ „ივერიაში“ ამ სვეტის ავტორი ლალი[9] აგრონომ მორბედაძეს მსჯელობის ერთ ნაწილს უქებს, ხოლო სხვა ნაწილზე კი თავის შენიშვნას გამოხატავს: „ავტორი (მორბედაძე, ავტ.) იხსენიებს მხოლოდ იმ კრიზისს, რომელშიაც ჩავარდნილია თავად-აზნაურობის მეურნეობა, მაშინ როდესაც... ჩვენის ქვეყნის ეკონომიური წარმატების ბედ-იღბალი მარტო წვრილ თავად-აზნაურობას კი არ უჭირავს ხელში, არამედ გლეხობასაც. ახალმა ცხოვრებამ მარტო თავად-აზნაურობის მეურნეობა კი არ დააქვეითა, არამედ გლეხობისაც... ამიტომ

8 „ივერია“, # 207, 1895 წ.

9 გიორგი ლასხიშვილი.

სამეურნეო სასწავლა-განათლებაც სჭირია ყველა მიწათ-მოქმედთ და არა მარტო თავად-აზნაურობას.“[10]

მორბედაძის გაანგარიშებით სკოლის ასამოქმედებლად 47 000 მანეთის გამოძებნა იყო საჭირო. ოდესის უნივერსიტეტის პროფესორმა, ცნობილმა ქიმიკოსმა, ვასილ პეტრიაშვილმა, წინასწარ განაცხადა თანხმობა სკოლას გაძღოლოდა.

ილია ჭავჭავაძის წერილი

ილია ჭავჭავაძე გამოეხმაურა ოძისის მამულის საკითხს და ორ ნომერში ვრცლად განიხილა სამეურნეო სკოლის და-არსების შესაძლებლობა.[11] „ეს თითქმის პირველი და სასა-ხელო მაგალითი უხვის შეწირულობისა (ზაქარია ერისთავის მიერ, ავტ.) საზოგადო საქმის საოხად და საშველად დიდ-მნიშვნელოვანია და ცოდვა იქნება, რომ თავად-აზნაურობა ისე ხელ-დახელ და გაკვრით მოეკიდოს ამ საქმეს და მის გაჩ-ხრეკას და გადაწყვეტას მოუმზადებლად შეჰბედოს“[12] – წერს ილია. შემდეგ კი მიმოიხილა თემასთან დაკავშირებული სხვა-დასხვა ასპექტი. წერილის დიდი ნაწილი დაუთმო ფინანსურ საკითხს, თუ როგორ შეიძლება სკოლის გასამართად და ფუნქციონირებისთვის საჭირო თანხების მოძიება.[13]

გაჭიანურებული პროცესი

მსჯელობამ, უშედეგო კამათმა და მცდელობამ დაფინანსების მოსაპოვებლად, წლები გასტანა. საკრებულომ ვერ შეძლო დამატებითი სახსრების მობილიზებით ფულის გამოყოფა.

---

10 „ივერია“, # 207, 1895 წ.

11 „ივერია“, # 4, # 5, 1897 წ.

12 „ივერია“, # 4,1897 წ.

13 როგორც წერილებიდან ჩანს, თავად-აზნაურობის საკრებულოზე წარმოიქმნა აზრთა სხვადასხვაობა, თუ რა გზით უნდა მოეძიათ სახსრები სასწავლებლისთვის. ზოგი მიიჩნევდა, რომ თავადაზნაურობის ბანკის შემოსავლიდან უნდა დახარჯულიყო, ზოგი – ჰამქრიდან მიღებული ფულით. ხოლო ილია ემხრობა ოძისის მამულის ნაწილის ბანკში დაგირავებას.

ამ დროის განმავლობაში იმართებოდა საკრებულოს სხდომები, სადაც მსჯელობდნენ, კამათობდნენ თუ რა შეიძლება ყოფილიყო გამოსავალი. საკრებულო ვერ ახერხებდა ფულის გამოყოფას. მას რამდენიმე ალტერნატივა ჰქონდა – ან სათავადაზნაურო ბანკისაგან ეთხოვა დაფინანსება, ან სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბაკისაგან, ან ამავე საკრებულოს ქარვასლის მოგებიდან, ან მამული დაეგირავებინა და ამ ფულით აემოქმედებინა სკოლა.

„ჩვენ ფულები არა გვაქვს, ბანკიდან მიცემას და ხარჯს ვერ დავპირდებით“ (ზაქ. ერისთავს. ავტ.) ამბობდა თავადი კ. მუხრან-ბატონი საკრებულოს სხდომაზე. საკრებულოს წევრები ვერ შეთანხმდნენ, რა გზით უნდა მოძიებულიყო თანხა.

ზოგიერთი გამოთქვამდა აზრს, რომ ოძისის სკოლის ამოქმედება ტვირთად დააწვებოდა საკრებულოს. ამაზე თავადი ჩოლოყაშვილი სარკასტულად შენიშნადა: „მე გაკვირვებული ვარ ზოგიერთის აზრით. კაცმა მამული გვაჩუქა და გავიძახით, რომ დავიღუპენით – გაგვცარცვაო... სწორედ ძალიან ჭკვიანები ყოფილან ჩვენი დიდ-მამულის დიდი კაცნი, რომელთაც თავად-აზნაურობისათვის არასფერი შეუწირავთ, იმათ სცოდნიათ, რომ ჩვენ ეს გაგვაღარიბებდა...“[14] თუმცა, იმავე სხდომაზე ილიამ შეახსენა დამსწრეებს, რომ თავად-ზანაურობას შეეძლო შესაბამისი ხარჯები გაეწერა „და მაშინ, ლაპარაკიც არ უნდა ყველაფერი გაკეთდება.“[15]

1897 წელს, უშედეგო მსჯელობით გაბეზრებულმა ზაქარია ერისთავმა, მამულის მიღება, სამეურნეო სკოლის ან საჩვენებელი მეურნეობის მოწყობის პირობით, სახელმწიფო ქონებათა და მეურნეობის სამინისტროს შესთავაზა, რომელმაც სიხარულით მიიღო წინადადება. სამინისტრომ მამულის შესწავლა კავკასიის რწმუნებულს, მედვედევს, დაავალა. მან სამინისტროს დადებითი დასკვნა გაუგზავნა. 1899 წელს პირადად მინისტრი ერმოლოვი დელეგაციასთან ერთად ესტუმრა

14 „ცნობის ფურცელი“, # 94, 1897 წ.
15 „ცნობის ფურცელი“, # 94, 1897 წ.

ოძისის მამულს. დაათვალიერა და დაადასტურა სკოლის მოწყობის გადაწყვეტილება.[16]

სკოლამ ამოქმედებამდე რამდენიმე ეტაპი გაიარა. ჯერ მამულის გამგედ აგრონომი იოსებ ანდრონიკაშვილი დაინიშნა, რომელმაც მამული აგრონომთა სკოლისთვის მოამზადა. ინფრასტრუქტურის მოწყობის შემდეგ კი შესაძლებელი გახდა სამეურნეო სკოლის ამოქმედება, რომლის წარმატების სულისჩამდგმელი ერისთავთა ოჯახის ნათესავი, აგრონომი სოლომონ ჩოლოყაშვილი იყო.

სოლომონ ჩოლოყაშვილი

სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილი 1883 წელს კახეთში, სოფელ ბაკურციხეში დაიბადა. მამა – იურისტი და მევენახე იყო. დედა ეკატერინე ვაჩნაძე – სოლომონის აღზრდისას ხელმძღვანელობდა იმ დროის სამეცნიერო მიდგომებით და ცდილობდა ბავშვის ჰარმონიული განვითარებისათვის შეეწყო ხელი.

სუსტი ჯანმრთელობის მიუხედავად, სოლომონს სამეურნეო საქმეებისადმი ადრეული ასაკიდანვე ჰქონდა მიდრეკილება. დიდ დროს ატარებდა ბაღ-ვენახში და აკვირდებოდა მუშაობას. მან საშინაო განათლების მიღების შემდეგ ტფილისის გიმნაზიაში განაგრძო სწავლა. 12 წლის სოლომონს დედა გარდაეცვალა და ოჯახი იძულებული გახდა სუსტი ჯანმრთელობის ყმაწვილი სწავლის გასაგრძელებლად და სამკურნალოდ გაეგზავნა იალტაში, ნიკიტის სამეურნეო სასწავლებელში. 1904 წელს მოსწავლეთა საპროტესტო მოძრაობაში მონაწილეობის გამო სოლომონი სასწავლებლიდან გარიცხეს. მან მოახერხა საზღვარგარეთ გამგზავრება. სწავლა განაგრძო ვენაში კლოსტერნეიბურგის მევენახეობა-მეხილეობისა და დეკორატიული მებაღეობის სკოლის მევენახეობა-მეღვინეობის განყოფილებაზე. მან 1907 წელს

16 „ცნობის ფურცელი“, # 329, 1897 წ.

წარმატებით დაასრულა კურსი და ამავე სკოლის ენოქიმიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში განაგრძო მუშაობა. პრაქტიკულ მეცადინეობას კი კატუსის სანიმუშო მეურნეობაში გადიოდა. 1908 წელს სოლომონი სამშობლოში დაბრუნდა. მან უარი თქვა სახელმწიფო მამულებში მომგებიან სამუშაოზე და სათავეში ჩაუდგა ოძისის სკოლას.

ოძისის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მუშაობა

1910 წლიდან ოძისში გაიხსნა სამეურნეო სკოლა-ინტერნატი. სასწავლო საგნების სია შემდეგნაირად იყო განსაზღვრული: საღმრთო სჯული, რუსული ენა, ქართული ენა, ბუნებისმეტყველება (ბოტანიკა, ზოოლოგია, ქიმია, ფიზიკა, მინერალოგია), აგრონომიული ქიმია, სამეურნეო მექანიკა, მიწათმზომელობა, მიწათმოქმედება, მებაღეობა, მევენახეობა, მეტყევეობა, ბეითლობა (ვეტერინარია), ტექნოლოგია, მეღვინეობა, სამეურნეო ეკონომიკა, ბუღალტერია.

10 წლის განმავლობაში სკოლა ქართლში სამეურნეო განათლებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გავრცელების მნიშვნელოვანი კერა გახდა. სკოლას მოსწავლეთა სახელოსნოებიდან სტაბილური შემოსავალი ჰქონდა; ასევე მამულის ნაწილის გაქირავებით სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი სახსრების შეგროვებას ახერხებდა. მიმდებარე სოფლის მოსახლეობა კი წლების განმავლობაში შემოწირულობით ეხმარებოდა სკოლას.

1918 წლისათვის სკოლას უკვე აგრონომების რამდენიმე გამოშვება ჰყავდა მომზადებული. სკოლის განკარგულებაში იყო ლაბორატორია, საცდელი ნაკვეთები, თანამედროვე აგრონომიული ტექნიკა და იარაღი, გეოდეზიური ინსტრუმენტები, სამეფუტკრეო ინვენტარი, სადურგლო სახელოსნო და საჯინიბო. სკოლის მიწების 5 დესიატინა ვენახებს ეჭირა, ასევე ვაზის საცდელ სანერგეებს ჰქონდა დაკავებული 5 დესიატინა. საბოსტნე ნაკვეთები 1 დესიატინაზე იყო გადაჭიმული. სკოლის ბიბლიოთეკამ შეაგროვა 656 წიგნი, მთავარი სა-

მეურნეო ხასიათის ჟურნალები, სპეციალური გამოცემები ქართულ და რუსულ ენებზე. სკოლის პროგრამა შედგენილი იყო ევროპული სამეცნიერო ნაშრომების საფუძველზე, რომელიც სოლომონ ჩოლოყაშვილს ქართულენოვან კონსპექტებად ჰქონდა გადამუშავებული. 1919 წლის 14 მარტს ოძისის სკოლა, საქართველოს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამინისტროს განკარგულებით, დუშეთის სამაზრო ერობამ გადაიბარა. ამ დროსათვის უკვე ამოქმედდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სამეურნეო განათლების მიღება უკვე საუნივერსიტეტო დონეზე შეიძლებოდა.

სოლომონ ჩოლოყაშვილი, ოძისის სკოლის პარალელურად, აქტიურად და მეტად ნაყოფიერად მუშაობდა სამეურნეო განვითარების მიმართულებით. მთელი კავკასიის მასშტაბით ჩაბმული იყო ვაზის დაავადებების ლიკვიდაციის კამპანიაში. თარგმნიდა მევენახეობის სამეცნიერო ნაშრომებს, თავადვე იკვლევდა და გამოსცემდა ფუნდამენტურ კვლევებს საქართველოს ვაზის კულტურებზე, მევენახეობასა და მებაღეობაზე. სოლომონ ჩოლოყაშვილი გახდა ქართული მევენახეობის სკოლის ერთ-ერთ მამამთავარი. 1919 წლიდან იყო მევენახეობის უმაღლესი კურსების ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის აგრონომიის ფაკულტეტის მევენახეობის კათედრის ლექტორი. მისი ინიციატივით ოძისში, ლამისყანასა და ჭალაში დაარსდა კოოპერატიული ამხანაგობები. აქტიურად მონაწილეობდა მევენახე-მეღვინეების კავშირის ჩამოყალიბებაში. ზოგადად, ოძისში სასწავლებლის გახსნამ მნიშვნელოვნად განაპირობა მხარეში კოოპერატიული ამხანაგობების დაარსება.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ სოლომონი იყო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მევენახეობის და მეღვინეობის განყოფილების გამგე. 1925 წელს მევენახეობის თანამედროვე განვითარების პრაქტიკის შესასწავლად საზღვარგარეთ მიავლინეს. მუშაობდა გაიზენჰაიმსა და მონპელიეში. შეისწავლა მევენახეობის გამოცდილება გერმანიაში, საფრანგეთში, უნგრეთსა და ავ-

სტრიაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გახდა მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი. მან შეიმუშავა ინსტიტუტის პროგრამის პროექტი. შეადგინა საქართველოს მევენახეობის დეტალური რუკა, რომელიც წლების განმავლობაში მევენახეობის განვითარების მთავარი დოკუმენტი იყო. არჩეული იყო მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

1930-იან წლებში კომუნისტური ხელისუფლება ავიწროებდა სოფლის მეურნეობის ტრადიციულ დარგებს, ამავე დროს ცდილობდა დაენერგა ახალი, უცხო კულტურები. სოლომონი ეწინააღმდეგებოდა ამგვარ უსაფუძვლო ექსპერიმენტს. უკანასკნელ წლებში სოლომონ ჩოლოყაშვილი მუშაობდა მევენახეობა-მეღვინეობის ქართული ტერმინოლოგიის კორპუსისა და ბიბლიოგრაფიის შექმნაზე.

სოლომონ ჩოლოყაშვილი 1944 წელს, მძიმე ავადმყოფობის შედეგად, გარდაიცვალა.

>>

სოლომონ ჩოლოყაშვილი (ცენტრში)
ოძისის სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ერთად.

ფოტო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ეროვნული ფოტომატიანე,
ნინო ერისთავის კოლექცია.

ძმები არჯევანიძეების მეურნეობა სოფელ ნორიოში

[ირაკლი ხვადაგიანი]

ტფილისის გუბერნიაში, ისევე როგორც კავკასიაში, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ბატონყმობის გაუქმებისა და ახალი ეკონომიკური ურთიერთობების დაძვრის კვალდაკვალ, თვალში საცემი გახდა პრობლემა, რომელიც ათწლეულების მანძილზე აწუხებდა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ეროვნული მეურნეობის განვითარებას განიხილავდა პროგრესის საფუძვლად. აქტიური მოქალაქეები, იდეოლოგები, აცნობიერებდნენ, რომ ეკონომიკური საფუძვლის მყარი და სტაბილური ღირებულების – მიწის ფონდის მფლობელები, მემამულეები, უნდა გამხდარიყვნენ აგრარული ქვეყნის მოდერნიზაციის ერთ-ერთი ხელშემწყობი. ამისთვის საჭირო იყო მეურნეობის ახალ რელსებზე გადაწყობა, თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების დანერგვა, წარმოების გაზრდა, ასევე სოფლის მეურნეობის მთავარი მამოძრავებელი ძალის, გლეხებისა და მათი მცირე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა, ბატონყმობის ნაშთების დაძლევა, რომელიც ყოველგვარი წინსვლის დაბრკოლება იყო.

რეალურად კი საწინააღმდეგო პროცესი ვითარდებოდა; გლეხთა პირობითი გათავისუფლების[1] შემდეგ მემამულეები,

1 ათწლეულების მანძილზე გლეხებს ფულითა თუ ნატურალური ანაზღაურებით უწევდათ მიწის „გამოსყიდვა“ მებატონეებისაგან.

რომლებიც კვლავ ინარჩუნებდნენ მიწის დიდ ფართობებს, ვეღარ ახერხებდნენ ზედმეტი მიწების მართვას, ხოლო ძველი ვალდებულებების გაუქმებით დაკარგული ნატურალური გადასახადების შევსება სხვა გზით უკვე შეუძლებელი იყო. ამიტომ უმრავლესობამ მიწების დაგირავება და მიღებული ფულით ცხოვრება დაიწყო, რის გამოც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, მიწების და სავარგულების დიდი ნაწილი ვალში გაყიდვის გამო სტაბილურად გადადიოდა მსხვილი კაპიტალის მქონე მოქალაქეების ხელში. რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი თუ იყენებდა ამ ფონდს პირდაპირი დანიშნულებით და იქ ახალი ტიპის მეურნეობას ავითარებდა; დანარჩენები კი სარეზერვო, სტაბილურ ფასეულობად აბანდებდნენ.

მეორე მხრივ, მიწათმფლობელთა ნაწილმა 1860-1870-იან წლებში სცადა ცვლილებებისათვის ფეხი აეწყო და მეურნეობა განეახლებინა, თუმცა ამ პერიოდისათვის არასაკმარისმა ინფრასტრუქტურამ, გზების, ტრანსპორტისა და ინფორმაციის გაცვლის სისტემების ჩამორჩენილობამ, წამოწყებას ხელი შეუშალა და ენთუზიაზმი ჩააქრო. თუმცა ამიერკავკასიის რკინიგზის ქსელის განვითარებამ, საზღვაო მიმოსვლის გააქტიურებამ და საქართველოსა და კავკასიაში როგორც უცხო კაპიტალის შემოსვლამ, ასევე რუსეთის იმპერიის ცენტრის ყურადღების ზრდამ კავკასიის რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის მიმართ, მალე გააჩინა ცვლილებებისთვის უკეთესი გარემო.

ამ დროიდან ძველ მემამულეთა ნაწილმა ახალი ცოდნით, წარსული გამოცდილების გათვალისწინებითა და შეგნებით, რომ მათ მაგალითს შეეძლო დადებითი ცვლილებების გამოწვევა, სანიმუშო მეურნეობების განვითარება დაიწყეს, რომელთაც ტონი უნდა მიეცათ პროვინციების განახლებისათვის. მსგავსი მცდელობის ერთ-ერთი საინტერესო მაგალითი სოფელ ნორიოს მემამულეების, ძმების, ნიკოლოზ და ანტონ არჯევანიძეების სახელს უკავშირდება.

არჯევანიძეების ოჯახი

სოფელი ნორიო, თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით ძველი, ისტორიული დასახლებაა. ნორიო-ლილო-მარტყოფის ზონის ბუნებრივი პირობების, მძიმე კლიმატისა და ნიადაგის სიმშრალის გამო, მეურნეობის განვითარება ძველი დროიდანვე მოითხოვდა აქტიურ ჩარევას და ძალების მობილიზებას სარწყავი არხების გასაყვანად, რომლის გარეშეც სოფლის მეურნეობა მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა. მე-19 საუკუნის განმავლობაში, თბილისთან სიახლოვის მიუხედავად, ნორიო ძნელად ვითარდებოდა, რადგან იგი მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალიდან მოშორებით იყო. 1900-იანი წლების დასაწყისისათვის კი კახეთის რკინიგზამაც გვერდი აუარა.

სოფლის კულტურული განვითარებაც ვერ იდგა სათანადო საფეხურზე. 1890-იან წლებში, სოფლის მღვდლის საგანმანათლებლო-კულტურული აქციების მიუხედავად, მოსახლეობაში დიდი ძვრები არ მომხდარა; 1909 წლისათვის პრესა, აღმოსავლეთის რეგიონებსა და დასავლეთის სოფლების კულტურული სურათისა და მდგომარეობის კონტრასტის საჩვენებლად, ირონიულად შენიშნავდა, რომ სოფელ ნორიოში 27 დუქანი იყო გამართული და არც ერთი სახალხო სკოლა არ არსებობდა, როცა მაგ., გურიაში, სოფელ აკეთში, პირიქით, სამი სკოლა მუშაობდა და ვერც ერთ დუქანს ვერ ნახავდით[2].

ამ ვითარებაში სოფელ ნორიოში საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სამეურნეო განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მკვიდრი დიდი მიწათმფლობელების, არჯევანიძეების ოჯახის მოქმედებას სანიმუშო მეურნეობის მოსაწყობად. არჯევანიძეები, იგივე მაკარაშვილები (მაკაროვები), მე-18 საუკუნიდან მოყოლებული დიდ მიწებს ფლობდნენ ნორიო-მარტყოფისა და გლდანის ზონაში. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიის შემდეგ, ოჯახის წინაპრები იმპერიის სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში

2 „სახალხო გაზეთი“, # 6, 1909 წ.

დაწინაურებული იყვნენ. ოჯახის მამა, ივანე, დიდი ხნის განმავლობაში მსახურობდა კავკასიის ადგილობრივი მმართველობის სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში. მან ვაჟებს, ანტონსა და ნიკოლოზს, კარგი განათლება მისცა. ორივე ძმამ ტფილისის კლასიკური გიმნაზია დაასრულა და სამხედრო სამსახურში შევიდა.

ნიკოლოზმა ტვერის ნიკოლოზის სახელობის საკავალერიო სასწავლებელი („გვარდიის ძველი სკოლა“) დაასრულა. 1878 წელს ტვერის პოლკთან ერთად კავკასიაში, რუსეთ-თურქეთის ომის ფრონტზე, პოდპორუჩიკის ჩინით მიავლინეს. ომის დასრულების შემდეგ რამდენიმე წელი დედოფლისწყაროს პოლკში მსახურობდა.

ანტონ არჯევანიძეს 1890-იანი წლებისათვის უკვე არმიის შტაბს-როტმისტრის ჩინი ჰქონდა. გიმნაზიიდან მოყოლებული, სამხედრო სამსახურისა და საზოგადოებრივი აქტიურობის გამო, ძმები არჯევანიძეები დაახლოებული იყვნენ თანამედროვე საზოგადო მოღვაწეებთან: დრამატურგ ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინთან, ინჟინერ ედუარდ ზეზემანთან, ქართველ მრეწველ და მეცენატ დავით სარაჯიშვილთან.

ნიკოლოზს ჯანმრთელობის პრობლემების გამო ხშირად უწევდა ევროპაში მოგზაურობა, სადაც იგი აკვირდებოდა ევროპის ქვეყნების განვითარებისა და პროგრესის საფუძვლებს. ისინი აქტიურად ჩაერთვნენ სამეურნეო განახლების მოძრაობაში. იყვნენ ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრები (იხ. გვ. 80) და, თავის მხრივ, საკუთარ მამულში სცადეს სამაგალითო განახლების დაწყება.

არმიაში სამსახურისა და ხელისუფლებისადმი ლოიალობის მიუხედავად, როგორც ჩანს, მსგავსი საზოგადოებრივი აქტივობის გამო იმპერიის ადმინისტრაცია ძმებს ეჭვის თვალით უყურებდა. 1909 წელს ნიკოლოზის სახლი თბილისში მეფის ჟანდარმერიამ რევოლუციურ მოძრაობასთან კავშირის ეჭვით გაჩხრიკა.

არჯევანიძეების მესამე ძმა – ზაქარია, ჯანმრთელობის პრობლემების გამო საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ აქტიურობდა, თუმცა ჩანს, სოციალ-დემოკრატიული იდეებს თანაუგრძნობდა.

მეურნეობის მოდერნიზაცია

პირველი დაბრკოლება, რომლის გადალახვაც ძმებს მოუხდათ მეურნეობის განახლებისას, მიწის ფრაგმენტულობა იყო; ოჯახი ნორიოს მიდამოებში 75 დესიატინა ფართობის საუკეთესო სახნავ მიწებს ფლობდა, თუმცა ეს 32 მონაკვეთი გაფანტული იყო სოფლის მოსახლე 400 გლეხის მიწებს შორის. ძმებმა თხოვნით მიმართეს ხელისუფლებას; ტერიტორიების გადაცვლის გზით შეძლეს ერთიანი ფართობის შეკვრა, რაც თანამედროვე და დაგეგმილი მეურნეობისათვის აუცილებელი პირობა იყო და 1890-იანი წლებიდან გადახალისებული მამულის განვითარებას შეუდგნენ.

სანიმუშო მამული

ათწლეულების შრომის შედეგად 1910-იანი წლებისათვის არჯევანიძეების მამული საჩვენებელ მეურნეობად იქცა და მნიშვნელოვანი ბიძგი გახდა მიმდებარე ზონის სამეურნეო განვითარებისათვის. ძმებმა სამეურნეო ტექნიკის განვითარების პარალელურად, ხორბლის ახალი ჯიში შემოიყვანეს და მოსავლიანობა აამაღლეს. მათ მოახერხეს სოფლის მიდამოებში მუხის ტყის გაშენება, სანიტარული მიზნებითა და ქარსაცავი ზონის ფუნქციით. ოჯახის წევრი ქალები ხელმძღვანელობდნენ ჭრა-კერვის კურსებს სოფლის მოსახლეობისათვის, ასევე მოწყობილი ჰქონდათ შინაური აფთიაქი. არჯევანიძეების ექიმი სოფლის ექიმის ფუნქციებსაც ითავსებდა.

მარცვლოვანი კულტურების გაუმჯობესების პარალელურად ძმები მუშაობდნენ პირუტყვის ჯიშების გამოყვანაზეც. გამოიყვანეს საუკეთესო მეწველი ძროხის ჯიში. რძის

პროდუქტებს ამუშავებდნენ შვეიცარიიდან მიღებული მანქანა-დანადგარებით, რომლებითაც სოფლის მოსახლეობაც სარგებლობდა.

ანტონის მიერ მოწყობილი ცხენთსაშენის საჯიშე ცხენები სასოფლო-სამეურნეო გამოფენებისა და სპეციალური კომისიების მიერ სტაბილურად ფასდებოდა მაღალი ჯილდოებით. 1890 და 1891 წელს მათმა ცხენმა მეორე პრემია დაიმსახურა, 1892, 1893 და 1894 წლებში – პირველი პრემია, ასევე ბრინჯაოს მედალი 1892 წელს. მეურნეობაში გამართული იყო წყლის ორი წისქვილი – დიდი და მცირე. ოჯახს მოწყობილი ჰქონდა დიდი მარანი. ასევე სოფლის ცენტრში ამუშავებდა დუქანსა და პურის საცხობს. ძმები თანასოფლელებს ასევე საკუთარი ფურნეების მოწყობაშიც ეხმარებოდნენ.

1910-იან წლებში კახეთის რკინიგზის გაყვანის დროს ანტონმა სცადა დაეყოლიებინა სოფლის მოსახლეობა ფულის შესაკრებად, რათა რკინიგზის ხაზს სოფლის სიახლოვეს გაევლო; იგი საჭირო ხარჯის ნახევარს, შემდეგ კი მთლიანადაც საკუთარ თავზე იღებდა, თუმცა მოსახლეობამ ირაციონალური შიშის გამო ინიციატივას მხარი არ აუბა და რკინიგზის ხაზმა სოფელს გვერდი აუქცია.

1890-აინი წლების ბოლოდანვე ძმებმა ხელი მიჰყვეს მეფუტკრეობას. მათ საუკეთესო ამერიკული ტიპის სკები მოაწყეს და მალე მათმა მაგალითმა საშუალება მისცა სოფლელებს და მიმდებარე ზონის მოსახლეობას ეს ტექნოლოგია გადაეღოთ, ანალოგიურად ესარგებლათ მათ მიერ მეურნეობის ყველა დარგში დანერგილი წარმატებული მაგალითით.

მეურნეობის განადგურება

1930-იანი წლების განმავლობაში, საბჭოთა რეჟიმის მიერ სოფლებში კოლექტივიზაციის ძალდატანებით ჩატარების კამპანიისას, როდესაც წარმატებული მეურნეობების მქონე და გამოცდილი მესაკუთრეები რეჟიმმა „კულაკებად“ გამოაცხადა, მათ დევნა-შევიწროებასა და საკუთრების ჩამორთმევას მიჰყო ხელი. ნორიოში არჯევანიძეების მიერ მოწყობილი სანიმუშო მეურნეობა, ფაქტობრივად, განადგურდა; არჯევანიძეები „გააკულაკეს“. მათი ქონება ნორიოში დაარსებულმა კოლექტივმა მიისაკუთრა. თვითმხილველთა გადმოცემით, კოლექტივმა დაშალა საფუტკრე და იგი თბილისში გადაგზავნა ჩასაბარებლად. გზაში ტრანსპორტირებისას კი თაფლი დაიღვარა და სკები დაზიანდა. კოლექტივმა გაჩეხა არჯევანიძეების მიერ გაშენებული მუხის ტყე. მათ სახლში ნორიოს ნავთობწარმოების კანტორა განთავსდა, წლების შემდეგ კი ტერიტორია მერძევეობის მეურნეობამ დაიკავა და შედეგად, თითქმის სრულად განადგურდა ძველი შენობები.

ნიკოლოზ და ანტონ არჯევანიძის კვალი ნორიოს განვითარების ისტორიაში მიიჩქმალა; რეჟიმის სიმძიმის გამო, თვით ოჯახის შთამომავალს, ისტორიკოსსა და ეთნოგრაფს, ივანე არჯევანიძეს, თავის ნაშრომში, რომელიც თბილისის მიმდებარე ზონისა და კახეთის ისტორიასა და ეთნოგრაფიას ეხებოდა, ერთი სიტყვითაც კი არ უხსენებია მამისა და ბიძის დამსახურების შესახებ ნორიოს სამეურნეო განვითარების საქმეში.

ამჟამად ნორიოში არჯევანიძეების ოჯახისა და მეურნეობის უკანასკნელი ფიზიკური ნაშთიც ქრება. მათი ხსოვნა მხოლოდ უფროსი თაობის მკვიდრთა ზეპირ მეხსიერებაში არის შემორჩენილი.

>>

დღეობა ნორიოში

ფოტო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ეროვნული ფოტომატიანე,
ლიკა მამაცაშვილის კოლექცია.

წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა

[ირაკლი ხვადაგიანი]

„...ეს საქმე გამაბედინა ერთის მხრივ იმან, რომ ყოველის მამულისშვილის ვალია შეძლებისამებრ შეეწიოს ღარიბსა და უმეცარს ხალხსა და მეორეს მხრივ – აუცილებელმა საჭიროებამ აქაურ ხალხში სასარგებლო და პრაქტიკული ცოდნის გავრცელებისამ. მე დარწმუნებული ვარ, რომ გზაზე ბევრი გაჭირვება მოგველის, მაგრამ ამ გაჭირვების დაძლევა შეუძლიან საქმის სიყვარულს, გულის დადებას და ენერგიას. როგორც სახალხო სკოლის ისტორია ამტკიცებს, ამ ბრძოლისათვის ერთის ან რამდენიმე პირის ძალა საკმარისი არ არის, საჭიროა ხელის შეწყობა და თანაგრძნობა თითონ საზოგადოებისა...“[1]

ილია წინამძღვრიშვილი

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში გააქტიურებული საზოგადოებრივი პროცესების (განმანათლებლობის, სოციალური მოძრაობის და ნაციონალური იდენტობის ფორმირების) დაბრკოლებად იქცა რუსეთის იმპერიის მიერ დაწყებული რუსიფიკაციის პოლიტიკა და ადგილობრივი ინიციატივების მიმართ მკაცრი დამოკიდებულება. იმპერიის ხელმძღვანელობა უპირველეს საფრთხედ მიიჩნევდა „არარუსი ერების“ ნაციონალისტურ გამოღვიძებას და განვითარე-

1 „დროება“, # 177, 1883 წ.

ბას. ამიტომ ამ ერების და საზოგადოებების ყოველი დამოუკიდებელი პროექტი კულტურულ და სოციალურ სფეროში საეჭვო და სახიფათო იყო. რუსიფიკაცია განსაკუთრებით მძიმე და კონტრპროდუქტიული აღმოჩნდა სახელმწიფო სკოლებში, საიდანაც განიდევნა მშობლიურ ენაზე სწავლება. უცხო ენაზე დაწყებითი განათლების მიღებამ საფუძველი გამოაცალა ზოგადი განათლების პროგრამას და, მით უმეტეს, მასზე მიბმულ სხვა დისციპლინებს.

ამ ვითარებაში საბაზისო განათლებაში სიახლის დანერგვა თითქმის შეუძლებელი გახდა. აქტიური მოქალაქეები და საზოგადოებრივი მოძრაობის ლიდერები აცნობიერებდნენ, რომ სახელმწიფო განათლების სისტემა ქართველი მოწაფეებისთვის ვერ შეძლებდა წარმატებულად საბაზისო განათლების და უნარების გადაცემას. ამავე დროს, სახელმწიფო არ იყო დაინტერესებული სასწავლო პროცესის ნაწილად პრაქტიკული, ტექნიკური და სამეურნეო საგნები გაეხადა, რაც აგრარული ქვეყნის განვითრებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხად მიიჩნეოდა.

ამ პირობებში ილია წინამძღვრიშვილმა ქართული სამეურნეო სკოლის დაარსება ითავა, რომელიც სახელმწიფოს წინააღმდეგობებისა და ზოგადი სკეპტიციზმის მიუხედავად, მალე იქცა წარმატებულ კერძო სკოლად და სანიმუშო საგანმანათლებლო კერად, რასაც ანალოგიური ინიციატივების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ილია წინამძღვრიშვილი

ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი დაიბადა 1836 წლის 3 მაისს აზნაურის ოჯახში. საოჯახო განათლების მიღების შემდეგ ილიამ წარჩინებით დაამთავრა ტფილისის კლასიკური გიმნაზია, თუმცა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება უსახსრობის გამო ვერ შეძლო და მხოლოდ აგრონომიული კურსები გაიარა.

გიმნაზიაში სწავლის დროს ილია დაუახლოვდა ახალგაზრდა თაობის იმ წრეებს, რომლებმაც 1860-იანი წლებიდან განმანათლებლობისა და პროგრესის დიდი პროცესი წამოიწყეს (ივი ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობარი იყო, რომელმაც მას მიუძღვნა პოემა „აჩრდილი“). თავადაც იყო დაინტერესებული კულტურული განვითარების და განათლების პრობლემებით, განსაკუთრებით სამეურნეო ცოდნის გავრცელებისა და ეკონომიკური განვითარების საკითხებით. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში, აქვეყნებდა პუბლიცისტურ სტატიებს აქტუალური საზოგადოებრივი პრობლემების შესახებ.

ილიას მეუღლეს, სოფიო არღუთაშვილს, სურდა წინამძღვრიანთკარის გლეხებს დახმარებოდა და სურდა მათთვის სკოლა გაეხსნა, თუმცა უბედური შემთხვევის გამო მძიმედ დაავადდა და საფრანგეთში მკურნალობისას გარდაიცვალა, რაც ძალზე მძიმე ტრავმად იქცა ილია წინამძღვრიშვილისთვის.

1864 წელს, საგლეხო რეფორმის, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ილია წინამძღვრიშვილმა გლეხებს უსასყიდლოდ გადასცა მიწები და არწმუნებდა მათ, დაეტოვებინათ ძველი მიწური სახლები და ახალი ტიპის ბინები აეშენებინათ, რისთვისაც უფასოდ ეხმარებოდა სამშენებლო მასალით. შედეგად სოფელი მალე ახალი, დაგეგმილი ტიპის დასახლებად გარდაიქმნა.

რეფორმის მომდევნო წლებში ილია დიდხანს მუშაობდა ტფილისის გუბერნიის მმართველობაში, კანცელარიის მოხელედ, სამიჯნო კომისიაში, მიმდებარე რეგიონებში მომრიგებელ მოსამართლედ; ჰქონდა გუბერნიის მდივნის და „კოლეჟსკი ასსესორის“[2] სამოქალაქო ჩინი. ამავე პერიოდში აგრძელებდა პუბლიცისტურ მუშაობას და ემზადებოდა მთავარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

1884 წელს ილია წინამძღვრიშვილი გახდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საიმპერატორო საზოგადოების წევრი და

2 სახელმწიფო დაწესებულებების სამოქალაქო მოსამსახურეთა რანგი რუსეთის იმპერიაში

მაშინვე შეუდგა საზოგადოების მმართველობის დარწმუნებას, რომ მთავარი ენერგია მიემართათ ადგილობრივ ენებზე თარგმნილი სამეურნეო ლიტერატურის გლეხობისათვის მიწოდებასა და სოფლად საიმედო მეურნე-კორესპონდენტების ქსელის მოწყობაზე.

წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის დაარსება

1880 წელს ილია წინამძღვრიშვილმა ტფილისში, საკუთარ სახლში მიიპატიჟა მეგობრების ჯგუფი, რომლებიც სახალხო განათლების სფეროში მუშაობდნენ და შესთავაზა ერთად შეემუშავებინათ პროგრამა სამეურნეო სკოლისათვის, რომლის დაარსებასაც საკუთარი ხარჯით აპირებდა წინამძღვრიანთკარში.

შეხვედრაზე შემუშავებული პროგრამა სადისკუსიოდ პრესაში დაიბეჭდა და მაშინვე მიიპყრო საზოგადოების დიდი ყურადღება, რომელმაც კრიტიკული გამოხმაურება არ დააყოვნა.

პროექტით სკოლა უნდა ყოფილიყო ექვსკლასიანი (ოთხი მოსამზადებელი და ორი სპეციალური კლასი), ქართულენოვანი და რუსული ენის სწავლება მესამე კლასიდან უნდა დაწყებულიყო. სკოლაში განზრახული იყო 10-12 წლის 25 მოსწავლის მიღება, წოდების განურჩევლად და უფასო სწავლების პირობით. კრიტიკული შენიშვნები ძირითადად მიმართული იყო ორ საკითხზე:

- ივანე როსტომაშვილის[3] შენიშვნით, სკოლა პანსიონის გარეშე ვერ შეძლებდა თავისი დანიშნულების შესრულებას, რადგან შორი სოფლებიდან მოსწავლეები სიარულს ვერ შეძლებდნენ და იგი კონკრეტული სოფლის სკოლად გადაიქცეოდა.

3 როსტომაშვილი ივანე პავლეს ძე (1852-1924) - სახალხო განმანათლებელი, პედაგოგი, გამომცემელი, პუბლიცისტი და სამეურნეო მოღვაწე.

- მისივე შენიშვნით, სკოლას არ უნდა ჰქონოდა დაწყებითი ხასიათი და მასში საბაზისო მომზადება გავლილი მოსწავლეები უნდა მიეღოთ.

ასევე, ყველა გულშემატკივარი, ქართული სასწავლო ენის გამო ამ პროგრამაზე მოწყობას შეუძლებლად თვლიდა. ამას კავკასიის სასწავლო ოლქი არ დაუშვებდა და სკოლის გახსნის ნებართვას არ გასცემდა.

ილია წინამძღვრიშვილის იდეის განხორციელებას მხარში ამოუდგნენ იაკობ გოგებაშვილი და ილია ჭავჭავაძე. იაკობმა ვრცელი პედაგოგიური დასაბუთება დაწერა სკოლის პროგრამის (რომელიც ნიკო ცხვედაძემ[4] დაამუშავა) უპირატესობის ასახსნელად, რომელიც არწმუნებდა მკითხველს, რომ საბაზისო განათლების მისაღებად და გონების გასახსნელად ბავშვისთვის მშობლიურ ენაზე სწავლებაა აუცილებელი. ილიამ კი აღნიშნული დასაბუთებების მოშველიებით, თავისი ნათესავის, დიმიტრი სტაროსელსკის დარწმუნება შეძლო. რადგან სტაროსელსკი კავკასიის მთავარმართებლობის სამოქალაქო ნაწილის გამგედ მუშაობდა. იმ მომენტისათვის მთავარმართებელი არ იმყოფებოდა ტფილისში და მოვალეობას სტაროსელსკი ასრულებდა. მან სკოლის პროგრამას დადებითი რეზოლუცია დაადო, რასაც სასწავლო ოლქის მზრუნველმა და რუსიფიკატორული პოლიტიკის ბურჯმა – იანოვსკიმ წინააღმდეგობა აღარ გაუწია და დაადასტურა.

ილია წინამძღვრიშვილმა გაითვალისწინა პრესაში გამოთქმული კრიტიკის ნაწილი და გადაწყვიტა, შორიდან მოსული მოსწავლეებისთვის პანსიონიც აეშენებინა. სკოლა მაინც ექვსკლასიან საბაზისოდ დატოვა, სადაც სამეურნეო ცოდნასთან ერთად ოფიციალურ სასკოლო დისციპლინებსაც გაივლიდნენ. ამავე დროს გადაწყდა, რომ მესამე კლასის ნაცვლად რუსული ენის სწავლება პირველი კლასის მეორე განყოფილებიდან დაწყებულიყო.

---

4 ცხვედაძე ნიკოლოზ ზებედეს ძე (1845-1911) – სახალხო განმანათლებელი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი.

ილიამ სკოლას საკუთარი მამულის 500 დესიატინა გადასცა, რომელიც საუკეთესო სავარგულებს წარმოადგენდა და ასევე ტყიან ნაკვეთსაც მოიცავდა. მან არქიტექტორებს – ევგენი თეოდორეს ძე ბელოის და მიხეილ ისაის ძე სალამბეგოვს დააპროექტებინა სკოლის და სამასწავლებლო ნაწილის, მოსწავლეთა პანსიონის, დირექციის და მასწავლებელთა საცხოვრებლისა და სახელოსნოების შენობები. მშენებლობას კი ინჟინერ-მშენებელი მიხეილ პეტრეს ძე ბებუთაშვილი ხელმძღვანელობდა.

თითოეულმა მათგანმა სამუშაო უსასყიდლოდ შეასრულა. სკოლის ასაშენებლად კი სოფლის გლეხობა მუშაობდა. სკოლის მამულს უკვე წინასწარ მომზადებული ჰქონდა თანამედროვე ტიპის მარანი, ასევე რამდენიმე წელიწადში გაკეთდა აუზი, რომელიც სარწყავ ფუნქციას ასრულებდა. ყველა ამ სამუშაოზე ილია წინამძღვრიშვილმა 30 000 მანეთი დახარჯა.

1883 წლის 4 ივნისს, ქართული საზოგადოების თანდასწრებით, სკოლა საზეიმოდ გაიხსნა. მიმდებარე სოფლების გლეხობაც დიდი ინტერესით შესცქეროდა ახალი სკოლის დაარსებას, რომელიც არაგვის ხეობაში პირველი საგანმანათლებლო დაწესებულება იყო. სკოლის გახსნაზე ილია ჭავჭავაძემ სიტყვით მიმართა საზოგადოებას, რომელიც თანამედროვეებისთვის სამეურნეო განათლების საპროგრამო სიტყვად იქცა:

„...როგორ შევიძინოთ ეგ სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას აგრე უჭირს? გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივანი კაცი და გვითხრა: გზას მე გიჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის კაცი მარტო თავისის თაოსნობით, დაუღალავის მცდელობით, დიდის თავგამოდებით და მხნეობით შეუდგა ამ ძნელს საქმეს და თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ ცოდნის გასაზრდელად აქ, ამ სოფელში აკვანი დადგა და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია. ის კაცი ილია წინამძღვრიშვილია, ის აკვანი კი აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ის ძიძები კიდევ

მისგან მოწვეული ოსტატები არიან.

აი სად და ვისის მადლიანი ხელით აინთება აქ ის სასიხარულო სანთელი, რომლის სინათლეც მტერს დააფრთხობს და მოყვარეს გაახარებდა, რომელსაც ცოდნა ჰქვიან. აი ამ პატარა სახლიდან გამოვა ის ღონე, ის დიდი ხერხი, ის ყოველთვის გამარჯვებული ფარ-ხმალი ადამიანისა, რომელსაც ცოდნა ჰქვიან. მაგას გამოიტანენ თქვენი შვილები და მოჰფენენ ქვეყანას ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ.

ცოდნა, თქვენც იცით ათასნაირია, ხოლო აქედან ჩვენი შვილები, თქვენი შვილები გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს, მიგვაგნებინებს სად რა სიმდიდრე ძევს და რა რიგის ხერხით, რა რიგის ოსტატობით შეიძლება იმ სიმდიდრეს ხელი დავაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენი თავის სადღეგრძელოდ...“[5]

მოსწავლეთა პირველივე ნაკადი მიმდებარე ზონის სოფლებიდან და ტფილისიდან იყვნენ. ილია წინამძღვრიშვილმა პირობა დადო, რომ სკოლის მუშაობა სანიმუშო იქნებოდა და საზოგადოება მუდმივად იქნებოდა ინფორმირებული მისი საქმიანობის შესახებ.

სასწავლო წლის ბოლოს სკოლას ეწვია მხარდამჭერ სტუმართა კომისია იაკობ გოგებაშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც ახლადფეხადგმული სკოლის მუშაობა უმაღლეს დონეზე შეაფასა.

სკოლის მთლიან ხარჯს (მათ შორის პანსიონერი მოსწავლეების, რომლებიც გლეხების ოჯახებიდან იყვნენ და უფასოდ სწავლობდნენ) ილია წინამძღვრიშვილი ფარავდა. პირველი „რევიზიის“ შემდეგ სტუმრებმა შუამდგომლობა აღძრეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინაშე სკოლის სახელმძღვანელოებით მოსამარაგებ-

5 „დროება“, # 177, 1883 წ.

ლად, საზოგადოებამ მალე სკოლას საკუთარ ბიბლიოთეკაში არსებული ყველა წიგნის თითო ეგზემპლარი გაუგზავნა. ხოლო იაკობ გოგებაშვილმა სათავადაზნაურო ბანკს სთხოვა, სკოლას ფინანსურად დახმარებოდა, რაც ილია ჭავჭავაძის ძალისხმევით, დადებითად გადაწყდა. ბანკმა სკოლას ყოველწლიური სუბსიდია დაუნიშნა 5 000 მანეთის ოდენობით.

სკოლის სისტემა

სკოლის სასწავლო პროგრამა ჰარმონიულად იყო შერწყმული პრაქტიკული, სამეურნეო მეცადინეობების კურსთან. ზაფხულის სეზონზე მოსწავლეები სასწავლო დღეს იწყებდნენ ექვსის ნახევრიდან. დღის პირველ ნახევარში თეორიულ მეცადინეობას ასრულებდნენ, შესვენების შემდეგ კი დარგების მიხედვით მუშაობდნენ ნაკვეთებსა და სახელოსნოებში.

თითოეულ მოსწავლეს გამოყოფილი ჰქონდა საკუთარი სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, რომელზედაც წლის განმავლობაში მუშაობდა, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს იძენდა და ცდილობდა საუკეთესო მოსავალი მოეწია.

ზამთრის სეზონზე სასწავლო დრო და პრაქტიკული მეცადინეობა სეზონის შესაბამისად იყო მოწყობილი.

სკოლას ჰქონდა სანერგე სადგური. აქ გამოყვანილი ათასობით ნერგი მიმდებარე სოფლის მოსახლეობას ურიგდებოდა (წელიწადში 6 000 ნამყენი). მუშაობდა საფუტკრე, სააბრეშუმე, ხეხილის ბაღი, ბოსტნები და საყვავილე. მოსწავლეთა პირველმა გამოშვებამ აითვისა სკოლის სავენახე ნაკვეთები და ადგილობრივი და ამერიკულ-ევროპული ვაზის ჯიშები გააშენა (ქართული – რქაწითელი, მწვანე და თავკვერი. ევროპული – სემილიონი, კაბერნე-სემილიონი, თეთრი და შავი მუსკატი, თეთრი და წითელი პინო, პედრო და სხვა). სკოლამ მოსავალი 1890-იანი წლების დასაწყისში მიიღო და საკუთარი ღვინოების წარმოება დაიწყო. წლიურად მოსავალი 48 000 ლიტრს აღწევდა.

სკოლა მონაწილეობდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენებში, სადაც მოსწავლეთა ნახელავი მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

სკოლაში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: საღმრთო სჯული, ქართული ენა, რუსული ენა, ისტორია, არითმეტიკა, პრაქტიკული გეომეტრია, საქართველოს, კავკასიისა და ევროპის გეოგრაფია, ელემენტარული ზოოლოგია, ბოტანიკა, მინერალოგია, მიწათმოქმედება, მეტყევეობა, მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, საბუღალტრო აღრიცხვა, ვეტერინარია, ჰიგიენა, ხაზვა, ხატვა და სიმღერა-გალობა.

გახსნის დღიდან სკოლის არსებობის ბოლომდე მის ხელმძღვანელებად მუშაობდნენ: ერმილე ნაკაშიძე, პეტრე მელია, სიმონ ხუნდაძე, ივანე მაღალაშვილი, დავით გორთამაშვილი, მიხეილ ნანეიშვილი, არსენ წითლიძე, ნესტორ ძიძიგური, გიორგი ფურცელაძე.

მასწავლებლებად იმ დროისათვის საუკეთესო პედაგოგები მუშაობდნენ. ილია წინამძღვრიშვილი ტფილისიდან ყოველ შაბათ-კვირას მიდიოდა სკოლაში და გასული კვირის სამუშაოებს დაწვრილებით ეცნობოდა. მსგავსი მკაცრი რეჟიმი და დისციპლინა, ყოველკვირეული შემოწმება, ზოგიერთს ზედმეტ ფორმალობად მიაჩნდა.

თუმცა ილია ყოველთვის ცდილობდა სკოლას უნაკლო რეპუტაცია ჰქონოდა, რაც მისი, როგორც კერძო და ქართულენოვანი სკოლის დახურვის და შევიწროების საფრთხეს მოხსნიდა. მსგავსი მიდგომა ჰქონდა მას რუსული ენის სწავლების მიმართაც, რამაც საბოლოოდ გაამართლა კიდევაც – ჯერ სასწავლო ოლქის ზედამხედველი შულგინი მოულოდნელად ეწვია სკოლას, პირველსავე კლასში შევიდა, რუსული ენის გაკვეთილს დაესწრო და თავადაც გამოსცადა მოსწავლეები. იგი შედეგით კმაყოფილი დარჩა და ძალზე გაოცდა, როდესაც აღმოაჩინა, რომ შემოწმებული კლასი პირველი იყო და არა მეორე.

1885 წელს კი სკოლას თავად სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი ეწვია – მოწაფეები გამოსცადა და დადებითად შეაფასა სკოლის სასწავლო პროცესი. სკოლა დაათვალიერა საქართველოს ეგზარქოსმა პალადიმ, რომელმაც ილია წინამძღვრიშვილს მოსთხოვა, ეზოში ეკლესია აეშენებინა.

ილიამ სცადა კომპრომისის გამოძებნა და პირობა დადო, რომ ეკლესიას სოფლის ცენტრში ააშენებდა, თუმცა ეგზარქოსმა დაბეჯითებით მოითხოვა ეკლესია სკოლასთან ყოფილიყო. სკოლის დახურვის საფრთხით შეშფოთებულმა ილიამ ეზოში მცირე ეკლესია ააგო.

საზოგადოებრივი კამპანია სკოლის მხარდასაჭერად

სკოლის ამოქმედების და წარმატებული მუშაობის შემდეგ, 1886 წელს ილია ჭავჭავაძემ წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის დახმარებისაკენ საზოგადოებას პრესით მოუწოდა, რასაც დადებითი გამოხმაურება მოჰყვა და სხვადასხვა პირის შეწირულობებმა სკოლისათვის 12 682 მანეთი შეადგინა.

1889 წელს სკოლას მძიმე პერიოდი დაუდგა, როდესაც ზამთარში, მოულოდნელად, ხანძარი გაჩნდა და დირექციისა და მასწავლებლების კორპუსი გაანადგურა.

ქართულმა და სომხურმა ტფილისურმა პრესამ ფართო კამპანია დაიწყო სკოლის აღდგენისა და განვითარებისათვის შემოწირულობების შესაგროვებლად, რომელმაც წელიწადზე მეტ ხანს გასტანა, მთელი კავკასია მოიცვა და რეგიონის საზღვრებსაც გასცდა. სხვადასხვა დაბაში, სოფელსა და ქალაქში იმართებოდა თეატრალური წარმოდგენები, მუსიკალური და ლიტერატურული საღამოები, შეგროვილი თანხას სკოლას უგზავნიდნენ; მაგალითად, სკოლას გაუგზავნეს შემოწირულობა ჩრდილოეთ კავკასიიდან, ხუმელგაში მცხოვრები ქართველებისაგან, ზაქათალიდან, „გურიის ამხანაგობის“ მუსიკალური ორკესტრის მიერ გამართული კონცერტიდან და ა.შ.

შეგროვილმა დახმარებამ სკოლას საშუალება მისცა სწრაფად აღედგინა დამწვარი კორპუსი და სწავლა სრული დატვირთვით გაეგრძელებინა.

სკოლის წარმატება

სკოლამ პირველი ნაკადი 1889 წელს გამოუშვა. რამდენიმე მოსწავლემ მაშინვე შეძლო სწავლის გაგრძელება რუსეთის იმპერიის საუკეთესო აგრონომიულ სასწავლებელში, ყირიმში, ნიკიტის საბაღოსნო სკოლაში.

ილია წინამძღვრიშვილი თავადაც ეწვია ნიკიტის სასწავლებელს, სადაც ივი დიდი პატივით და ინტერესით მიიღეს. მან პედაგოგებს გააცნო წინამძღვრიანთკარის სკოლის მუშაობის ისტორია და პრაქტიკა, რამდენიმე კვირა დარჩა სასწავლებელში და დააკვირდა სასწავლო პროცესს.

ქართველი მოსწავლეების მომზადების მაღალმა დონემ საშუალება მისცა მათ ნიკიტის სკოლაში სწავლა პირდაპირ მესამე კლასიდან გაეგრძელებინათ.

სკოლამ მცირე ხანში შეძლო მოეზიდა მოსწავლეები საქართველოს სხვადასხვა მხარიდან. 1883 წლიდან 1913 წლამდე მან 623 მოსწავლე მოამზადა. მათგან სოციალური შემადგენლობა აჩვენებდა, რომ მომზადებულ მოწაფეთა მთავარი ნაწილი გლეხური ოჯახებიდან იყვნენ – 400 მოსწავლე. თავადი – 50, აზნაური – 121, სასულიერო წოდებიდან – 39, მოქალაქე – 13.

ეროვნული შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ქართველი – 595, სომეხი – 23, რუსი – 8, მუსლიმი (სხვადასხვა ეროვნების) – 2.

საქართველოს მხარეების მიხედვით მოსწავლეები იყვნენ:

ტფილისიდან – 3, გორიდან – 12, დუშეთიდან – 117, თია-

ნეთიდან – 9, სიღნაღიდან – 1, ქუთაისიდან – 3, ოზურგეთიდან – 8, მიმდებარე სოფლებიდან კი – 470.

სკოლის ხელმძღვანელები ასევე აკვირდებოდნენ სკოლის მოსწავლეების დასაქმების მაჩვენებლებს. ანალიზისას ჩანდა, რომ ჩანათვიქრმა გაამართლა და წინამძღვრიანთკარის სკოლამ საზოგადოების პროფესიონალი მეურნეებით შევსება დაიწყო. სკოლის გამოშვებული მოსწავლეები დასაქმებული იყვნენ:

- სახელმწიფო მამულებში მმართველებად
- სამეურნეო საგნების მასწავლებლებად სხვადასხვა სკოლაში
- დიდი ღვინის მეურნეობების სარდაფებში
- მუშაობდნენ „საფილოქსერო დასში“ ინსტრუქტორებად
- მუშაობდნენ საუფლისწულო მამულებში
- იყვნენ ერბოსა და ყველის ქარხნების გამგეები
- უძღვებოდნენ საკუთარ სამჭედლოებსა და სადურგლო სახელოსნოებს
- მსახურობდნენ სამეურნეო სკოლების გამგეებად

სკოლის სახელოსნოები და ლაბორატორია დროთა განმავლობაში ივსებოდა ახალი ტექნიკით. ვითარდებოდა სასკოლო ბიბლიოთეკა, სადაც პედაგოგებისთვის 3 447 წიგნი იყო დაცული, მოსწავლეთათვის კი 655. სკოლასთან მოწყობილი იყო მუზეუმი, სადაც სხვადასხვა თვალსაჩინოება იყო დაცული, რომელიც სასწავლო პროცესში გამოიყენებოდა.

თავად ილია წინამძღვრიშვილი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს სასწავლო პროცესს. იგი მამობრივი სიყვარულით ზრუნავდა სკოლის მოსწავლეებზე და მისი ყოველი ჩასვლა სკოლაში ზეიმად იქცეოდა. სკოლას სიახლოვის გამო განსაკუთრებული ყურადღება და დახმარება მიმდებარე სოფლებისაგან ჰქონდა. იქაური გლეხური ოჯახებიდან მეტი და მეტი მოსწავლე შედიოდა სასწავლებლად და ოჯახები მატერიალურად ეხმარებოდნენ სკოლას.

ამავე დროს, წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა გახდა გამოცდილების გაზიარების კერა საქართველოში შემდგომ წლებში დაწყებული სამეურნეო განათლების ინიციატივებისათვის. ილია წინამძღვრიშვილი ჩადიოდა ახლად დაარსებულ მეურნეობებში, აკვირდებოდა მათ განვითარებას და საკუთარი გამოცდილებიდან სასარგებლო რჩევებს უზიარებდა.

1901 წელს ილია კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ საპატიო წევრად აირჩია. იგი გახდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი, ქალაქ ტფილისის საბჭოს ხმოსანი და სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტის წევრი.

1910 წლიდან ილია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური წევრი იყო.

მსგავსი კერების განვითარების მიუხედავად, წინამძღვრიანთკარის სკოლა 1921 წლამდე სტაბილურად მუშაობდა და შემდგომში წარმატებული აგრონომებისა და მეურნეების მთელი თაობები აღზარდა. სკოლა იმდენად მიმზიდველი იყო მისი განვითარებული ბაზით, რომ იქ ხშირად სამეურნეო სკოლის პედაგოგებიც კი გადიოდნენ პრაქტიკას.

ილია წინამძღვრიშვილი ღრმად მოხუცებულიც არ წყვეტდა სკოლაზე ზრუნვას. იგი 1920 წლის 2 სექტემბერს, 84 წლის ასაკში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისში. ილია დიდი პატივით დაკრძალეს წინამძღვრიანთკარში.

სკოლის ბედი საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლიდან, სკოლა სახელმწიფომ მიიღო საკუთარ ბალანსზე და სასწავლებლის დაფინანსების საქმე საკუთარ თავზე აიღო. სკოლა სტაბილურად განაგრძობდა მუშაობას დამოუკიდებლობის წლებშიც.

1921 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირების შემდეგ, წინამძღვრიანთკარის სკოლა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში გადავიდა. მცირე ხნის შემდეგ კი განათლების კომისარიატს გადაეცა, რომელმაც სკოლის ძველებური წარმატების შენარჩუნება ვერ შეძლო და სკოლა დუშეთის რაიაღმასკომს გადასცა.[6]

1933 წელს საბჭოთა რეჟიმმა სკოლის რეორგანიზაციის გადაწყვეტილება მიიღო და წინამძღვრიანთკარში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი გახსნა, მაგრამ მან მცირე ხანი იარსება და 1940 წელს საბჭოთა მეურნეობად გადაკეთდა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სკოლის ძველი ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად დაზარალდა. მთლიანად განადგურდა სკოლის ბიბლიოთეკა და არქივი, მათ შორის ილია წინამძღვრიშვილის მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები.

1947 წელს წინამძღვრიანთკარის დამხმარე მეურნეობაში კვლავ მოეწყო მებაღეობის ორწლიანი სკოლა, რომელიც 1956 წელს ისევ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმად გადაკეთდა და საბჭოთა რეჟიმის არსებობის ბოლომდე განაგრძობდა მუშაობას.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი წინამძღვრიანთკარში მოქმედებდა ილია წინამძღვრიშვილის სახელობის ჰუმანიტარულ ეკოლოგიური კოლეჯი, რომელიც

---

6 რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი. საბჭოთა სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო.

უკანასკნელ წლებში კვლავ რეორგანიზაციას დაექვემდებარა და ამჟამად პროფესიული სასწავლებლის სტატუსით არსებობს.

>>



ილია წინამძღვრიშვილი

ფოტო: გიორგი ლეონიძის სახელობის
საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი.

4

შრომითი გაერთიანებების ფორმები საქართველოში

მოდგამი

[დავით ჯაფარიძე]

შრომითი გაერთიანებების ფორმები საქართველოში – მოკლე ისტორიული მიმოხილვა

საზოგადოების თვითორგანიზებისა და თვითმოქმედების მაგალითები საქართველოში (როგორც სოფლად, ისე ქალაქად) მრავალ ათასწლეულს ითვლის. ისინი საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში სხვადასხვა მიზნით წარმოიქმნებოდა. უმთავრესად, შრომითი ძალების კონსოლიდაციისათვის. როგორც ჩანს, შრომითი გაერთიანებების კულტურის განვითარებას მნიშვნელოვანი ბიძგი ქვეყნის მრავალფეროვანმა ბუნებრივ-კლიმატურმა პირობებმაც მისცა. როგორც ცნობილია, საქართველო მიჩნეულია ისეთი მცენარეული კულტურების პირველადი წარმოშობის რეგიონად, როგორებიცაა: ქერი, ფეტვი, სელი, ცირცველა, ბარდა, იონჯა, სამყურა; და, რაც მთავარია, იგი არის ხორბლისა და ვაზის წარმოშობის ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი. ამას უტყუარად ადასტურებს ისტორიულ-არქეოლოგიური წყაროებიც. „საქართველო ფორმათა წარმოქმნის და უძველესი ველური ცხოველების მოშინაურების უმნიშვნელოვანესი რეგიონი და მარცვლეული კულტურების წარმოშობის უდიდესი ცენტრია“– წერდა XX ს-ის 30-იან წლებში რეპრესირებული რუსი მეცნიერი ნ. ვავილოვი.

მრავალფეროვან მეურნეობას მუხლჩაუხრელი, თავდაუზოგავი შრომა, ურთიერთდახმარება და თანადგომა სჭირდებოდა. შრომითი ურთიერთდახმარების სისტემური ფორმები, რომლებიც ქვემოთ არის განხილული, ჯერ კიდევ ქვის ხანაში იწყება. ისინი დროთა განმავლობაში, დროის მოთხოვნა-

თა შესაბამისად იცვლებოდა და იხვეწებოდა და XX ს-ის დასაწყისის ჩათვლით არსებობდა საქართველოში. ამ უძველეს ტრადიციას 1920-30-იანი წლების კოლექტივიზაციამ[1] მოუღო ბოლო და შემდეგ უკვე მხოლოდ ფრაგმენტული სახით განაგრძობდა არსებობას.

შრომითი გაერთიანებები, კოლექტიური შრომა, შრომითი ურთიერთდახმარება დამახასიათებელია კაცობრიობის ისტორიის ყველა პერიოდისთვის, მსოფლიოს ყველა ხალხისთვის. იგი დასაბამს წინარე ისტორიულ ხანაში იღებს. პალეოლითისა[2] და მეზოლითის[3] ხანის ადამიანი ბუნების ძალებსა და გარეულ ცხოველებს მარტო ვერ უმკლავდებოდა. ადამიანთა ყოფა განსაკუთრებით გართულდა გამყინვარების ეპოქაში[4], როდესაც ხმელეთის უდიდესი ნაწილი ყინულით დაიფარა. პირველყოფილი ადამიანები საკვების მოსაპოვებლად, სანადიროდ და სათევზაოდ ჯგუფებად ერთიანდებოდნენ, განსაკუთრებით დიდ ნადირზე ნადირობისას. მსგავსი მოვლენის გადმონაშთი საქართველოში მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში დადასტურებული აქვს ეთნოგრაფ ალ. რობაქიძეს რაჭაში.[5]

აკად. ნ. კეცხოველი[6] იხსენებს თავის ყრმობისდროინდელ შემთხვევას, (მეოცე საუკუნის დასაწყისი) როდესაც შიდა ქართლში, დიდი ლიახვის ხეობის ხუთი სოფლის გლეხკაცობამ „დაწყვიტა“[7] მდინარე დიდი ლიახვი. იმ დღეს ორმოცდაორი დიდი ორაგული დაიჭირეს, სხვა სახეობის თევზებზე, რომ არაფერი ვთქვათ.

---

1 კოლექტივიზაცია – წვრილ, საშუალო და მსხვილ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანება კოლექტიურ მეურნეობაში სსრკ-ის მთავრობის ხელმძღვანელობით.

2 პალეოლითი – ძველი ქვის ხანა (ძვ.წ. 2 მლნ-დან 40-35 ათას წლამდე).

3 მეზოლითი – შუა ქვის ხანა (40-35 ათასწ-დან 10-12 ათას წ.-მდე).

4 გამყინვარების ეპოქა – გეოლოგიური ისტორიის პერიოდი, როდესაც დედამიწის უდიდესი ნაწილი დაფარული იყო ყინულით.

5 ალ. რობაქიძე – „შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში: კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში“. თბილისი. 1941 წ.

6 ნ. კეცხოველი – „არსიანიდან მოვდივარ მომიხარია“ თბ. „ნაკადული“ 1974 წ.

7 მდინარის დაწყვეტა – კოლექტიურად თევზაობის ერთ-ერთი ხერხი.

მოდგამი

ეთნოგრაფიული საველე მასალით მოდგამი ნიშნავს კოლექტიურ ხვნას, სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ – მეკომეს, ჯილღის მოზიარეს, ჯილღა კი გუთნის ნაირსახეობაა. მოდგამი კიდევ ნიშნავდა შრომით გაერთიანებასაც, რომელშიც ერთი წარმომავლობის, ერთი ხალხი ანუ ნათესავები მონაწილეობდნენ. როგორც უკვე აღინიშნა, მრავალფეროვანი მეურნეობა, მესაქონლეობა და მიწათმოქმედება მოითხოვდა და მოითხოვს კოლექტიურ საქმიანობას. წარსულში მსოფლიოს ყველა ხალხისათვის დამახასიათებელი შრომითი გაერთიანებები ემყარებოდა წარმოების საშუალებათა კოლექტიურ საკუთრებასა და სისხლით ნათესაობას, წარმოებული პროდუქტის თანაბარ განაწილებას ოჯახისა და თემის წევრებს შორის.

ქართველ მეცნიერთა არაერთი თაობა სწავლობდა კოლექტიური შრომის ფორმებს. არსებულ კვლევათა შორის აღსანიშნავია ეთნოგრაფ თ. გელაძის მონოგრაფია: „მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული კოლექტიური შრომის ფორმები აღმოსავლეთ საქართველოში. (ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)“. ეს მცირე წერილი სწორედ ხსენებულ მონოგრაფიას ემყარება. კვლევაში შრომითი გაერთიანების ფორმათა კლასიფიკაციის პრინციპს წარმოადგენს ურთიერთვალდებულებათა ხასიათი ორ მხარეს შორის (ვინც ეხმარებოდა და ვისაც ეხმარებოდნენ). ასეთი ფორმები კი ხუთია:

1. არათანაბარღირებული უანგარო შრომითი დახმარება, რომელსაც უწევდნენ ხელმოკლე, მარჩენალგარეშე დარჩენილ უხარო ოჯახებს, ქვრივ-ობლებს, ავადმყოფებს, მოხუცებს და ა.შ.
2. ასეთივე არათანაბარღირებული ურთიერთდახმარება სამუშაოს პატრონის მიწვევით გამასპინძლების ფასად.
3. მხარეთა თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთდახმარება.
4. ხვნასთან დაკავშირებლი შრომითი გაერთიანებები, რომელებსაც საფუძვლად ედო მის წევრებს შორის, სხვადასხვა ხასიათის ურთიერთვალდებულება.
5. ქირაზე მუშაობის მიზნით შექმნილი შრომითი გაერთიანება.

ვინაიდან, ეთნოგრაფიული და ისტორიული წყაროებით დადასტურებული შრომითი გაერთიანების ფორმები და სახეები ძალზე მრავალფეროვანია, ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე მათგანს განვიხილავთ.

გაჭირვებულებისა და უმწეოების დახმარება

შრომითი გაერთიანების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა ქვრივ-ობლების, მოხუცების, ავადმყოფების, უხარო ოჯახების დახმარება ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ამ დროს, უმეტეს შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით ერთიანდებოდნენ: სამუშაოდ თავისი იარაღით და ხშირად თავისი საგზლით მიდიოდნენ. ოჯახი, რომელსაც ეხმარებოდნენ, მორალურად ვალდებული იყო საჭიროებისას თვითონაც დახმარებოდა სხვას. ასეთი სახის შრომის ორგანიზაცია ცნობილი იყო მემინდვრეობის ციკლში შემავალი თითქმის ყველა სამუშაოს დროს (ხვნა, თესვა, მოსავლის აღება, გადაზიდვა და ა.შ.).

აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღემდე შემორჩა შრომითი გაერთიანების აღნიშნული ფორმის გამომხატველი ტერმინები. ერწო-თიანეთში – სამადლოდ დახმარება, მესხეთში – სანიჭარი, ქიზიყში – ოჩხი. ალვანში ჩამოსახლებულ თუშთა შორის დასტურდება ტერმინი ოჩხარი. თუმცა ოჩხარი საქართველოში ფართოდ გავრცელებული ტერმინი იყო და რამდენიმე მნიშვნელობით იხმარებოდა. ასე ეწოდებოდა მთაში გავრცელებულ ჩვეულებას – დაზარალებული მეცხვარის დახმარებას. ასეთ შემთხვევაში დაზარალებული მეცხვარე მართავდა სადილს, რომლის დროსაც მოწვეული სტუმრები ჰპირდებოდნენ დახმარებას (ცხვრის შეგროვებას,) ვისაც რამდენი შეეძლო.

გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანი არაყს გამოხდიდა და მეზობელ სოფელში შეძლებულ ოჯახში გამართავდა „ქეიფს“. ოჯახის უფროსი ეპატიჟებოდა თანასოფლელებს და აცნობებდა, რომ მის ოჯახში იმართებოდა ოჩხარი. სტუმრად

მოდიოდნენ გლეხები, რომლებასც შეეძლოთ რითიმე დახმარებოდნენ გაჭირვებულს. პურობის დასრულების შემდეგ თითოეული მათგანი დახმარებას ჰპირდებოდა, ზოგი საქონელს, ზოგი – ხორბალს, რითაც შეეძლო. მეორე დღეს ოჩხარის მომწყობი ჩამოივლიდა სოფელს და შეაგროვებდა დანაპირებს. გარდა მატერიალურისა, ოჩხარი გულისხმობდა გაჭირვებული ოჯახის შრომით დახმარებასაც, როგორც მემინდვრეობასთან დაკავშირებული სამუშაოებისას, ისე სახლის მშენებლობისას.

სულხან-საბა ოჩხარს განმარტავს როგორც მუყას, რაც წარმოადგენდა შრომით დახმარებას გასამრჯელოს გარეშე, მაგრამ არა გაჭირვებული ოჯახისას, არამედ, საერთოდ. რაჭაში ოჩხარი ეწოდებოდა შემოდგომის ჭირნახულის მოწევის ან მასობრივი ნადირობის შემდეგ მოწყობილ საერთო სასოფლო ლხინს.

მსგავსი დახმარებისათვის ხევსურეთში შაბათი იყო განკუთვნილი. ასეთ შრომით დახმარებას შაბათობა, ხოლო შრომაში მონაწილეებს მეშაბათეები ერქვათ. ნ. ხიზანიშვილი თავის ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში წერს: „თემი ხომ შემაერთებელი ძალაა, მაგრამ ამ ძალაზე უფრო მეტი მნიშვნელობა სხვა კავშირსა აქვს, სახელდობრ მეშაბათეობას. ყველა ნათესავი მეშვიდე თაობამდე მეშაბათეა“. მეშაბათემ ჭირსა თუ ლხინში მხარი უნდა დაუჭიროს თავის ნათესავს.

თუშეთში გაჭირებული ოჯახის ხვნაში დახმარებას ხარმახნავი, ხევსურეთში – მახნავი ეწოდებოდა. ხელმოკლე ოჯახისათვის ხვნას კუტიალო და გათრეულაც ჰქვია.

გათრეულა და კუტიალო

გათრეულა ხვნის პირველ დღეს ეწოდებოდა. ამ დღეს გუთანს „გაათრევდნენ“ ხოლმე, სახვნელად განკუთვნილი მიწის ერთ-ერთ ნაკვეთზე, ეს არ იყო სრული სამუშაო დღე. ამ დღეს ამოწმებდნენ გუთნეულის მზადყოფნას.

მოგვიანო ხანაში (XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში) გათრეულათი უმთავრესად გუთნისდედა სარგებლობდა. მაგრამ, უფრო ადრე გათრეულას დახმარების ხასიათი ჰქონდა, თუმცა ამავე პერიოდში (სოფ. ურბნისში) დასტურდება ისეთი გაჭირვებული ოჯახების დახმარება, რომლებიც მუშახელისა და შრომითი იარაღის უქონლობის გამო ვერ წევრიანდებოდნენ შრომით გაერთიანებაში.

ქართლ-კახეთის ზოგიერთ სოფელში გათრეულას უხნავდნენ იმ გაჭირებულ ოჯახს, რომელიც ხვნის დაწყებამდე ვახშამს გამართავდა. ადრე, ხვნის დაწყების წინ, მხვნელებს ერთი დღიური ანუ ალო[8] მიწა უნდა მოეხნათ ქვრივ-ობლებისა და ღატაკებისთვის. ამას ეწოდებოდა „სამღვთოს გუთანი“ ანუ უფლის სახელით უნდა დახმარებოდნენ გაჭირებულებს.

საგაზაფხულო ხვნის დაწყებამდე ყველა მიწათმოქმედი ერთად აწყობდა „სამღვთოს“, მხვნელები „ყიდდნენ“ დღიურ ალოს ქვრივ-ობლებზე, ღატაკებზე, ანუ ღვთის სახელით ეხმარებოდნენ გაჭირებულებს. იმისთვის, რომ გაეიოლებინათ ამ ადათით სარგებლობა, ხელმოკლე თანასოფლელებს დადგენილზე ერთი მანეთით ნაკლები ფასად უხნავდნენ. XIX საუკუნის ბოლოს კი შეძლებული გლეხები „სამღვთოს“ ყიდულობდნენ. თუმცა ამ წმინდა ადათს აშკარად ვერ არღვევდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ „გუთანი ბარაქას არ მოუტანდათ“, ამიტომ მდიდარი გლეხები ეშმაკობდნენ, ღარიბ გლეხებს აძლევდნენ ფულს და მათთვის აყიდვინებდნენ „სამღვთო“ გუთანს.

აღმოსავლეთ საქართველოში ასევე ცნობილი იყო კუტიალო. ქართლში ამ ტერმინით აღინიშნებოდა მსუბუქი სახვნელი იარაღით – ორხელათი გაჭირებული ოჯახისათვის ერთი დღის ხვნა. კახეთში კუტიალოში იგულისხმებოდა დიდი გუთნით კოლექტიური ხვნისას ალოს გაყიდვა.

---

8 ალო – ერთი დღის ხვნა, გუთნეული დღეში ერთ დღიურს ხნავდა, ნახევარი ჰექტარი რომ მოეხნათ სამოც-სამოცდაორჯერ უნდა შემოევლოთ.

აღებული ფულით მოდგამი ხვნის დამთავრებას ზეიმობდა, რაც ძველი ადათ-წესების ცვლილებაზე მიუთითებდა.

მესხეთში, თუ ოჯახი რაიმე მიზეზით ვერ ერეოდა საშურ სამუშაოს (მოსავლის აღება, გადაზიდვა), მღვდელი ეკლესიიდან გადმოსძახებდა სოფელს, აცნობებდა ამის შესახებ და ხალხიც სასწრაფოდ შეიკრიბებოდა. ეხმარებოდა ოჯახს, (ღვთის მადლისათვის მეზობლური ხათრით). ხევში თუ ქვრივ-ობლებს ძნა მინდორში დარჩებოდათ, მეველე სოფელს შეატყობინებდა და სოფელიც დაეხმარებოდა, ძნას დაუბინავებდა.

გაჭირვებულ ოჯახებს უქმე დღეებში ეხმარებოდნენ. კახეთში ორშაბათს ქვრივ-ოხრისათვის ინახავდნენ. ხევსურეთში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შაბათი იყო ამისათვის განკუთვნილი.

ხევსურთა დამოკიდებულება გაჭირებულთა მიმართ ასეთი იყო: „რად არ წამავალთ? ეგ გაჭირება დღეს ერთის კარად ას, ხვალ სხვას მიუდგების. მაშ სოფელი თუ ერთუც არ შევწიენით, რად უსახლიორთ ურთუც თუ კაცის გაჭირება არ გავიგით? ეგ გაჭირება სუ ყველაის კარად მივ“. გაჭირებულთა დახმარება ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოშიც. სამეგრელოში მას შენწოობა ერქვა.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში არსებობას განაგრძობდა კოლექტიური შრომის ძველი ფორმა – გაჭირვებული ოჯახის დახმარება შრომითი ანაზღაურების გარეშე. ახალ ვითარებაში სოფლის შეძლებული გლეხობა გაჭირვებული ოჯახის დამხარების მიზნით შექმნილ წესებს თავის სასარგებლოდ იყენებდა, ძველი წესები იცვლებოდა.

დაძახილი

აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული შრომითი გაერთიანების ერთ-ერთი ფორმა, როდესაც მეზობლები ანაზღაურების გარეშე ეხმარებოდნენ ოჯახს, ამ უკანასკნელის მოწვევით. სამუშაოს პატრონი დამხმარეებს უმასპინძლდებოდა. ოჯახი, რომელსაც ეხმარებოდნენ, მხოლოდ მორალურად იყო ვალდებული საჭიროების შემთხვევაში შრომითვე დახმარებოდა მეზობლებს.

შრომის ორგანიზაციის ეს ფორმა სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა სამუშაოებთან დაკავშირებით, სხვადასხვა ტერმინებით გამოიხატებოდა – დაძახილი, ულამი, მამითადი, ნადი, მუშა, მუყა, მუშანი, ოჩხარი, მამკალი, მამკლის შეყრა, მომკალ-მუშა, სეფვე, ხადილი. ამათგან ტერმინები – ნადი, სეფვე, მამითადი, ულამი, მუშა შუასაუკუნეების საქართველოში შრომითი ბეგარის სახეობები იყო.

დაძახილს განსაკუთრებით ისეთი სასწრაფო და შრომატევადი სამუშაოს დროს მიმართავდნენ, რომლის შესრულება ერთი ოჯახის ძალებს აღემატებოდა, ყველაზე ხშირად კი პურეულის აღებისას, რამდენადაც პურეულის ყოველი სახეობა და ჯიში ითხოვდა დროის პატარა მონაკვეთში აღებას. მკისას, ყანის პატრონი, რომელიც აპირებდა თანასოფლელთა მიწვევას დასახმარებლად, ამ დღისთვის წინასწარ ემზადებოდა, იმარაგებდა ღვინოს, პურს, საკლავს. წინა საღამოს სოფელს შეატყობინებდა, რომ მეორე დღეს დაძახილი ჰქონდა. დილიდან ხალხი იკრიბებოდა სამუშაოს პატრონის სახლში და მისი თანხლებით მიდიოდნენ ყანაში. ყანაში მცირე შესვენებისა და მასპინძლის დალოცვის შემდეგ იწყებდნენ მუშაობას. გარდა ზემოთჩამოთვლილი სამუშაოებისა, დაძახილს მიმართავდნენ ისეთი ნაკლებად შრომატევადი სამუშაოებისას, როგორიცაა: სიმინდის გარჩევა, დათშვნა და სხვა.

დაძახილის დროს შრომას საზეიმო ხასიათი ჰქონდა. აქ უფრო ზედმიწევნით სრულდებოდა კოლექტიურ შრომასთან

დაკავშირებული წესები, ვიდრე გაჭირვებული ოჯახის დასახმარებლად მოწყობილი შრომითი გაერთიანებისას.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს ასეთი სახის ურთიერთდახმარება ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში. სამეგრელოში მას ნოდი, რაჭაში – მეშველი და ნადი, იმერეთსა და გურიაში ნადი ერქვა. ახოს აღებისას შრომის ორგანიზაცია ცნობილი იყო მუშანის (ხევსურეთი), დაძახილი მუშის, ულამის (ქსნის ხეობის მთა) სახელწოდებით.

სახლის მშენებლობისას დახმარებას ხევსა და ქართლში ულამი, თრიალეთში – ქომაგი, აჭარაში – ნადი ერქვა. რთვისა და ჩეჩვისას მოწყობილ მუშაობას ხევში საქმის საღამოს, ხევსურეთში – მჩეჩელნის, მესხეთში მორთავს უწოდებდნენ. შრომითი ურთიერთდახმარების ასეთ მოდელს მრავალი ანალოგი მოეპოვება როგორც კავკასიაში, ისე მსოფლიო მასშტაბით.

ნაცვალგარდა

ნაცვალგარდა – შრომითი კოოპერაცია, რომლის დროსაც წესად ჰქონდათ შრომითი დახმარების აუცილებელი ანაზღაურება იმავე ოდენობის შრომით.

გლეხები წინასწარი მოლაპარაკებების საფუძველზე ერთიანდებოდნენ და ეხმარებოდნენ ერთმანეთს დღეების თანაბარი რაოდენობით. „ეს ამხანაგობა საერთო სამეურნეო ინტერესების საფუძველზეა აღმოცენებული. ამ ამხანაგობაში უკვე არა ჩანს მოვალეობა ეკონომიურად სუსტი კომლისათვის დახმარების გაწევისა, მაგრამ ჯერ არც აუცილებლობაა ეკონომიურად მძლავრი კომლისათვის თავისი შრომის მიცემისა (მიყიდვისა).“[9]

---

9 ალ. რობაქიძე – „მოდგამი, როგორც ექსპლუატაციის ერთი ფორმა რევოლუციამდელ საქრთველოში“ – მიმომხილველი 1991 წელი. II ტომი.

სანაცვლო მუშაობაზე აგებული შრომითი გაერთიანება სხვადასხვა სახელითაა ცნობილი – ნაცვალგარდა, სანაცვლო მუშაობა, რიგ-რიგა, ხელნაცვლობა, დანაცვლებით მუშაობა, ნაცვალგარდობა ხარებისა, მუშანი, დღის ნაცვლობა, მსკორავაი და სხვა. ნაცვალგარდაში, ჩვეულებრივ თანაბარი შეძლების, ძირითადად ღარიბი გლეხობა ერთიანდებოდა, შეძლებულები კი გამასპინძლების ფასად იწვევდნენ ან ქირაობდნენ მუშას.

ეს გაერთიანება არ იყო განპირობებული ნათესაური კავშირით. თითოეულ წევრთან მუშაობდნენ დღეების ტოლი რაოდენობით. რიგს, თუ რომელ წევრთან უნდა ემუშავათ, ისე აწესებდნენ, როგორც აწყობდათ. მუშების დაპურება იმ ოჯახის მოვალეობა იყო, ვისთანაც მუშაობდნენ. გამასპინძლება დაძახილთან შედარებით ღარიბული იყო, საკლავის გარეშე. ნაცვალგარდაში ერთიანდებოდა ორიდან თორმეტ კაცამდე, ქალები ან კაცები. რაც დამოკიდებული იყო შესასრულებელ სამუშაოზე.

ეთნოგრაფიული მასალით შერეული ჯგუფები არ დასტურდება. კვების, დასვენებისა და შრომის რეჟიმი მტკიცედ იყო დადგენილი და შესასრულებელ სამუშაოზე იყო დამოკიდებული. ნაცვალგარდას მიმართავდნენ მემინდვრეობის ციკლში შემავალ თითქმის ყველა სამუშაოს დროს, კერძოდ, ახოს აღებისას, თოხნისას, მარგვლისას, მკისას, სიმინდის რჩევისას, დაფშვნისას და სხვა.

მკისას შედარებით მეტი ხალხი ერთიანდებოდა, ვიდრე სხვა სამუშაოებისას, მაგრამ დაძახილთან შედარებით, ნაცვალგარდისას მაინც ნაკლები იყო. ნაცვალგარდის მონაწილეები ძირითადად მკიდნენ. ძნების შეკვრა-დალაგება ოჯახის საქმე იყო.

ასეთ ამხანაგობებს უერთდებოდნენ გლეხები, რომელთაც იმ დროს თავიანთი სამუშაო არ ჰქონდათ. ამგვარად, ისინი კოოპერაციის წევრებს ავალდებულებდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში მათთვისაც გაეწიათ დამხარება, იმავე ოდენობის

შრომით. შრომითი ურთიერთობის ასეთ სახეს იმერეთში – გადახმარიება, სამეგრელოში გინოხვარუა, თუშეთში კი მსკორავაინ ერქვა. კოლექტიური შრომის მსგავსია ხანულობა (ქართლი), როდესაც ორი ოჯახის დიასახლისი, რომელთაც თითო ან ორ-ორი ძროხა ჰყავდათ, თანხმდებოდნენ, რომ ერთი კვირის განმავლობაში რძეს ერთი მეორეს უგზავნიდა, მეორე კვირას კი პირიქით ხდებოდა.

აღკვეთილი დღეები

მეზობლებსა და თანასოფლელებს სამუშაოდ, როგორც წესი, უქმე დღეებში იწვევდნენ, ამ დღეებს აკრძალული, შენახული, ყადაღადადებული, აღკვეთილი დღეები ეწოდებოდა.

ქართლ-კახეთის ბარში უმეტესად ორშაბათი იყო აღკვეთილი. მთაში განსხვავებული ვითარება იყო, ყველა კუთხეს, ზოგჯერ სოფელს თავისი აღკვეთილი დღეები ჰქონდა: ხევსურეთში – პარასკევი, შაბათი და ორშაბათი, თუშეთში – პარასკევი, შაბათი; ფშავში – ორშაბათი, შაბათი; გუდამაყარში – ხუთშაბათი და ორშაბათი; ქსნის ხეობის მთაში – პარასკევი, ორშაბათი. თუ ოჯახს საჩქარო სამუშაო ჰქონდა, მოიწვევდა მუშას აღკვეთილ დღეებში, მაგრამ უნდა შეესრულებინა გარკვეული წესი – უქმის დანათვლა.

სამუშაოს პატრონს საკლავი (ციკანი) უნდა დაეკლა, რასაც ხუცესი აკეთებდა. ტყავს მოწვეული მუშები დაინაწილებდნენ, სანთელს დაანთებდნენ. მოწვეულებს ქადებით უმასპინძლდებოდნენ. ცერემონიალი სახლის ბანზე ტარდებოდა. თუ კვირა დღეს იწვევდნენ დამხმარეებს, მაშინ სამუშაოს პატრონს დიდი წელ-გამოვლილი საკლავი უნდა დაეკლა.

შრომითი ხასიათის სიმღერები

კოლექტიური შრომა საერთო მხიარულებაში მიმდინარეობდა. მომუშავეებს საერთო რიტმის შექმნაში ეხმარებოდა საგანგებო სიმღერები, რომლებიც ამსუბუქებდნენ შრომის პროცესს. სიმღერა კრავდა მომუშავეებს, ხელს უწყობდა შრომის ნაყოფიერების ზრდასა და სამუშაოს საზეიმო ხასიათს ანიჭებდა. ქართული სასიმღერო ფოლკლორი ძალიან მდიდარია შრომითი ხასიათის სიმღერებით. მკისას შრომის ცალკეულ ეტაპს შესაფერისი სიმღერა ჰქონდა. სათანადო ტექსტით, რომელიც ასახავდა მის სპეციფიკურ რიტმს.

მუშაობის დაწყებისას ე.წ. მუშურს, გრძელ სიმღერებს მღეროდნენ. მუშაობისას „ჰეგიოგას“, „ჰოოპუნას“ ე.წ. „მოკლე-მოკლე“ სიმღერებს მღეროდნენ. მოკლე სიმღერები ძირითადად მისამღერებისა და შეძახილებისაგან შედგება. შესვენებისას და გზაში, სახლში დაბრუნებისასაც „მუშურს“ იმღერებდნენ. ერთი მონაკვეთის დამუშავებას (სვეს გატანას) რომ დაასრულებდნენ და შეისვენებდნენ, ერთმანეთს მხარში ამოუდგებოდნენ და „მუშურს იტყოდნენ“. „მუშური“ დასვენებისა და ძალების მოკრების სიმღერა იყო. როცა ნამგლები დაუბლაგვდებოდათ, შეისვენებდნენ და ყველა ამოიღებდა თავის სალეს ქვას. ლესვისას „ნამგალოს“ ანუ „ნამგლურს“ მღეროდნენ. მთიულეთში მკას რომ მორჩებოდნენ, შინ წასვლამდე ფერხულს იცეკვებდნენ და მაშინ იმღერებდნენ „მუშურს“. იყო აგრეთვე მეძნეურის – ძნის დამდგმელის სიმღერებიც.

კარგ მომუშავეთა შორის შეჯიბრი, „დაჯიბრება“ იმართებოდა, რომელსაც „თავი მომკალი“ უნდა გამოევლინა.

ისტორიული ვითარება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან

XIX ს-ში რუსეთი იპყრობს ჯერ საქართველოს, შემდეგ მთლიანად კავკასიას. რუსეთის მთავრობისა და მისი კავკასიური ადმინისტრაციის მიზანი იყო ქვეყნის კოლონიური ათვისება: მისი ბუნებრივი სიმდიდრისა და მეურნეობის მეტროპოლიის

სამსახურში ჩაყენება. ამავდრულად ქართველი ერისა და სხვა კავკასიელ ხალხთა რუსიფიკაცია. ქართველთა მიზანი საპირისპირო იყო: დაკარგული თავისუფლების აღდგენა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

XIX ს-ის 60-იან წლებში რუსეთის იმპერიაში რეფორმა ჩატარდა: გაუქმდა ბატონყმობა, გატარდა სასამართლო რეფორმა, შემოღებულ იქნა მოსამართლეთა არჩევითობა, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, თვითმმართველობა, გლეხები გათავისუფლდნენ ბატონყმობისგან, ოღონდ უმიწოდ. საქართველოში მხოლოდ ბატონყმობა გაუქმდა, რეფორმის დანარჩენი სეგმენტები ძალზე კუდმოკვეცილად განხორციელდა.

1906 წელს პეტერბურგში გამოიცა ივ. ჯავახიშვილის სტატია „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX ს-ის საქართველოში“. წერილში საუბარია 1905 წლის რუსეთის ე.წ. პირველ რევოლუციაზე[10] საქართველოსთან მიმართებით. ივ. ჯავახიშვილი წერილს იწყებს ფრაზით, რომ უკვე რამდენიმე წელია, რაც რუსული საზოგადოება გაოცებულია იმ ერთსულოვნებით, რომელსაც ქართველი ხალხი იჩენს თავის სოციალურ მოძრაობაში. რუსეთში უკვირთ ქართველთა სანიმუშო დისციპლინა, ორგანიზებულობა და კულტურის მაღალი დონე, რითაც ასე გამოირჩევა ქართული საპროტესტო მოძრაობა, რუსეთის სხვა მხარეებში მიმდინარე ანალოგიური მოძრაობებისაგან. ავტორი შემდეგ აღნიშნავს, რომ ამ (1905 წ.) მოძრაობას ღრმა ფესვები აქვს ქართველთა ფსიქიკაში, ყოფაში და გაცილებით უფრო ძველი დროიდან მოდის.

სტატიაში ფაქტების საფუძველზე განხილულია მრავალი სოციალური და პოლიტიკური ხასიათის უკანონობა-უსამართლობა, რომელიც საქართველოში ხდებოდა XIX ს-ის განმავლობაში რუს სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან. დასასრულს კი მოტანილია ოზურგეთის მაზრის მოსახლეობის მოთხოვნები, რომლებიც მათ წარუდგინეს კავკასიის მეფის

10 რუსეთის პირველი რევოლუცია (1905-07 წწ) ე.წ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რომელიც მარცხით დასრულდა.

ნაცვლის თანაშემწეს. გურულების მთავარი მოთხოვნები იყო: 1. ადგილობრივი ადმინისტრაციისა და მოსამართლის არჩევის უფლება, ადგილობრივი საკითხების ადგილზევე განხილვა-გადაწყვეტა ანუ თვითმმართველობა. 2. სკოლა და სასამართლო ქართულ ენაზე. 3. მიწის გადაცემა გლეხებისათვის. 4. აქციზებისა და ირიბი გადასახადების გაუქმება. 5. სიტყვის თავისუფლება.

მსგავსი მოთხოვნები ჰქონდათ საქართველოს სხვა კუთხეებშიც. მოსახლეობა ყველგან დაბეჯითებით ითხოვდა თვითმმართველობას. 1906-1907 წლებში ხელისუფლება ალაპარაკდა მმართველობის ლიბერალიზაციაზე, შედეგი კი იყო პოლიტიკური პოლიციის – ჟანდარმერიის შექმნა.

კოოპერაციული მოძრაობა

მიუხედავად ასეთი წნეხისა, კაპიტალისტური მრეწველობა XIX ს-ის მიწურულისა და XX ს-ის დასაწყისის საქართველოში მაინც ვითარდებოდა. საქართველოს სოფლის ძირითადი მწარმოებელი ძალა უკვე სოციალურად დიფერენცირებული გლეხობა იყო. გლეხური მეურნეობა იძლეოდა სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქციის 70%-ს. ამ პერიოდის მედიის პუბლიკაციებში, გამოკვლევებში, თვით გუბერნატორისა და მაზრის უფროსების ანგარიშებში ერთხმადაა ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციით მდიდრდებოდნენ ვაჭარ-შემსყიდველები და მევახშეები, ხოლო წვრილი მწარმოებლები ბაზარზე უშუალოდ გასვლას ვერ ახერხებდნენ.

XIX ს-ის 70-80-ანი წლებიდან საზოგადოებაში ჩამოყალიბდა აზრი, რომ ვაჭარ-მევახშეთა უარყოფითი როლის აღმოფხვრას შეძლებენ წვრილ მესაკუთრე-მწარმოებელთაგან შექმნილი სავაჭრო-გამსაღებელი ამხანაგობები და საკრედიტო კოოოპერატივები. XIX ს-ის 80-იანი წლების საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უკვე საქმიანობდა თითოოროლა სავაჭრო-საკრედიტო საზოგადოება, რამაც ვაჭარ-

მევახშეთა შეშფოთება გამოიწვია. XIX-XX სს-ების მიჯნაზე ასეთი საზოგადოებები გამრავლდა და მათი ოპერაციები გაფართოვდა. წარმატებით საქმიანობდა ე.წ. „ქიზიყის დეპო“, მეაბრეშუმეთა ამხანაგობები ქუთაისში, ხონსა და სხვ.

შედარებით უფრო ფართოდ და სასარგებლოდ საქმიანობდნენ საკრედიტო კოოპერატივები. 1900 წლის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში ითვლებოდა 20 ამხანაგობა. ამიერკავკასიის სოფლის მეურნეთა პირველ ყრილობაზე (1900წ.)

საზოგადო მოღვაწე ნ. სანაძე აცხადებდა: „წვრილ მეურნეთა წინაშე როგორც დასავლეთში, ისე ჩვენთან დგას დილემა შეეგუონ თავის საცოდავ მდომარეობას ან გაუწოდონ ერთმანეთს ხელი და შექმნან ამხანაგობები. ეს უკანასკნელი გზა აირჩიეს დასავლეთ ევროპელმა წვრილმა მიწათმფლობელებმა და არც შემცდარან. ამიერკავკასიის წვრილ მეურნეთა მდგომარეობა გვკარნახობს, რომ ჩვენ უნდა მივდიოთ დას. ევროპელთა მაგალითს, მაგრამ უცვლელად კი არ უნდა გადმოვნერგოთ ევროპული კოოპერაციის მზა ფორმები, არამედ შეუხამოთ იგი ჩვენი ქვეყნის თავისებურებებს.“ ამ იდეის პროპაგანდის შედეგად 1910 წლისათვის საქართველოში არსებობდა 19 მომხმარებელი და 21 გამსაღებელი საზოგადოება. უფრო სწრაფად იზრდებოდა საკრედიტო კოოპერატივების ქსელი. 1914 წლის აპრილისთვის საქართველოში საქმიანობდა 195 საკრედიტო საზოგადოება და 84 ფულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, 3,5 მლნ მანეთის წლიური ბალანსით. 1916 წელს საქართველოში არსებული 339 საკრედიტო საზოგადოება აერთიანებდა 12 000 წევრს. მათი წლიური ბალანსი 5,6 მლნ მანეთს შეადგენდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთის იმპერია დაიშალა. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მოსახლეობა დიდი ენთუზიაზმით შეუდგა ახალი, თავისუფალი სახელმწიფოს მშენებლობას.

საქართველოს საბჭოთა ოკუპაცია

1921 წლის თებერვალში ბოლშევიკურმა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის მაისში საქრთველოსთან დადებული ხელშეკრულება[11] და საქართველო „გაასაბჭოა". საბჭოთა სისტემის თეორიული საფუძვლები ლენინმა შეიმუშავა. პრაქტიკულად კი სტალინმა განახორციელა. ეს მოდელი სამ ძირითად ფუნდამენტს – ინდუსტრიალიზაციას, კოლექტივიზაციას და კულტურულ რევოლუციას უნდა დაყრდნობოდა. ფორსირებულმა ინდუსტრიალიზაციამ დააჩქარა საქართველოს ეკონომიკური წინსვლა, თუმცა თავს მოხვეული კურსი ქვეყნის პროფილსაც მთლიანად ცვლიდა – აგრარული საქართველო ინდურსტიულ რელსებზე გადაიყვანეს.

1927 წელს დაწყებული კოლექტივიზაცია გრანდიოზული სოციალური ექსპერიმენტი იყო, რომელიც გლეხობაზე უმაგალითო ძალადობით ხორციელდებოდა. კოლექტივიზაციის შედეგად საბჭოთა რეჟიმმა დასახულ მიზანს მიაღწია, სოციალურად და ქონებრივად გათანაბრებული გლეხობის მრავალმილიონიანი მასა ხელისუფლებისადმი ლოიალური გახდა. ყველა დროში და ყველა ქვეყანაში მწარმოებელი გლეხი მომხმარებლად იქცა.

კულტურული რევოლუციის არსი და მიზანი იყო: საზოგადოების სულიერი და მორალური გარდაქმნა, საბჭოთა ინტელიგენციის ფორმირება, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის აღზრდა. ამ მიზნის მისაღწევად სტალინმა „წარმატებით" გამოიყენა 30-იანი წლების რეპრესიები.[12] სწორედ ამ პერიოდში, ქვეყანაში შეიქმნა ისეთი ფსიქოლოგიური კლიმატი, რომ სხვათა დასმენა, ცილისწამება და ა.შ. აღიქმებოდა როგორც „სოციალიზმის სადარაჯოზე"

---

11 რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წ-ის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების პირველი მუხლით რუსეთმა უპირობოდ სცნო საქართელოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება, მეორე მუხლით ივალდებულა ჩაურევლობა შიდა საქმეებში.
12 რეპრესიები – სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სასტიკი სადამსჯელო ქმედებები.

დგომა, პიროვნების „რევოლუციური სიფხიზლე“ მოსაწონ, საპატიო საქმედ მიიჩნეოდა. ასეთ ვითარებაში საზოგადოების ნაწილმა დაკარგა სახე, ადამიანები ერთმანეთს აბეზღებდნენ ანგარების, შურის, ქონების დაუფლების მიზნით, შიშის გამო თუ სხვა საბაბით. უსამართლოდ განიკითხავდნენ და ზურგს აქცევდნენ „ხალხის მტრის“ ოჯახებს, გაურბოდნენ მათთან ურთიერთობას. რეპრესირებულთა დაცვა კი არა, მათი გამოსარჩლებაც კი სახიფათო იყო. საბენდიეროდ, მრავალმა ამ ფსიქოლოგიური ტერორის პირობებშიც კი შეინარჩუნა ღირსება და უპატრონა რეპრესირებულთა დაობლებულ შვილებს.

ტერორისა და უმძიმესი ზეწოლის მიუხედავად, ქართველ ხალხში არ გამქრალა თავისუფლების მოპოვების სურვილი. ქართველობამ შეინარჩუნა თვითმყოფადობა, რაც ნათლად გამოვლინდა ჯერ 1990 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩატარებული პირველი მრავალპარტიული არჩევნებისას. ამომრჩეველთა უმრავლესობამ კომუნისტურ პარტიას არ მისცა ხმა. უფრო მკაფიოდ ეს გამოჩნდა 1991 წლის 31 მარტს მოწყობილ საერთო სახლახო რეფერენდუმზე. დასმული იყო შეკითხვა: „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე“. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 3 მლნ. 300 ათასზე მეტმა ამომრჩეველმა. გამოკითხულთა 98%-მა შეკითხვას დადებითად უპასუხა. ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეას მხარი დაუჭირა საქართველოს არაქართველი მოსახლეობის უმრავლესობამაც. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

ამგვარად, ჩვენში შრომითი გაერთიანებების მრავალფეროვანი მაგალითები დასტურდება ჯერ კიდევ უძველესი დროიდან. იგი უდიდეს როლს თამაშობდა თემის ყოფითსა და სამეურნეო ცხოვრებაში – საბჭოთა პერიოდამდე. ეს ტრადიცია ქართველი ხალხის მნიშვნელოვან კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს. მას ყოველმხრივი დაცვა და მოვლა-პატრონობა სჭირდება. კოლექტიური შრომის

ძველი ფორმების შესწავლასა და ცოდნას დღეს, არამარტო მეცნიერული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს.

>>



ნუკრიანელი გლეხი სიღნაღში

ფოტო: საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია,
საზოგადოებრივი არქივი,
სათემო კავშირი ნუკრიანის (მაია ბიძინაშილის) კოლექცია.

C

გამოყენებული ლიტერატურა

ნესტორ წერეთელი - კუხისა და გუბის „დიქტაატორი“

წიგნები:

↳ მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში და მათი საქმეები. ნესტორ წერეთელი, წიგნის გამომცემელთა ქართული ამხანაგობის ტიპოგრაფია. 1897 წ.

↳ ხონის ისტორიიდან. ვაჭრიძე პეტრე, გამომცემლობა „ფარნავაზი“, თბილისი, 1998 წ.

↳ მეაბრეშუმეობა საქართველოში. აბესაძე ნანული, სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. თბილისი, 1957 წ.

ჟურნალები:

↳ კვალი: #16, #46, 1894 წ. #8, #9, 1895 წ. #10, #14, #17, #29, #30, #31, 1896 წ. #32, 1897 წ. #18, 1899 წ. #13, #23, #24, 1900 წ. #46, #47, 1901 წ.

↳ მეურნე: #37, 1888 წ, #20, 1890 წ. #3, 1891 წ. #6, 1897 წ.

↳ კოოპერაცია: #1, #2, #16-17, 1911 წ. #21-4, 1912 წ.

გაზეთები:

↳ ივერია: #17, 23.01.1886. #56, 12.03.1886. #80, 10.04.1886. #246, 13.11.1886. #40, 24.02.1887. #42, 26.02.1887. #46, 05.03.1887. #50, 10.03.1887. #79, 23.04.1887. #163, 08.08.1887. #176, 25.08.1887. #179, 25.08.1888. #228, 30.10.1888. #66, 27.03.1890. #132, 23.06.1890. #153, 20.07.1891. #262, 10.12.1891. #26, 04.02.1892. #91, 01.05.1892. #33, 12.02.1894. #52, 10.03.1894. #56, 14.03.1895. #137, 01.07.1895. #45, 27.02.1896. #73, 05.04.1896. #79, 12.04.1896. #248, 30.11.1897. #114, 02.06.1898. #96, 09.05.1889. #119, 09.06.1899. #163, 01.08.1899. #249, 18.11.1899. #13, 19.01.1900. #39, 22.01.1900. #111, 25.05.1900. #120, 07.07.1900. #126, 14.07.1900. #198, 12.09.1900. #218, 07.10.1900. #225, 15.10.1900. #232, 25.10.1900. #249, 14.11.1900. #269, 12.12.1900. #283, 30.12.1900. #25, 31.01.1902. #137, 02.07.1902. #35, 12.02.1903. #197, 16.09.1903. #15, 21.01.1904. #29, 05.02.1904. #30, 06.02.1904. #45, 21.02.1904. #57, 04.03.1904. #83, 24.05.1905.

↳ ცნობის ფურცელი: #17, 05.11.1896. #191, 08.05.1897. #278, 09.08.1897. #599, 04.08.1898. #718, 05.01.1899. #1626, 30.10.1901. #1646, 19.11.1901. #2079, 25.02.1903. #2094, 12.03.1903. #2820, 15.05.1905. #2825, 21.05.1905. #2834, 02.06.1905. #2835, 03.06.1905.
↳ ისარი: #144, 05.07.1907. #25, 31.01.1908.
↳ ლახვარი: #23, 08.05.1907.
↳ ნაპერწკალი: #14, 12.06.1908.
↳ მერცხალი: #5, 09.04.1908.
↳ ჩვენი აზრი: #14, 16.05.1909.

ნოტიო (ნატო) ლოლუას ქალთა სკოლა ფოთში

წიგნები:
↳ გოდერიძე ლამარა, „კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში"; თბ. 2005;
↳ სახალხო განათლების მოღვაწენი, სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები. კრებული. თბ. „განათლება", 1968 წ;

გაზეთები:
↳ „კვალი", # 5, 1897 წ.
↳ „შინაური საქმეები", # 30, 1911 წ.

ჟურნალები:
↳ „თეატრი და ცხოვრება", # 11, 1920 წ.
↳ „საქართველოს მოამბე", # 6, 1909 წ.

ევგენი დვალი და „რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის დამხმარე კულტურული საზოგადოება“

წიგნები

↳ მიზანი და წესდება თფილისში არსებულ – „რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის დამხმარე კულტურულ საზოგადოებისა“, შედგენილი და გამოცემული ევგენი დვალის მიერ 1907 და 1917 წელს თბილის-ქალაქში

↳ მშვენიერი რაჭა: ისტორიული წერილები, ხალხური ლექსები და სხვადასხვა სურათები, შედგენილი და გამოცემული ევგენი დვალის მიერ. თბილის-ქალაქი (თბილისი) 1918 (დ.ლ პიტნავას სტამბა „განათლება“)

↳ თავისუფლება; ლექსები და დაკვირვებანი ევგენი დვალისა; ავტორის სურათით – ტფილისი; გამოცემა გიორგი დვალისა 1917 (სტ. „სახალხო საქმე“) 38 გვ.

↳ ჩემი მწარე თავგადასავალი რევოლიუციონურ ბრძოლაში: ტრაღედიული პოემა – ტფ: სსსრ შრომის და ომის ინვალიდთა საწ. კოოპნადის წითელი დამკვრელის გა-მა 1934(ცეკავშ.სტ.) 16 გვ. ავტ. პორტ.

ჟურნალები:

↳ ზურნა 1908 წ. #3

↳ ცეცხლი 1908 წ. #3

↳ მათრახის კუდი 1907 წ. #4

გაზეთები:

↳ ჩვენი გზა 1907 წ. #31. 34

↳ მერცხალი 1908 წ. #9

↳ ახალი სხივი 1910 წ. # 7

↳ ჩვენი ცხოვრება 1906 წ. #10

↳ შრომა 1906 წ. #5

↳ ცნობის ფურცელი 1903 წ. #2182

სამტრედიის საჯარო ბიბლიოთეკა

არქივი:

↳ საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, მწერალთა საანკეტო ფურცლები და ავტობიოგრაფიები, პეტრე გელეიშვილის ავტობიოგრაფია.

წიგნები:

↳ სამტრედიის ისტორიიდან (1870-1921 წწ.). ნიკოლეიშვილი მ. ქუთაისი, 1957 წ.

↳ სამტრედია, 1870-1914. თვალავაძე ვაჟა. გამომცემლობა

↳ „ინტელექტი“, თბილისი, 2001 წ.

ჟურნალები:

↳ მწყემსი: #7, 1892 წ.

↳ კვალი: #18, #30, 1899 წ. #50, 1901 წ. #6, #11, #48, 1902 წ.

↳ განათლება: #6, 1913 წ.

გაზეთები:

↳ ივერია: #127, 19.06.1892. #149, 14.07.1894. #261, 02.12.1895. #246, 14.11.1899. #181, 25.08.1902. #256, 29.11.1902.

↳ ცნობის ფურცელი: #237, 26.06.1897. #730, 21.01.1899. #1377, 08.02.1901. #2003, 04.12.1902. #2016, 17.12.1902. #2121, 13.04.1903. #2183, 17.06.1903. #2174, 08.06.1903. #2195, 29.06.1903.

↳ ჩვენი სიტყვა: #15, 04.08.1907.

↳ ეკალი: #21, 25.09.1908.

↳ ახალი გზა: #51, 20.08.1910.

ერმილე ნაკაშიძე - გურიის მებაღეთა საკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა

წიგნები:

↳ ერმილე ნაკაშიძე. თოდუა გრიგოლ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. სერია – სოფლის მეურნეობის ქართველი მოღვაწეები, თბილისი, 1965 წ.

ჟურნალები:

↳ მეურნე: #2, #3, #6, #31, 1888 წ. #5-8, #9, 1892 წ. #8, 1896 წ. #10-11, 1897 წ.

↳ სასოფლო გაზეთი: #12, #26, #27, #28, #29, #30, #31, #32, #43, #48, #49, #50, 1913 წ. #7, #23, 1914 წ.

↳ პირველი ნაბიჯი: #21, 1917 წ.

↳ საქართველოს სოფლის მეურნეობა: #8, 1989 წ.

გაზეთები:

↳ ივერია: #252, 30.11.1888. #17, 24.01.1889. #99, 12.05.1890. #27, 05.02.1891. #22, 30.01.1892. #126, 18.06.1892. #213, 05.10.1895. #227, 22.12.1895. #207, 16.11. 1905.

↳ ცნობის ფურცელი: #2793, 09.04.1905. #2948, 12.11.1905.

↳ ჩვენი საქმე: #3, 07.02.1909.

ოძისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი

წიგნები:

↳ ნანიტაშვილი ლეილა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება: თანამედროვეთა მოგონებები, თბ. 2004.

↳ გოგოლაძე დ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა). 1800-1864 წწ., თბ., 1971

↳ ჯაფარიძე გ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, გვ. 663, თბ., 1978 წელი.

გაზეთები:
↳ ივერია, # 93, 1893 წ.; # 160, 1895 წ.; # 208, 1895 წ.; # 209, 1895 წ.; # 241, 1895 წ.; # 81, 1896 წ.; # 4, 1897 წ.; # 5 1897 წ.; # 94, 1897 წ.; # 9, 1900 წ.;
↳ ცნობის ფურცელი, # 94, 1897 წ.; # 329, 1897 წ.

ძმები არჯევანიძეების მეურნეობა სოფელ ნორიოში

არქივი:
↳ საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. არჯევანიძეების პირადი ფონდი.

წიგნები:
↳ ნორიო ჩამოვიარე (სოფელ ნორიოს ისტორია). ქოპილაშვილი ნაზი. გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი, 2003 წ.
↳ თბილისიდან ალაზნის ველისკენ. არჯევანიძე ივანე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1958 წ.

ჟურნალები:
↳ თეატრი და ცხოვრება, #12, 02.09.1918.

წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა

წიგნები:
↳ სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და მასწავლებლები. კრებული მეორე. სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. თბილისი, 1955 წ.
↳ ილია წინამძღვრიშვილი (პირველი სასოფლო-სამეურნეო სკოლის დამაარსებელი საქართველოში). რევაზ გედევანიშვილი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1958 წ.

↳ ქართველი აგრონომები. თენგიზ ჩხეიძე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1962 წ.
↳ ცოდნის კარი არაგვის ხეობაში. თოდუა გრიგოლ, შრომის წითელი დროშის ორდენის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. სერია - სოფლის მეურნეობის ქართველი მოღვაწეები, თბილისი, 1963 წ.
↳ ილია წინამძღვრიშვილი. ნავდარაშვილი დავით, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973 წ.

მოდგამი

წიგნები:
↳ „საქართველო და ქართველები“ – ზ. აბაშიძე, მ. ბახტაძე, ო. ჯანელიძე, თბ. 2013 წ.
↳ „რუსული კოლონიალიზმი საქართველოში“ – ა. ბენ-დიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე – თბ. 2008 წ.
↳ „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX ს-ის საქარ-თველოში“ – ივ. ჯავახიშვილი, სანქტ-პეტერბურგი, 1906 წ. რუს. ენაზე.
↳ „მივიწყებული კულტურებიო-აგრარული მრავალფეროვნების დაცვის პროგრამა“ – ტ.ბერიშვილი, „ელკანა“, თბ. 2008 წ.

გამოყენებული ფოტოები

↳ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, გვ. 2
↳ აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი, გვ. 19,79
↳ საქართველოს ეროვნული არქივი, კინო-ფოტო-ფონო არქივი, გვ.39
↳ საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, საზოგადოებრივი არქივი, კახა ხიმშიაშვილის კოლექცია, გვ. 177

პუბლიკაცია „ინიციატივა ცვლილებისათვის“, წიგნი მეორე, მომზადდა პროექტის – „თანამშრომლობა ძლიერი სოფლისათვის“ ფარგლებში; პროექტი განხორციელდა სათემო განვითარების ცენტრისა (CDC) და თანამედროვე ხელოვნების ცენტრი – თბილისის (CCA Tbilisi) მიერ.

გამოცემულია ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ ფინანსური მხარდაჭერით. მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

პროექტის პარტნიორები: სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, კულტურული მემკვიდრეობის არასამთავრობო მონიტორინგი.

პროექტის გუნდი: ანა მარგველაშვილი (CDC); ვატო წერეთელი (CCA Tbilisi);

მკვლევართა გუნდი: ირაკლი ხვადაგიანი, დავით ხვადაგიანი (საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია); დიანა კაკაშვილი, პაატა ალავერდაშვილი (კულტურული მემკვიდრეობის არასამთავრობო მონიტორინგი).

სტილი და კორექტურა: ქეთევან ინწკირველი, ქეთევან გოგობერიშვილი;

დიზაინი: მანანა არაბული / zangodesign;

დაკაბადონება: მაგდა ცოცხალაშვილი;

@ სათემო განვითარების ცენტრი, თბილისი, 2016
ISBN: 978-9941-0-8802-5